2023

ზოგადი განათლების დანიშნულებისა და მნიშვნელობის მიმართ სასკოლო საზოგადოების წევრების განწყობის შესწავლა

კვლევის ანგარიში

კვლევა განხორციელდა „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ მიერ პროექტის „უკეთესი მომავლისთვის“ ფარგლებში ორგანიზაცია Brot für die Welt-ის ფინანსური მხარდაჭერით

პროექტის დირექტორი: მარინა თოფურია

კვლევის ანგარიშის ავტორი: ხატია ჭანიშვილი

კვლევის ჯგუფი: გიორგი გახელაძე (კვლევის კონსულტანტი) ხატია ჭანიშვილი, თათია მგელაძე

რედაქტორი: ნათია მენაბდე

სარჩევი

შესავალი 3

კვლევის მეთოდოლოგია 10

შერჩევა 13

კვლევის შეზღუდვები 14

შემაჯამებელი დასკვნა 15

ძირითადი მიგნებები 17

კვლევის შედეგები 21

სასკოლო განათლების როლი და მნიშვნელობა 21

სკოლის მუშაობის პრაქტიკა და გამოცდილება 25

არაფორმალური განათლება და მისი როლი სასკოლო ცხოვრებაში 29

მოლოდინი სკოლის მოსწავლეების მიმართ 30

მოლოდინი სკოლის მასწავლებელთა მიმართ 32

მშობლის ჩართულობის გამოცდილება და მისი როლი სასკოლო ცხოვრებაში 36

მშობელთა შრომითი მიგრაცია და ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გავლენა ბავშვების ფსიქოემოციურ მდგრადობაზე 40

სასკოლო საზოგადოების მოლოდინი ზოგადი განათლების მიმართ 42

სკოლის მართვა/მენეჯმენტი 47

სკოლის სამეურვეო საბჭო 49

მოსწავლეთა თვითმმართველობა 52

სკოლაში არსებული გამოწვევები 53

რეპეტიტორის ინსტიტუტი და მისი მნიშვნელობა 53

სკოლის როლი მოსწავლის კარიერის დაგეგმვაში 59

სასკოლო რეფორმები და მათი გავლენა სასკოლო საზოგადოებაზე 60

სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინფრასტრუქტურული საჭიროებები 62

იდეალური სკოლის კონცეფცია 63

შესავალი

განათლების უფლება, როგორც ადამიანის სოციალური უფლება, მრავალი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტით არის აღიარებული, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, ბავშვის უფლებათა კონვენციით, ევროპის ქარტიით და სხვ. გარდა საერთაშორისო დოკუმენტებისა, განათლების უფლებას, როგორც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესს ადამიანის ძირითად უფლებათა შორის, აღიარებს საქართველოს კონსტიტიტუცია,[1] რომლის მიხედვითაც, დაწყებითი და საბაზო განათლება ქვეყანაში სავალდებულოა (მუხლი 27, მე-2 ქვეპუნქტი).

იმისთვის, რომ მოხდეს საგანმანათლებლო მიღწევათა დონეების კლასიფიცირება, განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია (ISCED 2011)[2] ხელმძღვანელობს ერთიანი მიდგომით. მაგალითისთვის, დაწყებითი განათლების პროგრამები, როგორც წესი, შექმნილია მოსწავლეებისთვის ისეთი საბაზისო უნარების უზრუნველსაყოფად, როგორიცაა კითხვა, წერა და არითმეტიკა/ანგარიში (წიგნიერება და რაოდენობრიობა). ამ საფეხურზე მნიშვნელოვანია პიროვნული და სოციალური განვითარების ძირითადი სფეროების გააზრება და შემდეგი საფეხურისთვის მომზადება. საბაზო საფეხურის (Lower secondary education) პროგრამა მთლიანად ეფუძნება დაწყებითი განათლების საფეხურის სწავლების შედეგებს, ხოლო საშუალო საფეხურის (upper secondary education) პროგრამები მიზნად ისახავს მოსწავლეების მომზადებას უმაღლესი განათლების საფეხურისთვის და/ან მათ აღჭურვას დასაქმების შესაბამისი უნარ-ჩვევებით. ამასთან, ყველა სკოლა ზემოაღნიშნულ საფეხურებზე ხელმძღვანელობს სამი ორგანიზაციული მოდელით, კერძოდ:

1. განათლების ერთიანი სტრუქტურა (Single structure) – აღნიშნულ მოდელში სავალდებულო განათლების დაწყებიდან დასრულებამდე ზოგადი განათლების მიწოდება ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია სასწავლო გეგმით. გარდა ამისა, არ არის გამიჯნული დაწყებითი და საბაზო განათლების საფეხურები.
2. გამჭოლი კურიკულუმი (Common core curriculum) – განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის პირველი დონიდან (ISCED 1) მეორე დონეზე (ISCED 2) გადასვლის პროცესში სკოლები ხელმძღვანელობენ საერთო კურიკულუმებით/სასწავლო გეგმით.
3. დიფერენცირებული მიდგომა – დაწყებითი განათლების წარმატებით დასრულების შემდეგ მოსწავლეები მიჰყვებიან განსხვავებულ საგანმანათლებლო გზებსა და სტრატეგიებს, რის საფუძველზედაც იღებენ სერტიფიკატებს. აღნიშნული მიდგომა განისაზღვრება ლოკალურად, სკოლების დონეზე (და არა ცენტრალურ დონეზე).

[1]საქართველოს მთავრობა, *საქართველოს კონსტიტუცია*
https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

[2] European Commission/EACEA/Eurydice, 2021. The Structure of the European Education Systems 2021/22: Schematic Diagrams. Eurydice Facts and Figures.

საქართველოში ზოგადი განათლება რეგულირდება საქართველოს კანონით „ზოგადი განათლების შესახებ“. სრული ზოგადი განათლება მოიცავს 12 წელს და ხორციელდება სამ საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო). დაწყებითი განათლება მოიცავს 6 წელს და ხორციელდება I-VI კლასებში; საბაზო განათლება მოიცავს 3 წელს და ხორციელდება VII-IX კლასებში; საშუალო განათლება მოიცავს 3 წელს და ხორციელდება X-XII კლასებში. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები (core curriculum), რომლებშიც გაწერილია ძირითადი მიზნები და მისაღწევი შედეგები, არ აღწერს განსაზღვრული მიზნების მიღწევის პროცესს. კითხვაზე, თუ როგორ უნდა იქნეს მიღწეული განათლების ეროვნული მიზნები, პასუხს სცემს ჩარჩო-კურიკულუმი (frame curriculum) – ეროვნული სასწავლო გეგმა. ის სკოლებისთვის არის ერთგვარი გზამკვლევი სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და წარმართვის ნაწილში.

საქართველოს განათლების სისტემაში, უკვე წლებია, მიმდინარეობს განათლების რეფორმა. განათლების სამინისტროს მიერ ამ დროის განმავლობაში სკოლებში დაინერგა ბევრი ცვლილება როგორც მართვის, ასევე სწავლების ხარისხის მიმართულებით. თუმცა, საერთაშორისო კვლევების შედეგებს თუ გადავხედავთ, აღმოჩნდება, რომ წლების განმავლობაში განხორციელებულმა არათანმიმდევრულმა და მოკლევადიან შედეგებზე გათვლილმა რეფორმებმა შედეგი ვერ გამოიღო. მაგალითად, PISA 2018-ის შედეგების მიხედვით (საქართველოს მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს შეფასების სამი ძირითადი სფეროსა (კითხვა, მათემატიკა და საბუნებისმეტყველო საგნები) და ფინანსური წიგნიერების კვლევაში), საქართველო „მონაწილე 784 ქვეყნიდან იმ 49 ქვეყანას შორისაა, სადაც მოსწავლეთა მიღწევების საშუალო მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამორჩება OECD-ის 37 წევრი ქვეყნის საშუალოს (487 ქულა)“.[3] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნულ კვლევაში მსგავსი დაბალი შედეგები არ მიუთითებს მხოლოდ საგნობრივი კომპეტენციების სწავლების დაბალ ხარისხზე, რადგან PISA არ მოიცავს მხოლოდ ამ კომპონენტის შეფასებას, არამედ ეხება ისეთ სფეროებსაც, როგორიცაა მოსწავლის სწავლის მოტივაცია, თანამედროვე სტრატეგიების გამოყენება უნარ-ჩვევების დასაუფლებლად/გასაუმჯობესებლად, მიღებული ცოდნის გადატანა/ტრანსფერი ყოველდღიურობაში. გარდა იმისა, რომ ქვეყნის შედეგები მნიშვნელოვნად ჩამორჩება OECD-ის 37 წევრი ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს, საყურადღებოა ისიც, რომ, 2018 წლის მონაცემებით, საქართველოს მაჩვენებლები, 2015 წელთან შედარებით, გაუარესებულია სამივე მიმართულებაში (მათემატიკა, წიგნიერება, საბუნებისმეტყველო საგნები), რაც გვაძლევს საფუძველს, დავასკვნათ, რომ, ერთი მხრივ, სწავლების ხარისხი საქართველოს სკოლებში არ უმჯობესდება; მეორე მხრივ, ქვეყანაში ვერ ხერხდება განათლების სწორი პოლიტიკის წარმართვა. ამ დასკვნას კიდევ უფრო ამყარებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მომზადებული 2017-2021 წლების განათლების სტრატეგიის შუალედური და საბოლოო შეფასების ანგარიშები, რომლებშიც აღნიშნულია, რომ 2017-2021 წლების განათლების სტრატეგიის დოკუმენტში „სტრატეგიული მიზნები და ამოცანები მკაფიოდ არ იყო ფორმულირებული და გამყარებული შესაბამისი ინდიკატორებით. არაზუსტი ან არაგაზომვადი ინდიკატორები არ იძლეოდა

[3] შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2020, მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა PISA 2018: საქართველოს ანგარიში
https://naec.ge/uploads/postData/20-21/kvlevebi/PISA2018-Georgia%20(1).pdf

საშუალებას, მიზნებთან მიმართებით შეფასებულიყო განხორციელებული საქმიანობა, დადგენილიყო წარმატების ზუსტი კოეფიციენტი, რაც გავლენის ხარისხს დაადგენდა“.[4] აღნიშნული ჩანაწერი მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფოს ხედვა განათლების პოლიტიკის დანერგვის მიმართულებით ფრაგმენტულია და ვერ ხერხდება მნიშვნელოვანი საკითხების კომპლექსურად შესწავლა და შესაბამისი რეაგირების მექანიზმების ამუშავება.

სხვადასხვა სტრატეგია თუ ნებისმიერი ცვლილება, რომლებიც ზოგადი განათლების საფეხურზე ხორციელდება, უნდა ემსახურებოდეს „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“[5] მიღწევას. საკუთრივ ეს დოკუმენტი რამდენიმე პრიორიტეტულ და საკვანძო საკითხს გამოყოფს, კერძოდ:

ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება

ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა

გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი

დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილებების მიღება

ე) შემოქმედებითობა, ღირებულებების შექმნა, არსებულით დაუკმაყოფილებლობა და სიახლისკენ სწრაფვა:

ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც;

ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან

თ) კანონმორჩილება, ტოლერანტობა

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ძირითად საშუალებებად „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დოკუმენტი 4 ძირითად კომპონენტს გამოყოფს, კერძოდ: ზოგადი განათლების პოლიტიკასა და კანონმდებლობას, ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო სისტემას, ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო სისტემის რეგულირებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს და ეროვნულ სასწავლო გეგმას (ეს უკანასკნელიც ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების საფუძველზე შემუშავდება), თუმცა, ისიც აღნიშნულია,

---

[4] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2032 https://mes.gov.ge/mesgifs/1638884672_%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%20-%2006.12.pdf

[5] საქართველოს მთავრობა, 2004, „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დამტკიცების შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/11098?publication=0

რომ საზოგადოებრივი აქტიურობისა და არსებული რესურსების ეფექტიანი ამოქმედების გარეშე მიზნების მიღწევა შეუძლებელი იქნება. ამიტომ ეს ჩვევები უნდა გამომუშავდეს სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით, კერძოდ, „მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების, ადმინისტრატორებისა და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით ისეთ განსხვავებულ პირობებში, როგორიცაა გამოცდები თუ არჩევნები, საკლასო ოთახი თუ სახლი, კლუბი, სპორტული დარბაზი, სკოლის ეზო თუ სახელოსნო. მოსწავლეების, მათი მშობლების, მასწავლებლების, დირექციისა თუ გარემომცველი საზოგადოების აქტიური მონაწილეობა განაპირობებს მიზნების მიღწევის ხარისხსა და წარმატებულობას.“[6]

მაშინ, როცა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის გზაზე გადამწყვეტ როლს ასრულებს სწორედ სასკოლო საზოგადოების (მშობელი, მასწავლებელი, მოსწავლე) ჩართულობის მაღალი ხარისხი, მნიშვნელოვანია, რამდენად აქვს გააზრებული ამ სამიზნე ჯგუფს აღნიშნული პასუხისმგებლობები და მეტ-ნაკლებად თანხვდება თუ არა მისი მოლოდინი, რწმენა თუ განწყობა სახელმწიფოს მიერ აღიარებულ მიზნებს, რომელთა მიღწევაშიც ყველა ადამიანმა უნდა შეიტანოს წვლილი. რწმენა და მოლოდინი დაკავშირებულია როგორც ფაქტებთან, ასევე ღირებულებებთან. თუკი ღირებულებებს განვიხილავთ როგორც სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლებსაც ადამიანები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, შესაბამისად, პირადი თუ საზოგადოებრივი გადაწყვეტილებების მიღება ეფუძნება სწორედ ამ პრინციპებს. სწორედ ისინი განსაზღვრავს, თუ რას მიიჩნევს ხალხი პრიორიტეტულად. რაც შეეხება სოციალურ ღირებულებებს, სწორედ ისინი განსაზღვრავს კულტურისა და საზოგადოების პრიორიტეტებს, საერთო პრინციპებსა და მითითებებს, რომლებიც აყალიბებს სოციალურ წესრიგს და ინსტიტუციურ ცხოვრებას. ეს ფასეულობები მყარია, როდესაც ისინი ასახულია სოციალურ და ინსტიტუციურ სტრუქტურებში, დოკუმენტებსა და დემოკრატიულ პრაქტიკაში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ისინი აღიარებული და გაზიარებული იყოს საზოგადოების უმრავლესობის მიერ.[7]

ვახტანგ ნადარეიშვილის ნაშრომში „ადაპტაციის, სტაბილობის და დევიაციის სოციოფსიქოლოგიისათვის“ „სოციალური ადაპტაცია“ განმარტებულია, როგორც „სოციალურ გარემოსთან სოციალური სუბიექტების ურთიერთქმედების ფორმა, რომლის დროსაც ხდება მის მონაწილეთა თვითშეფასების, მოთხოვნების და მოლოდინების თავსებადობაში მოყვანა, მისადაგება მის შესაძლებლობებთან და სოციალური გარემოს რეალობასთან – მიზნებთან, სოციალურ ნორმებთან (მიზნის მიღწევის წესი) და სანქციებთან ნორმიდან გადახრისათვის“. აქვე აღნიშნულია ისიც, რომ თავსებადობა უნდა ითვალისწინებდეს როგორც სტატუს-კვოს, ასევე სუბიექტისა და გარემოს სამომავლო მდგომარეობას. მოლოდინისა და არსებული მიზნების თანხვედრა კი „არაადექვატური

[6] საქართველოს მთავრობა, 2004, „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დამტკიცების შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/11098?publication=0

[7] OECD Future of Education and Skills 2030, Conceptual learning framework
ATTITUDES AND VALUES FOR 2030

აღქმის, შეფასებისა და ქცევის, მათით გამოწვეული ფრუსტრაციის, კონფლიქტის და დევიაციის თავიდან აცილების შესაძლებლობას იძლევა“. [8]

მოლოდინის გაგებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ინდივიდის კმაყოფილების ხარისხის შესწავლის პროცესშიც, რადგან კმაყოფილება სწორედ მოლოდინისა და შედეგის ურთიერთქმედების შედეგია. როცა რეალობა არ თანხვდება მოლოდინს, ეს იწვევს ადამიანების უკმაყოფილების მაღალ მაჩვენებელს, ხოლო როცა რეალობა/შედეგი აღემატება მოლოდინს, ეს ზრდის კმაყოფილების ხარისხს. ნაშრომში „სკოლის მიმართ კმაყოფილების გაგება: მოლოდინების როლი“[9] აღნიშნულია, რომ, რაკი სკოლებს მნიშვნელოვანი ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერა სჭირდება, კმაყოფილების დაბალმა დონემ, შესაძლოა, ხელი შეუშალოს რეფორმების განხორციელებას. ამავე ანგარიშში ავტორები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ სკოლის მიმართ კმაყოფილება, მისი კომპლექსურობიდან გამომდინარე, არ განისაზღვრება მხოლოდ სკოლის მოსწავლეთა მაღალი აკადემიური შედეგებით. სკოლის ფსიქოლოგთა ეროვნული ასოციაცია (NASP)[10] მიუთითებს სკოლას, ოჯახსა და საზოგადოებას შორის პოზიტიური თანამშრომლობის ჩამოყალიბების მნიშვნელობაზე და ხაზს უსვამს სკოლის როლს პოზიტიური გარემოს ფორმირების პროცესში, რაც გულისხმობს ოჯახების მხარდაჭერას, მათში განათლების შესახებ საერთო ხედვის ჩამოყალიბებას და ამით მათ მიერ პასუხისმგებლობების გაზიარებას. ამ მიზნის მისაღწევად მრავალი სტრატეგია არსებობს, მათ შორის, მშობლების ჩართვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და მათთვის ტრენინგების/შეხვედრების მოწყობის შეთავაზება. სკოლის ეფექტიანად მართვის 8 მახასიათებელს შორის დასახული მიზნების მიღწევის მნიშვნელოვან შემადგენელ კომპონენტად სწორედ დაინტერესებულ პირებთან ურთიერთობის ძლიერი საკომუნიკაციო სისტემა მოიაზრება.[11] ნაშრომში „სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების თანამშრომლობა“ აღნიშნულია, რომ სკოლის წარმომადგენლები უნდა ფლობდნენ ინფორმაციას, როგორ იმუშაონ ოჯახებთან, რომ მოსწავლემ წარმატებას მიაღწიოს; თავის მხრივ, მშობლებმა უნდა იცოდნენ სტრატეგიები, როგორ დაეხმარონ საკუთარ შვილებსა და მათ პედაგოგებს სწავლა-სწავლების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნულზე ყველა ერთსულოვნად თანხმდება, სასკოლო პროცესში საზოგადოების ჩართულობის საკითხი მაინც პრობლემურია. ამავე ნაშრომში აღნიშნულია, რომ სკოლის მიერ მოსწავლეზე ზრუნვა გამოიხატება იმაში, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს საგანმანათლებლო დაწესებულებას ოჯახის მიმართ, კერძოდ: თუ სკოლა ბავშვს აღიქვამს, როგორც მხოლოდ მოსწავლეს, სავარაუდოდ, ის ოჯახს განიხილავს, როგორ ცალკე ინსტიტუტს, განცალკევებულ ერთეულს. მაგრამ, თუ პედაგოგები მოსწავლეებს ხედავენ, როგორც ბავშვებს, ისინი, სავარაუდოდ, ოჯახსა და საზოგადოებას მოიაზრებენ სკოლის პარტნიორებად ბავშვების განათლებისა და განვითარების პროცესში. პარტნიორული ურთიერთობა კი მოითხოვს ყველა ჩართული სუბიექტის მიერ მათი საერთო ინტერესებისა და პასუხისმგებლობების გაცნობიერებას;

---

[8] ნადარეიშვილი ვ. „ადაპტაციის, სტაბილობის და დევიაციის სოციოფსიქოლოგიისათვის“. თსუ. 1993

[9] [9] Rebecca Jacobsen, Jeffrey W. Snyder, Andrew Saultz. *Understanding Satisfaction with Schools: The Role of Expectations*

[10] BENARD OMENGE NYATUKA. *ASSESSMENT OF THE EFFECTIVENESS OF FAMILY-SCHOOL-COMMUNITY PARTNERSHIPS IN KENYA'S CHILD FRIENDLY SCHOOLS*

[11] Chuck Dervarics and Eileen O'Brien. *Eight Characteristics of Effective School Boards*

შესაბამისად, ასეთ გარემოში სკოლა, ოჯახი და საზოგადოება ერთად მუშაობენ ბავშვებისთვის უკეთესი პროგრამებისა და შესაძლებლობების შექმნაზე. ამ მსჯელობის ფონზე მნიშვნელოვანია, როგორია საქართველოს რეალობაში მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. „სკოლებში მშობელთა ჩართულობის პრაქტიკის კვლევის“ შედეგებში[12] აღნიშნულია, რომ სკოლებისა და მშობლების ურთიერთობის მარეგულირებელი დოკუმენტები (სკოლების შინაგანაწესი, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან დადებული ხელშეკრულებები) მოიცავს მშობელთან კომუნიკაციის ფორმებსა და შინაარსს, თუმცა ეს, ძირითადად, შემოიფარგლება პირისპირ შეხვედრების ფორმატით, რომლებზედაც აქცენტი მეტწილად კეთდება მოსწავლის საგაკვეთილო პროცესზე დასწრებასა და/ან დისციპლინურ გადაცდომებზე; სულაც არაა ნახსენები ისეთი საკითხები, როგორიცაა სწავლების მეთოდები, სასწავლო პროგრამები, სკოლის სამოქმედო გეგმები, სკოლის რესურსების მართვა. შესწავლილი პრაქტიკა კი იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ ჩვენს რეალობაში სკოლა ბავშვს აღიქვამს, როგორც მხოლოდ მოსწავლეს.

აღნიშნული გამოცდილების ფონზე მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობის შესახებ რამდენიმე წარმატებული მაგალითის განხილვა. საინტერესოა, გავეცნოთ შოტლანდიური განათლების სისტემას სასკოლო ცხოვრებაში მშობლების ჩართულობის მიმართულებით.

შოტლანდიური მიდგომა ემყარება იმის უზრუნველყოფას, რომ მშობლები აქტიურად არიან ჩართულნი თავიანთი შვილების სასკოლო ცხოვრებაში თუ საქმიანობაში. ამის მისაღწევად შოტლანდიის მთავრობამ გააძლიერა მუშაობა მშობლების უფლებებისა და შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად, რათა ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულნი გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე.

სკოლებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას აქვთ ვალდებულება, შეიმუშაონ სტრატეგიები, თუ როგორ უზრუნველყოფენ სასკოლო ცხოვრებაში, სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მშობელთა ჩართულობის მაჩვენებლის გაზრდას, რათა მხარი დაუჭირონ შვილების საგანმანათლებლო პროგრესს.

2009 წლიდან შოტლანდიის მთავრობა მხარს უჭერს და აფინანსებს შოტლანდიის მშობელთა ნაციონალურ ფორუმს (NPFS), როგორც მშობლების დამოუკიდებელ ხმას შოტლანდიის ახალგაზრდების განათლების საქმეში. დაარსების დღიდან NPFS მნიშვნელოვან როლს ასრულებს საგანმანათლებლო სფეროსთან დაკავშირებული ძირითადი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. NPFS ასევე სთავაზობს მშობლებს სხვადასხვა სახელმძღვანელოს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: მშობლებისა და მზრუნველების გაძლიერება, სასწავლო გეგმა, ახალგაზრდა მუშახელის განვითარება, მიღწევები, შეფასება და კვალიფიკაცია და ა.შ. შოტლანდიის მთავრობა ასევე თანამშრომლობს სხვა ორგანიზაციებთან, რომლებიც წარმოადგენენ ან მხარს უჭერენ მშობლებს და მათ ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში. [13]

[12] მშობლები განათლებისთვის, 2020, *სკოლებში მშობელთა ჩართულობის პრაქტიკის კვლევა*
[13] *OECD Independent Review Of Curriculum For Excellence 2020-2021*

იაპონიაში ფუნქციონირებს სკოლის მართვის საბჭოები (Community Schools)[14], რომელთა შემადგენლობაშიც შედიან მშობლები, მეურვეები და ადგილობრივი მოსახლეობა. საბჭოებს აქვს სამი ფუნქცია:

1. დაამტკიცონ სკოლის მენეჯმენტის ძირითადი პოლიტიკა, რომლის შემუშავებაშიც თავად არიან ჩართული, სკოლის დირექტორსა და პედაგოგებთან ერთად.
2. დააფიქსირონ მოსაზრებები სკოლის მართვის საკითხებთან დაკავშირებით (იქიდან გამომდინარე, რომ სკოლის მართვის საბჭო შექმნილია, როგორც საკონსულტაციო ორგანო, მის წევრებს ამის უფლება აქვთ).
3. მონაწილეობა მიიღონ სკოლის აკადემიური პერსონალის შერჩევისა და დანიშვნის პროცესში.

საქართველოში ზოგადი განათლების საფეხურზე მასწავლებელი, მშობელი თუ მოსწავლე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის სხვადასხვა შესაძლებლობას ფლობს. სკოლის მართვის დემოკრატიული პრინციპები სწორედ პედაგოგიური საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობისა და სკოლის სამეურვეო საბჭოს ეფექტიან მუშაობას ეფუძნება. ამ სტრუქტურებში გამოხატული უნდა იყოს მოსწავლის, მშობლისა და პედაგოგის ხედვა, თუ როგორ გახდეს სკოლა უკეთესი, როგორ მიაღწიონ მოსწავლეებმა წარმატებას და საბოლოოდ მივიდნენ იმ მიზნამდე, რომლებსაც ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები ითვალისწინებს. თუმცა სხვადასხვა კვლევა აჩვენებს, რომ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართულობის ხარისხი ძალიან დაბალია. მშობლების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში მეტწილად ფრაგმენტულია, გრძელვადიანი თანამშრომლობის პრაქტიკას მოკლებული, და შემოიფარგლება მხოლოდ კლასგარეშე საგანმანათლებლო-შემეცნებით აქტივობებში ან/და კონფლიქტური ვითარების განმუხტვაში მონაწილეობით.[15] ამასთან, მშობლებითვის ინფორმაციის (შვილის საგანმანათლებლო მიღწევების/დისციპლინის შესახებ) ძირითად წყაროს წარმოადგენს დამრიგებელი და მასთან სატელეფონო ან პირადი კონტაქტი, ასევე მშობელთა კრება.[16] არ არსებობს რაიმე ერთიანი სტანდარტი, რომელიც დაარეგულირებს მშობელთა ჩართულობას.

შვილების სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბარიერად შეიძლება გამოვყოთ ზრდასრული მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის შრომითი მიგრაცია. საქსტატის 2022 წლის მონაცემებით, საქართველოდან წასულ ემიგრანტთა რაოდენობა 125 ათას ადამიანს შეადგენს.[17] „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ მიერ ჩატარებული კვლევის „მშობლების შრომითი მიგრაციის ზეგავლენა მათი არასრულწლოვანი შვილების აღზრდისა და განვითარების ფაქტორებზე“ ანგარიშში აღნიშნულია, რომ ყოველ წელს სულ უფრო მეტი ადამიანი ტოვებს საქართველოს და მიდის ემიგრაციაში.[18] კვლევის

---

[14] *OECD* (2018) Education Policy in Japan, Building Bridges towards 2030

[15] მშობლები განათლებისთვის, 2020, *სკოლებში მშობელთა ჩართულობის პრაქტიკის კვლევა*

[16] სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი,2015, *სკოლის ორგანიზაციული კულტურის კვლევა*

[17] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022, https://www.geostat.ge/ka/modules/categories/322/migratsia

[18] *„ ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“ (2022). მშობლების შრომითი მიგრაციის ზეგავლენა მათი არასრულწლოვანი შვილების აღზრდისა და განვითარების ფაქტორებზე*

ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ შრომითი მიგრანტების ნაწილი, მათი სამუშაო პირობებიდან გამომდინარე, ვერ ახერხებს შვილების საგანმანათლებლო პროცესებში ჩართვას, არ აქვს კომუნიკაცია პედაგოგებთან და ვერც არასრულწლოვნებს ეხმარება მეცადინეობაში. შესაბამისად, მშობელთა საკმაოდ დიდი რაოდენობა არ ფლობს (ან ძალიან მწირ ინფორმაციას ფლობს) სასკოლო ცხოვრების შესახებ. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ მიგრანტ მშობლებს, შვილებსა და მათ დროებით მზრუნველებს სჭირდებათ მხარდაჭერა და რელევანტური მომსახურება, მათ შორის, დამხმარე საგანმანათლებლო სისტემა. აუცილებელია მშობლების გარეშე დარჩენილი ბავშვების საგანმანათლებლო, ჯანდაცვის, ბავშვთა დაცვის, სოციალური დაცვის მომსახურებათა მიმწოდებლების სენსიტიურობის ხარისხის გაზრდა.

გარდა იმისა, რომ ამ მიმართულებით არსებობს გამოწვევები სისტემურ დონეზე, ამ ასპექტში მნიშვნელოვანია, განიხილებოდეს ინდივიდის მოტივაცია და ისიც, თუ რამდენად იაზრებს იგი საკუთარი ქმედების გავლენის მნიშვნელობას. ამ პროცესში კი უაღრესად სასარგებლოა პიროვნების ქცევითი პატერნების შესწავლა, იმის დადგენა, თუ რამდენად თანხვდება ისინი მიზნის მიღწევის გზას და ხომ არ გვაქვს საქმე ნაკლებად გააზრებულ აქტივობებთან, რომლებიც განმტკიცებულია არა მიზანშეწონილობით ან ემპირიული მონაცემებით, არამედ საკუთარი განწყობით. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, წინა პლანზე წამოიწიოს გააზრებული და მიზანმიმართული აქტივობები, რომლებიც, გერმანელი ფსიქოლოგის, ჰ. ჰეკჰაუზენის (1926-1988), აზრით, უპასუხებს კითხვაზე: „რისთვის?“ გააზრებულ და მიზანმიმართულ ქცევაში (რომელსაც ის „ნებელობით ქცევად“ მოიხსენიებს), მეცნიერი ერთმანეთისგან განასხვავებს მოქმედებებსა და ჩვევებს. „სუბიექტი აცნობიერებს თავის მოქმედებას... ამის საწინაღმდეგოდ, ქცევის დამკვიდრებული ფორმები (ჩვეულებები, ჩვევები)... იმდენად დასწავლილი გახდა, რომ ავტომატურ ქმედებებად გადაიქცა“.[19] სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, დადგინდეს, რა ფაქტორები განაპირობებს, ზოგადად, სამიზნე ჯგუფებში განათლების შესახებ რწმენა-წარმოდგენისა თუ ღირებულებების ჩამოყალიბებას და ხომ არ არის ეს „დასწავლილი პრაქტიკა“, რომელიც არ ეფუძნება ემპირიულ ცოდნას და გამყარებულია მხოლოდ ჩვეულებებითა და წარსული გამოცდილების უპირობო მიღებით.

კვლევის მეთოდოლოგია

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კვლევის **მიზანია:**

ზოგადი განათლების მიმართ სასკოლო საზოგადოების წევრების განწყობისა და მოლოდინის იდენტიფიცირება და ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან მათი შედარება.

ამოცანები:

[19] ნადარეიშვილი ვ. „მოსალოდნელი ღირებულების კონცეფცია და განწყობა“

1. სასკოლო საზოგადოების წევრების მოლოდინის ჩამოყალიბების ხელშემწყობი ფაქტორების იდენტიფიცირება
2. ზოგადი განათლების სახელმწიფო პოლიტიკის (მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციის, კანონის ზოგადი განათლების შესახებ, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის) შესახებ სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხის განსაზღვრა და სამიზნე ჯგუფების განწყობისა და მოლოდინის ჩამოყალიბებასთან მისი კავშირის დადგენა
3. სასკოლო საზოგადოების სკოლის ცხოვრებაში ჩართულობის/მონაწილეობის შეფასება; ამავე საზოგადოების წევრების ზოგადი განათლების შესახებ ხედვის ჩამოყალიბებაზე აღნიშნული ჩართულობის/მონაწილეობის შეფასება

ამოცანების შესაბამისად, განისაზღვრა ძირითადი საკითხები, რომლებსაც მოიცავს კვლევა; კერძოდ, მნიშვნელოვანი იყო განათლების (აქ მოიაზრება ზოგადი განათლებაც) როლისა და მნიშვნელობის შესახებ რესპონდენტების მოსაზრებების იდენტიფიცირება, ასევე, პედაგოგებისა და მოსწავლეების ურთიერთგანწყობის დადგენა, რათა განსაზღვრულიყო კვლევის მონაწილეთა მოლოდინი ზოგადი განათლების მიმართ; გარდა ამისა, შესაძლებელი გამხდარიყო იმ ფაქტორების გამოკვეთა, რომლებიც გავლენას ახდენს ზემოაღნიშნული მოსაზრებების ჩამოყალიბების პროცესზე.

ამასთან, კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანი იყო განათლების პოლიტიკის შესახებ რესპონდენტთა ინფორმირებულობის დონის განსაზღვრა და იმ გამოწვევების იდენტიფიცირება, რომლებიც ხელს უშლის სკოლებს სხვადასხვა დოკუმენტით გაწერილი ვალდებულების შესრულებაში.

ანგარიში ასევე მოიცავს სკოლის მართვის პრაქტიკის გამოცდილებას, სხვადასხვა სტრუტურული ერთეულის მუშაობის ეფექტიანობის შეფასებას და მათი საქმიანობის ძირითადი სფეროების, ამასთან, მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობის განსაზღვრას, რათა შეიქმნას ნათელი სურათი სკოლის ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის შესახებ.

სამიზნე ჯგუფებია:

- საჯარო სკოლების პედაგოგები
- სკოლის ადმინისტრაცია
- სკოლის მოსწავლეთა მშობლები
- საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები
- ახალგაზრდები, რომლებიც ამჟამად სწავლობენ უმაღლეს ან პროფესიულ სასწავლებლებში
- სფეროს ექსპერტები

კვლევის მეთოდად შერჩეულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, ჯგუფური ინტერვიუ (ფოკუსჯგუფი). კვლევის ინსტრუმენტად მოდერატორის მიერ გამოყენებული იყო წინასწარ შემუშავებული დისკუსიის გზამკვლევი, რომელიც მოიცავდა ძირითად საკვანძო

საკითხებს საკვლევ თემასთან დაკავშირებით. ჯამში, სამიზნე ჯგუფებთან ჩატარდა 36 ფოკუსჯგუფი და 3 სიღრმისეული ინტერვიუ.

რეგიონი	ჩატარებული ფოკუსჯგუფების რაოდენობა	ფოკუსჯგუფებში მონაწილე სკოლათა რაოდენობა	ჩართული სკოლების მოსწავლეთა საშუალო რაოდენობა
თბილისი	**მშობლები** – 2 ფოკუსჯგუფი	14 სკოლა	800 – 2000 მოსწავლე
	პედაგოგები – 2 ფოკუსჯგუფი		
	სკოლის ადმინისტრაციის წევრები – 2 ფოკუსჯგუფი		
	სკოლის მოსწავლეები – 2 ფოკუსჯგუფი		
ქვემო ქართლი	**მშობლები** – 1 ფოკუსჯგუფი	13 სკოლა	300 – 700 მოსწავლე
	პედაგოგები – 3 ფოკუსჯგუფი		
	სკოლის ადმინისტრაციის წევრები – 3 ფოკუსჯგუფი		
	სკოლის მოსწავლეები – 2 ფოკუსჯგუფი		
იმერეთი	**მშობლები** – 2 ფოკუსჯგუფი	14 სკოლა	500 – 1000 მოსწავლე
	პედაგოგები – 2 ფოკუსჯგუფი		

	სკოლის ადმინისტრაციის წევრები – 2 ფოკუსჯგუფი		
	სკოლის მოსწავლეები – 2 ფოკუსჯგუფი		
გურია	**მშობლები** – 2 ფოკუსჯგუფი	14 სკოლა	100 – 500 მოსწავლე
	პედაგოგები – 2 ფოკუსჯგუფი		
	სკოლის ადმინისტრაციის წევრები – 2 ფოკუსჯგუფი		
	სკოლის მოსწავლეები – 2 ფოკუსჯგუფი		

შერჩევა

კვლევის შერჩევის არეალი განისაზღვრა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- მოსწავლეთა რაოდენობა საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მუნიციპალიტეტების მიხედვით
- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რაოდენობა რეგიონების მიხედვით
- მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლის განაწილება რეგიონების მიხედვით
- აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მოცვა

მნიშვნელოვანი იყო იმ რეგიონების შერჩევა, რომლებშიც, საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, მაღალია სკოლებისა და სკოლის მოსწავლეთა რაოდენობის მაჩვენებელი, რათა შესწავლილიყო სხვადასხვა სახის პრაქტიკა და გამოცდილება. ამავე სამსახურის მონაცემებით, 2022-23 სასწავლო წლებში ყველაზე მეტი მოსწავლე (224 081) ქალაქ თბილისში სწავლობს, თუმცა, სკოლების რაოდენობის მიხედვით, პირველი იმერეთის რეგიონია, სადაც, ჯამში, 393 სკოლა ფუნქციონირებს.

შერჩევის პროცესში ყურადღება გამახვილდა რეგიონის მოსახლეობის მრავალფეროვნებაზედაც, რადგან კულტურული თავისებურებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სხვადასხვა რწმენის თუ განწყობის ჩამოყალიბებაზე. საქართველოს სტატისტიკის

სამსახურის 2014 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, ეროვნებების/ეთნიკური წარმომავლობის მხრივ მოსახლეობის განაწილებით, პირველ ადგილზე ქვემო ქართლის რეგიონია, სადაც, ჯამში, განსხვავებული ეროვნებების/ეთნიკური წარმომავლობის 206 681 ადამიანი ცხოვრობს.

აგრეთვე მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნეს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებლები, რადგან არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ ეკონომიკურ მდგომარეობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ინდივიდის მიერ პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში. მაგალითისთვის, PISA-ს კვლევა აჩვენებს, რომ მოსწავლის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი (SES) დადებით ზეგავლენას ახდენს მის მიღწევებზე. საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი რეგიონი ეკონომიკური თვალსაზრისით არის გურია, სადაც, მაგალითად, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 699.5 ლარს შეადგენს და ამ მაჩვენებლით მხოლოდ რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონს უსწრებს.

საბოლოოდ, გაანალიზებული მონაცემების საფუძველზე კვლევისთვის შეირჩა 4 რეგიონი: თბილისი, ქვემო ქართლი, იმერეთი და გურია.

კვლევის შეზღუდვები

გამოცდილების მიხედვით, კვლევის ფარგლებში ფოკუსჯგუფების მონაწილეთა შერჩევა დაკავშირებულია მნიშვნელოვან გამოწვევებთან. იქიდან გამომდინარე, რომ მკვლევართა ჯგუფი რესპონდენტთა შერჩევის პროცესში უკავშირდებოდა მუნიციპალიტეტების რესურსცენტრების და/ან სკოლების დირექტორებს, არსებობდა საფრთხე, რომ კვლევაში ჩაერთვებოდნენ მხოლოდ მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები ან მშობლები, რომლებიც გამოირჩევიან სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის შედარებით მაღალი მაჩვენებლით. მიუხედავად იმისა, რომ მკვლევართა ჯგუფი რესპონდენტთა შერჩევისას ხელმძღვანელობდა მრავალფეროვანი კრიტერიუმებით და ცდილობდა სხვადასხვა მეთოდის (მათ შორის, „თოვლის გუნდის“ მეთოდის) გამოყენებას ამ პროცესში, საბოლოოდ, სრულად ვერ იქნა დაძლეული რისკი, რომ ფოკუსჯგუფებს დაესწრებოდნენ სკოლის დირექტორებისთვის სასურველი პირები.

გარდა ამისა, რეგიონების/მუნიციპალიტეტების მოცვის არეალის გაფართოების მიზნით (რათა მონაწილენი შერჩეულიყვნენ დასახლების ტიპების გათვალისწინებით) ნაწილი ფოკუსჯგუფებისა ჩატარდა დისტანციური ფორმით, online-პლატფორმების გამოყენებით.

იქიდან გამომდინარე, რომ ფოკუსჯგუფების ნაწილი ტარდებოდა online-რეჟიმში, არსებობდა ასევე საფრთხე, რომ სამიზნე ჯგუფის წევრები (განსაკუთრებით მოსწავლეები) შეხვედრას დაესწრებოდნენ არა მარტონი, არამედ სკოლის წარმომადგენლებთან ერთად, რათა დირექტორი, პედაგოგი ან მშობელი „დახმარებოდნენ“ მათ დასმულ კითხვებზე პასუხის

გაცემაში. ფოკუსჯგუფის ჩატარების პროცესში მოთხოვნილი იყო კამერის ჩართვა, თუმცა ხშირად ინტერნეტმომსახურების მიწოდების დაბალი ხარისხის გამო რესპონდენტები ამას ვერ ახერხებდნენ.

ამასთან, კვლევის ფარგლებში მიღებული შედეგები ეყრდნობა ფოკუსჯგუფების მონაწილეთა გამოცდილების შესწავლას, რაც, რა თქმა უნდა, სრული მასშტაბით ვერ ასახავს საერთო სურათს. ორგანიზაციას პროექტის ფარგლებში არ გააჩნია მატერიალური და ადამიანური რესურსი, რომ საქართველოს მასშტაბით განეხორციელებინა დამატებითი რაოდენობრივი კვლევა, კერძოდ, გამოკითხვა, რომელიც რიცხობრივი მაჩვენებლებით შეავსებდა შინაარსობრივ მასალას. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა შერჩევის პროცესში გათვალისწინებულ იქნა მრავალფეროვანი კრიტერიუმები, მიღებულ შედეგებს ვერ ექნება ეროვნული მასშტაბით განზოგადების პრეტენზია, თუმცა იგი მაღალი სანდოობით ასახავს შემთხვევებს, რომლებიც, დიდი ალბათობით, ტიპური იქნება საჯარო სკოლებისთვის.

შემაჯამებელი დასკვნა

კვლევის შედეგების მიხედვით, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ სკოლის ადმინისტრაცია და მასწავლებელთა უმრავლესობა იცნობს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და განიხილავს ამ დოკუმენტს, როგორც გზამკვლევს, თუ როგორი უნდა იყოს მათი მუშაობის შედეგი. რესპონდენტები მსჯელობისას სკოლის დანიშნულებად მიიჩნევენ მოსწავლისთვის აკადემიური ცოდნის გადაცემას და მათი პიროვნული უნარ-ჩვევების გაძლიერებას, რათა ხელი შეუწყონ ტოლერანტი და დემოკრატიულად მოაზროვნე მოქალაქის ჩამოყალიბებას. აღნიშნული მიზანი ემთხვევა ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და მოიცავს იმ ძირითად კრიტერიუმებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს მოსწავლე ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე. ამასთან, რესპონდენტების თქმით, სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ისინი მეტ-ნაკლებად ხელმძღვანელობენ ეროვნული სასწავლო გეგმით. თუმცა მათ მიერ აღწერილი პრაქტიკა იძლევა საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული დოკუმენტი ჯერ კიდევ არ გამხდარა პედაგოგების ყოველდღიურობის ნაწილი და უცხოა მათთვის. მისი პრაქტიკაში დანერგვა კი ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული; კერძოდ, მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციის ნაწილი, რომელსაც განსხვავებულ საგანმანათლებლო სისტემაში მუშაობის გამოცდილება აქვს, ხშირად ვერ აცნობიერებს ეროვნული სასწავლო გეგმით შეთავაზებული სიახლეების მნიშვნელობას და, წარსული პრაქტიკიდან გამომდინარე (როცა მასწავლებელი წინასწარ არ ამზადებდა გაკვეთილის გეგმებს, საგნობრივი კათედრების მიერ არ იგეგმებოდა სასწავლო პროცესი და ა.შ.), მიიჩნევს, რომ „ბიუროკრატიის მსხვერპლია“, რადგან ნებისმიერი ქმედების დოკუმენტურად ასახვა მათთვის სავალდებულო გახდა. კვლევის შედეგების მიხედვით, პედაგოგთა დიდი ნაწილი ორიენტირებულია პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, რაც გაზრდის მათ ანაზღაურებას. ამ პროცესში კი ბავშვი და მისი საუკეთესო ინტერესები

ნაკლებად პრიორიტეტული ხდება. ამ მოცემულობას ასაზრდოებს ქვეყნის განათლების სახელმწიფო სისტემა, რომელიც, ერთი მხრივ, ამგვარი სტატუს-კვოს შემქმნელია, მეორე მხრივ – წამახალისებელიც.

რაც შეეხება მოსწავლეებსა და მშობლებს, მათი უმრავლესობა არ იცნობს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს; შესაბამისად, მათი მოლოდინი სასკოლო განათლების მიმართ არ ეფუძნება ზემოაღნიშნულ დოკუმენტს. ძირითადად, შეხედულებები სასკოლო განათლების შესახებ განპირობებულია წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილებით, რომლის მიხედვითაც, პრიორიტეტულია, სკოლამ მისცეს მოსწავლეს განათლების ის დონე, რომელიც საჭიროა ქვეყანაში შემოღებული ეროვნული გამოცდების დასაძლევად. კვლევის შედეგები იძლევა საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ სასკოლო თემი მოსწავლის მთავარ წარმატებად განიხილავს უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას; შესაბამისად, სკოლა არის ის სავალდებულო საფეხური, რომლის დასრულებაც მნიშვნელოვანია ატესტატის, როგორც უნივერსიტეტში ჩაბარების აუცილებელი პირობის, მისაღებად. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის როლზე საუბრისას რესპონდენტთა უმრავლესობა განიხილავს ხარისხიანი განათლების მიღებას, პრაქტიკა აჩვენებს, რომ ხარისხიანი განათლების გაგებაც გაიგივებულია ეროვნული გამოცდების მაღალი შედეგებით ჩაბარებასთან. დღევანდელ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას კი ხარისხიანი განათლების მიწოდების ფუნქცია დაკარგული აქვს. მოსწავლის გამოცდებისთვის მომზადება რეპეტიტორების მთავარ დანიშნულებად იქცა. მსგავსმა დამოკიდებულებამ წაახალისა და, ფაქტობრივად, ყოველდღიურობად აქცია საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენის პრაქტიკა, ამასთან, მათ გაუჩინა სურვილი, რომ საშუალო საფეხურზე ისწავლებოდეს მხოლოდ ის საგნები, რომელთა ჩაბარებაც მოეთხოვებათ აბიტურიენტებს ეროვნულ გამოცდებზე, ხოლო სხვა საგნობრივი კომპეტენციები ახალგაზრდებისთვის უინტერესოა და განიხილება, როგორც დროის ტყუულად ფლანგვა.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ დღეს სკოლა ვერ აღწევს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით გაწერილ შედეგებს. მასწავლებელთა დაბალი კვალიფიკაცია, სკოლის მართვის ბიუროკრატიული სისტემა, სკოლების ინფრასტრუქტურული პრობლემები და საგანმანათლებლო/ტექნოლოგიური რესურსების სიმწირე (აღნიშნული გამოწვევები დასახელდა კვლევის მონაწილეთა მიერ) ვერ უზრუნველყოფს იმგვარი გარემოს ფორმირებას, სადაც მოსწავლე შეძლებს ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენებას, არსებული ცოდნისა და გამოცდილების პრაქტიკაში გადატანას და ამის საფუძველზე სიახლეების (როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური) შექმნას. თითქმის სრულიად უგულებელყოფილია სკოლის როლი მოსწავლეების კარიერული დაგეგმვისა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის საკითხებში. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ახალგაზრდა მზად არ არის, სკოლის დასრულების შემდეგ არჩევანი გააკეთოს მომავალი განათლებისა და კარიერული წინსვლის სასარგებლოდ, რათა შეძლოს საკუთარი ადგილის დამკვიდრება სოციუმში.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიხედვით, სასურველი შედეგების მისაღწევად საჭიროა სასკოლო საზოგადოების ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში. კვლევის

შედეგები აჩვენებს, რომ, სკოლის ადმინისტრაციის წევრებისა და მასწავლებელთა გამოცდილებით, მშობელთა ჩართულობა შვილის სასკოლო ცხოვრებაში მინიმალურია. ეს განსაკუთრებით ხელის შემშლელია მოსწავლის ღირებულებითი სისტემის ჩამოყალიბების პროცესში, რადგან სკოლის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ამ მიზნის წარმატებით მიღწევაში ოჯახის როლი განმსაზღვრელია. თუმცა, ამის პარალელურად, გამოიკვეთა, რომ სკოლის ცხოვრებაში მშობელთა ჩართვის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარი მექანიზმი – სამეურვეო საბჭო – სკოლებში ფორმალურად არსებობს და სინამდვილეში ის ვერ ასრულებს კანონით განსაზღვრულ ვალდებულებებს.

საბოლოო ჯამში, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე (სასკოლო საზოგადოების წევრების აზრით), ზოგადი განათლება დღეს მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, თუმცა აღნიშნული პრობლემები თითოეული ჯგუფისთვის, როგორც რესპონდენტების უმეტესობა აღნიშნავს, უკავშირდება გარე ფაქტორებს, რომლებსაც თავად ვერ გამოასწორებენ (მაგალითად, სკოლის ადმინისტრაციის წევრებისთვის ესაა ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, რომლის გაუმჯობესებასაც თავად ვერ უზრუნველყოფენ, პედაგოგებისთვის – მშობელთა ჩართულობის დაბალი ხარისხი, მოსწავლეებისთვის – მასწავლებელთა უსამართლო დამოკიდებულება მათ მიმართ და მშობელთათვის – მასწავლებელთა დაბალი კვალიფიკაცია, რის გამოც მათ უწევთ შვილების მომზადება რეპეტიტორებთან). ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, რომლებიც ზემოთ აღიწერა, ჩნდება ვარაუდი, რომ სასკოლო საზოგადოების წევრების დიდი ნაწილის (განსაკუთრებით, მშობლების, პედაგოგებისა და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლების) რწმენა-წარმოდგენები განათლების შესახებ მეტწილად ეფუძნება არა სახელმწიფოს ხედვასა და პოლიტიკას, არამედ იმ მოკლევადიან მიზნებს, რომლებსაც განათლების სისტემა უწესებს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს (მასწავლებლის მიერ გამოცდის ჩაბარება, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება, ატესტატის მიღება და სხვ.). ამგვარი მიდგომა კი გახდა „დასწავლილი პრაქტიკა“, რომელსაც იზიარებს საზოგადოების დიდი ნაწილი ყოველგვარი ემპირიული დასაბუთების გარეშე.

ძირითადი მიგნებები

- რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა განათლებას, როგორც ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების სინთეზს, პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მიიჩნევს. განათლების მიღების პროცესში კი (რომელიც უწყვეტია) ზოგად განათლებას, როგორც საბაზისო და სავალდებულო ეტაპს, აქვს ორი ძირითადი დატვირთვა: ერთი მხრივ, მისცეს მოსწავლეს ცოდნა სხვადასხვა საგანში, მეორე მხრივ, წვლილი შეიტანოს არასრულწლოვნის მიერ სოციალური უნარ-ჩვევების დასწავლასა და ღირებულებითი სისტემის ჩამოყალიბებაში.

- მიუხედავად იმისა, რომ სკოლის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციად ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა სახელდება, რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვერ ასრულებს ამ ფუნქციას, რადგან

მოსწავლეთა დიდი ნაწილი (განსაკუთრებით საშუალო საფეხურზე) სკოლის ნაცვლად განათლებას იღებს რეპეტიტორებთან. სკოლის პედაგოგების უმეტესობა აღნიშნავს, რომ რეპეტიტორების ინსტიტუტის გაძლიერება სკოლაში მიწოდებული განათლების დაბალი ხარისხით კი არ აიხსნება, არამედ მშობლის უნდობლობით სასკოლო განათლების მიმართ.

- მშობლები აღნიშნავენ, რომ სასკოლო განათლება ვერ იქნება მათი შვილების უნივერიტეტში ჩაბარების გარანტი, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა კლასებში მოსწავლეთა რიცხვი საკმაოდ დიდია, ხოლო სასკოლო და ეროვნული გამოცდების პროგრამა – ერთმანეთისგან განსხვავებული.

- იმისთვის, რომ სკოლამ შეასრულოს თავისი ფუნქცია-მოვალეობები, ის იყენებს სხვადასხვა დამხმარე რესურსს, როგორიცაა: ეროვნული სასწავლო გეგმა, საგნობრივი კურიკულუმები, სასკოლო სასწავლო გეგმა, თუმცა პრაქტიკა აჩვენებს, რომ პედაგოგების დიდი ნაწილი არ ხელმძღვანელობს ამ რესურსებით, ეს არ არის მათი ჩვეული ყოველდღიური პრაქტიკის ნაწილი. მასწავლებელთა უმეტესობის მიერ აღწერილი სასწავლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ დოკუმენტით განსაზღვრული მიდგომები, ხედვა თუ საკითხები ჯერ კიდევ უცხოა პრაქტიკაში დასამკვიდრებლად. ამასთან, სასკოლო ცხოვრების დაგეგმვის პროცესში მეტწილად ჩართული არიან მასწავლებლები და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ხოლო მოსწავლეებისა და მშობლების როლი შემოიფარგლება უკვე დაგეგმილი პროცესის გაცნობით და შესაძლებლობით, შეიტანონ მასში ცვლილებები, რაც საკმაოდ იშვიათად ხდება.

- მოსწავლეებში ღირებულებითი სისტემის ჩამოყალიბებისა და სოციალური უნარ-ჩვევების დასწავლის მიმართულებით მთავარი იარაღი რესპონდენტებისთვის არაფორმალური განათლებაა, რომელიც მოიცავს, მაგალითად, პროექტების განხორციელებას, კლუბური ფორმატების ჩამოყალიბებას და ა.შ. თუმცა რესპონდენტების უმრავლესობას უჭირს დასაბუთება, თუ როგორ ეხმარება კონკრეტულად ზემოაღნიშნული აქტივობები მოსწავლეს დემოკრატიული ღირებულებებისა და ფასეულობების გაძლიერებაში. არაფორმალური განათლება რესპონდენტებისთვის ცალკე მდგარი ელემენტია, რომელიც ფორმალური განათლებისგან დამოუკიდებლად არსებობს. ამჟამინდელი პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სკოლების უმეტესობაში ჯერჯერობით ვერ ხერხდება ფორმალური და არაფორმალური განათლების შერწყმა და მათი სინთეზით ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გამჭოლი უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების გაძლიერება მოსწავლეებში.

- კვლევის შედეგების მიხედვით, სასკოლო თემის დიდი ნაწილი სკეპტიკურად არის განწყობილი განათლების სისტემაში მიმდინარე თუ სამომავლო რეფორმების მიმართ. ამის მიზეზი კი წარსული გამოცდილებაა, რაც გულისხმობს, რომ ქვეყანაში არ არსებობს მდგრადი და გრძელვადიანი განათლების პოლიტიკა. ამიტომაც არ იქმნება სტაბილური გარემო სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის.

- კვლევაში ჩართულ მოსწავლეთა და სტუდენტთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ სკოლა დღესდღეობით ორიენტირებულია დეკლარირებული ცოდნის გადაცემაზე, რაც, მათი აზრით, არ არის საკმარისი, არასრულწლოვანმა შეძლოს საკუთარი ინტერესების, ძლიერი და სუსტი მხარეების აღმოჩენა; შესაბამისად, მოსწავლეები სკოლის შემდგომ პერიოდს მოუმზადებელნი ხვდებიან, რის გამოც ხშირად ექცევიან საზოგადოების სტიგმების გავლენის ქვეშ და აგრძელებენ სწავლას უნივერსიტეტებში ისეთ მიმართულებებზე, რომლებზედაც ცხადი წარმოდგენაც კი არ აქვთ. მოსწავლეების უმეტესობა სკოლისგან ითხოვს ყველასათვის თანასწორი გარემოს უზრუნველყოფას და დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხს, თუმცა შედეგები გვაფიქრებინებს, რომ სასკოლო გარემოში ჯერ კიდევ ვერ დაინერგა მოსწავლესა და მის ინტერესებზე ორიენტირებული პროგრამები.

- რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სასკოლო განათლების ხარისხს დიდწილად განაპირობებს პედაგოგი, რომელიც უნდა ფლობდეს მაღალ კვალიფიკაციასა და პროფესიონალიზმს, რაც გულისხმობს კონკრეტულ საგანში ფაქტობრივ ცოდნას, სწავლების თანამედროვე და მრავალფეროვანი სტრატეგიების შესახებ ინფორმირებულობას და კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარ-ჩვევების ფლობას. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ დღევანდელი პედაგოგების დიდი ნაწილი ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლებით არ გამოირჩევა.

- პედაგოგები ფიქრობენ, რომ საზოგადოებაში მათ მიმართ ნეგატიური განწყობა ჩამოყალიბდა და მეტწილად – უსამართლოდ, რადგან, მასწავლებელთა აზრით, მათზე დაკისრებული ვალდებულებები ხშირად გადაჭარბებულია და ისინი არ შეესაბამება იმ ანაზღაურებას, რომელიც განსაზღვრულია პედაგოგებისთვის. მასწავლებელთა აზრით, მნიშვნელოვანია, შეიცვალოს მათ მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება და პედაგოგის პროფესია გახდეს მეტად დაფასებული.

- რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ძნელია, შესთავაზო ხარისხიანი განათლება მოსწავლეს იმ პირობებში, როცა სკოლა დგას ინფრასტრუქტურული პრობლემების წინაშე, არ არის აღჭურვილი ტექნიკითა და ლაბორატორიებით, მწირი ბიუჯეტის პირობებში კი ვერ ამარაგებს პედაგოგებს მრავალფეროვანი რესურსებით.

- კვლევის შედეგების მიხედვით, დაბალია სკოლის დირექტორთა ავტონომიურობის ხარისხი სკოლასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. პრაქტიკა აჩვენებს, რომ სკოლის მართვისას ნებისმიერი დეტალი მეტწილად შეთანხმებულია ადგილობრივ რესურსცენტრთან და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

- პედაგოგები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ისინი მარტონი დარჩნენ და არ ჰყავთ მხარდამჭერი მოსწავლეთა ოჯახების სახით; მიუთითებენ, რომ დღესდღეობით მშობლების უმრავლესობა არ ინტერესდება შვილის სასკოლო ცხოვრებით, რაც ნეგატიურად აისახება მოსწავლის განვითარებაზე. პედაგოგები და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ მშობლები არ ფლობენ

ინფორმაციას თავიანთი შვილების ინტერესებისა და საჭიროებების შესახებ და განათლების მიღების მთელი პასუხისმგებლობა სკოლას გადააბარეს.

- ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც, რესპონდენტთა აზრით, მშობლები არ არიან ჩართული შვილის სასკოლო ცხოვრებაში, არის ოჯახების მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. მშობელთა დიდი ნაწილი კი ფიზიკურად არ იმყოფება შვილის/შვილების გვერდით, რადგან ისინი საზღვარგარეთ არიან დასაქმებული. მასწავლებლების დაკვირვებით, შრომითი მიგრანტების შვილებში ხშირად იჩენს თავს ისეთი პრობლემები, როგორიცაა: აგრესიული ქცევა, აკადემიური შესაძლებლობების დაქვეითება, ჩაკეტილობა და სხვ. ამ გამოწვევების პირისპირ მდგარ პედაგოგებს კი არ აქვთ საკმარისი კვალიფიკაცია, დაეხმარონ მოსწავლეებს, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა სკოლებში არ არსებობს ფსიქოლოგის კადრი.

- მშობელთა აქტიურ ჩართულობას ხშირად თავად მოსწავლეები არ იწონებენ. მოზარდთა გამოცდილებით, პედაგოგები მეტწილად მაშინ გამოთქვამენ მშობლებთან კომუნიკაციის სურვილს, როცა სურთ, შეატყობინონ მათ მოსწავლის დაბალი აკადემიური შედეგების ან დისციპლინური გადაცდომების შესახებ.

- სკოლის პედაგოგები და ადმინისტრაციის წარმომადგენლების უმეტესობა მიიჩნევს, რომ მშობელი თავად უნდა ინტერესდებოდეს შვილის სასკოლო ცხოვრებით. ამ ინტერესში კი მეტწილად იგულისხმება მასწავლებელთან/დამრიგებელთან ხშირი კომუნიკაცია არასრულწლოვნის აკადემიური შედეგებისა და დისციპლინური გადაცდომების შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით. სკოლის პერსონალს არ აქვს შემუშავებული მშობლებთან კომუნიკაციის არანაირი სტრატეგია და ფოკუსჯგუფების მიმდინარეობის პროცესში მონაწილეებს ყურადღება არ გაუმახვილებიათ ამგვარი სტრატეგიის არსებობის მნიშვნელობაზე.

- მშობლების დიდი ნაწილი კმაყოფილია სკოლის მუშაობით, თუმცა მათ უჭირთ კონკრეტული ფაქტორების დასახელება, რომლებიც იწვევს აღნიშნულ განცდას. შედეგები გვიჩვენებს, რომ კმაყოფილება მეტწილად განპირობებულია კონკრეტული პედაგოგების თბილი/მეგობრული დამოკიდებულებით მოსწავლის მიმართ და არა სკოლის სტრუქტურირებული მიდგომებითა და სტრატეგიებით, რაც უზრუნველყოფდა ხარისხიანი განათლების მიწოდებას და სოციალიზაციის ჯანსაღ პროცესს.

- კვლევის შედეგების მიხედვით, ფორმალურია სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მუშაობაც, განსაკუთრებით სამეურვეო საბჭოებისა, რადგან, ერთი მხრივ, მშობლები არ გამოხატავენ ინტერესს, ჩაერთონ სკოლის მართვის პროცესში; მეორე მხრივ, სამეურვეო საბჭოს წევრებს არ აქვთ გათავისებული საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები. შესაბამისად, ეს სტრუქტურული ერთეული მეტწილად შემოიფარგლება დირექტორის ანგარიშების მოსმენით და სხვადასხვა სახის დოკუმენტაციის დამტკიცებით. გამოცდილება აჩვენებს, რომ სკოლის მართვის მთელი პასუხისმგებლობა მხოლოდ დირექტორს ეკისრება.

- მოსწავლეთა თვითმმართველობა, რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით, ქმედითი სტრუქტურაა, თუმცა, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ეს სტრუქტურული ერთეულიც ვერ ასრულებს იმ ფუნქციებს, რომლებიც კანონმდებლობით ეკისრება და უმეტესად შემოიფარგლება სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზებითა და ჩატარებით. ხშირია შემთხვევები, როცა სკოლის პედაგოგები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს სთხოვენ, მიიღონ მონაწილეობა თვითმმართველობის არჩევნებში.

კვლევის შედეგები

სასკოლო განათლების როლი და მნიშვნელობა

კვლევაში ჩართული რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ განათლებას ადამიანის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება. სწორედ განათლება ქმნის პიროვნებას, რადგან ცოდნის მიღება – ესაა პროცესი, რომელიც ეხმარება ადამიანს, მიიღოს ინფორმაცია, დაამუშაოს ის, რის საფუძველზედაც შეიძენს უნარ-ჩვევებსა და ღირებულებებს. განათლება კვლევაში ჩართული ყველა ჯგუფისთვის (მოსწავლეები, მშობლები, სტუდენტები, პედაგოგები და დირექციის წარმომადგენლები) განიმარტება, როგორც ცოდნისა და უნარების სინთეზი, რომელიც ადამიანის განვითარებისა და წარმატების საწინდარია, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ქვეყნის წინსვლაზე. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინის შინაარსს სხვადასხვა ჯგუფში მეტწილად ერთნაირად აღიქვამენ, მაინც შეიმჩნევა მცირე განსხვავება, განსაკუთრებით მოსწავლეების/სტუდენტებისა და სკოლის დირექციის/მასწავლებლების/მშობლების მოსაზრებებს შორის, კერძოდ, სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები (როგორც უნივერსიტეტის, ასევე პროფესიული კოლეჯის) განათლებას განიხილავენ, როგორც შესაძლებლობას/ინსტრუმენტს, რომლის საშუალებითაც მათ შეუძლიათ, აღმოაჩინონ საკუთარი ინტერესები და შესაძლებლობები, რათა სამომავლოდ მიაღწიონ წარმატებას. რესპონდენტები განათლებას განიხილავენ, როგორც უწყვეტ პროცესს, რომელიც ხორციელდება ნებისმიერ გარემოში, აქცენტი კი დასმულია იმაზე, თუ როგორ მოახერხებს ადამიანი მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გადატანას პრაქტიკაში. მოკლედ რომ ვთქვათ, განათლებად განიხილება ყველაფერი ის, რისი გამოყენებაც შესაძლებელია დასახული მიზნის მისაღწევად. ახალგაზრდებისა და მოზარდებისთვის მეტწილად მნიშვნელობას იძენს ის ცოდნა/უნარ-ჩვევები თუ გამოცდილება, რომლებიც, მათ იციან, როგორ და რაში გამოიყენონ. რაც შეეხება პედაგოგებს, დირექტორებსა და მშობლებს, ისინი განათლებას განიხილავენ ერთგვარ ატრიბუტად, რომელიც ადამიანს სძენს საზოგადოებისთვის მისაღებ/მოსაწონ პიროვნულ მახასიათებლებს. ისმება ერთგავრი ტოლობის ნიშანი განათლებულ და კულტურულ ადამიანს შორის, ანუ განათლება, რესპონდენტების გაგებით, ეხმარება ადამიანს, გახდეს ღირსეული, თავაზიანი, კეთილი,

ტოლერანტი. ამ უკანასკნელს ზოგიერთი რესპონდენტი აიგივებს რელიგიური რწმენის (ძირითადად, მართლმადიდებლური რწმენის) ქონასთანაც. მშობლების ნაწილი მიიჩნევს, რომ მოსწავლის ღირებულებითი და მორალური სისტემის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანია, სკოლაში დაბრუნდეს რელიგიის სწავლება. რესპონდენტების თქმით, ამჟამინდელი გარემო ხშირად ძალადობრივია და ბავშვებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია, როგორ დაძლიონ სხვადასხვა გამოწვევა, რომლებიც მორალურ დილემებს უკავშირდება. სკოლაში რელიგიის სწავლება (რაც არ მოიაზრებს მხოლოდ მართლმადიდებლობის სწავლებას) ხელს შეუწყობს ამ პრობლემის გადაჭრას.

„განათლება ფართო სპექტრით ყველას და ყველაფერს შეეხება. განათლება კულტურის განუყოფელი ნაწილია“. (პედაგოგი)

„განათლება ძალიან მნიშვნელოვანია ცალკეული ადამიანებისთვის და ქვეყნისთვის. წარმატება ჩემთვის განათლებაა, კანონმორჩილება ჩემთვის განათლებაა... სხვისი აზრის პატივისცემა განათლებაა და, რაც უფრო განათლებულია [ადამიანი] და განათლების ხარისხი მაღალია ქვეყანაში, ვფიქრობ, უფრო მეტად არის ის ქვეყანა განვითარებული“. (სკოლის დირექციის წარმომადგენელი)

„ჩემთვის განათლება არის ღირსეული ადამიანი, მოქალაქე და ზოგადი პიროვნული ნიჭი... კულტურას დავამატებდი, ჩემთვის ეს უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე სწავლა“. (მშობელი)

„ჩემთვის, მაგალითად, განათლება არის ის, რასაც ადამიანი იძენს მთელი ცხოვრების მანძილზე. აი, ზოგი თვლის, რომ რაღაც ეტაპზე უნდა გააჩერო ეს განათლება, რადგან საკმარისი გაქვს მიღებული, მაგრამ მე ესე არ ვთვლი, რადგან ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში რაღაც გარკვეულ სფეროში ნებისმიერი ინფორმაციის სახით იღებს განათლებას და ვითარდება“. (მოსწავლე)

„განათლება, ზოგადად, ძალიან ბევრი კომპონენტის ერთობლიობა მგონია, იმიტომ რომ ერთ კონკრეტულ რაღაცას არ მოიცავს და თუნდაც სოციალიზაციის პროცესში ძალიან ბევრ რაღაცაში გვეხმარება და გვჭირდება. რა თქმა უნდა... საკუთარი თავისკენ მიმავალ გზაზე განათლება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არის, რაც შეიძლება დაგვეხმაროს და გვაპოვნინოს ის, რასაც ვეძებთ“. (სტუდენტი)

„რა თქმა უნდა, უნდა იყოს რელიგიების გაკვეთილები. ამოიღეს ეს. ჯერ ერთი, ეს რელიგიაც მარტო მართლმადიდებლობას არ უნდა მოიცავდეს, [სკოლაში] ზოგადი განათლება უნდა მიიღონ. [ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რომ] ჩვენი სახელმწიფო ამან [რელიგიამ] გადაარჩინა. ეს არის რეალობა. თუნდაც ის, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ...“ (მშობელი)

რესპონდენტების დიდი ნაწილი თანხმდება იმაზე, რომ ადამიანის განათლების ხარისხს არ განსაზღვრავს მისი არჩევანი, გააგრძელებს თუ არა ის სწავლას უმაღლეს სასწავლებელში. კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ქონა ვერ იქნება ყველა შემთხვევაში განათლებულობის უპირობო ნიშანი.

რესპონდენტები აქცენტს აკეთებენ პროფესიონალიზმსა და კვალიფიკაციაზე, რომლებსაც უნდა ფლობდეს ადამიანი რომელიმე სფეროში. ამისთვის კი საჭიროა მონდომება, ინტერესი, ზოგიერთ შემთხვევაში – განსაკუთრებული შესაძლებლობებიც. თუმცა, რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ საქართველოში განათლების ხარისხს უმეტესად განსაზღვრავს ადამიანის მიერ მიღებული განათლების საფეხური. შესაბამისად, უმაღლესი განათლება არის ერთგვარი საწინდარი „განათლებული ადამიანის“ სტატუსის მოსაპოვებლად. ამგვარი დამოკიდებულება კი, რესპონდენტთა აზრით, განათლების არსის გაგებას აზიანებს და საზოგადოებაში აჩენს არასწორ მოლოდინსა და დამოკიდებულებას, რადგან ამ შემთხვევაში განათლება შემოიფარგლება მხოლოდ დეკლარირებული ცოდნის მიღებით და მისი გაზომვა თუ დადასტურება შეიძლება დიპლომით. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტების უმეტესობა იზიარებს ზემოაღნიშნულ მოსაზრებას, მოსწავლეებიც, მშობლებიც, პედაგოგებიც და ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც აღნიშნავენ, რომ მათი/მათი შვილების/მათი მოსწავლეების სამომავლო გეგმები სწორედ უმაღლესი განათლების მიღებას უკავშირდება და მოსწავლის/სკოლის წარმატებად სწორედ ის მიიჩნევა, თუ ვინ ჩააბარებს ერთიან ეროვნულ გამოცდებს საუკეთესო შედეგებით.

„განათლებაში ერთი კონკრეტული რამ არ იგულისხმება. არ აქვს მნიშვნელობა, თუ აქვს დამთავრებული უნივერსიტეტი ან კოლეჯი. შეიძლება თავისი საქმის პროფესიონალი იყოს“. (სტუდენტი)

„ყველას არა აქვს ის, რომ, ვთქვათ, უმაღლესი განათლება მიიღოს. ხომ არის ზოგადი განათლება, რომელიც დღეს ნამდვილად საჭიროა და არც დასაძრახი არაა, [რომ] ნორმალური პროფესია, ჩვეულებრივ, შეუძლია აირჩიოს ადამიანმა და მაინცდამაინც უმაღლეს განათლებაზე არ იყოს ორიენტირებული“. (მშობელი)

„გადაწყვეტილი არ მაქვს [რა პროფესიას ავირჩევ], მაგრამ უნივერსიტეტში მინდა ჩაბარება“. (მოსწავლე)

როგორც უკვე აღინიშნა, უმაღლესი განათლება არ განიხილება, როგორც სავალდებულო საფეხური, რომელიც უპირობოდ მნიშვნელოვანია განათლების მისაღებად; სასკოლო განათლება კი რესპონდენტების უმრავლესობისთვის არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანის ცხოვრებაში და ის დიდ გავლენას ახდენს პიროვნების ჩამოყალიბებასა და მის შემდგომ განვითარებაზე. სკოლის როლზე საუბრისას რესპონდენტები ყურადღებას ამახვილებენ 2 ძირითად ასპექტზე, კერძოდ, საგანმანათლებლო და სოციალურ ასპექტებზე. ფოკუსჯგუფების მონაწილეების აზრით, სკოლის მთავარი ფუნქცია მოსწავლეების ცოდნით აღჭურვაა, რაც გულისხმობს მათთვის სხვადასხვა საგნობრივი კომპეტენციის ფარგლებში ზოგადი ინფორმაციის მიწოდებას, მიღებული ცოდნის გაანალიზების შესაძლებლობის უზრუნველყოფას და პრაქტიკაში მისი გამოყენებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გაძლიერებას. თუმცა არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ (ზოგჯერ ცოდნის მიღების თანაბარსაც) სკოლის სოციალურ ასპექტს, რადგან რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ბავშვი სასკოლო ასაკში ირგებს ახალ როლებს, რაც იწვევს

მისი სოციალიზაციის პროცესის ახალ საფეხურზე გადასვლას, რადგან კონტექსტი და გარემო სრულიად იცვლება. რესპონდენტების უმრავლესობა (განსაკუთრებით დირექციის წარმომადგენლები და პედაგოგები) სოციალიზაციის პროცესში სკოლას ანიჭებენ იმავე მნიშვნელობას, რასაც ოჯახს. სკოლის სოციალურ ასპექტზე საუბრისას იდენტიფიცირებულ იქნა რამდენიმე ძირითადი საკითხი, კერძოდ: 1. **სოციალური უნარ-ჩვევების დასწავლა** – რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ სასკოლო გარემო, რომელიც მეტწილად სტრუქტურირებულია და მასში ჩართვა გულისხმობს დაწესებული ნორმებისა და წესების მიღებას, მოსწავლეებს უბიძგებს, მოახდინონ სიახლეებთან ადაპტირება, განუვითარდეთ პასუხისმგებლობის გრძნობა, თვითდისციპლინა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევები. ეს ყველაფერი კი ხელს უწყობს მოზარდების ინტეგრაციას ჯგუფში და სასკოლო ცხოვრებაში მათი როლის გააზრებას. გარდა ამისა, მოსწავლეები სკოლაში ახერხებენ სოციალური კავშირების განვითარებას, აყალიბებენ სამეგობრო წრეს და ერთგვარ მხარდამჭერ ქსელს. ამგვარად, ბავშვები იწყებენ ოჯახის გარეთ არსებულ სოციალურ რეალობასთან შეგუებას. ამ პროცესში კი იზრდება მათი დამოუკიდებლობის ხარისხი. 2. **ღირებულებებისა და ფასეულობების გაძლიერება/დამკვიდრება** – რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და, ამავე დროს, რთული ვალდებულება, რომელიც სკოლას აქვს, არის მოსწავლეებში ღირებულებითი სისტემის ჩამოყალიბება. ამ პროცესში კი სკოლა უნდა ეხმარებოდეს მოსწავლეს, აღმოაჩინოს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, გაითავისოს ურთიერთობაში თანაგრძნობის/ემპათიის მნიშვნელობა, ჩამოყალიბდეს, როგორც ტოლერანტი, შრომისმოყვარე, აქტიური პიროვნება, რომელსაც ექნება შესაძლებლობა, გამოავლინოს როგორც გუნდური მუშაობისთვის საჭირო, ისევე ლიდერული უნარ-ჩვევები, რათა შემდგომში გახდეს კანონმორჩილი და აქტიური მოქალაქე, რომელიც საკუთარ წვლილს შეიტანს ქვეყნის უკეთესი მომავლის შექმნაში.

ძირითადად, სკოლის დირექციის წარმომადგენლები და ნაწილი პედაგოგებისა სკოლის როლსა და დანიშნულებაზე საუბრისას ყურადღებას ამახვილებენ ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებზე და აღნიშნავენ, რომ ეს დოკუმენტი იძლევა პასუხს, თუ რა როლი ენიჭება სკოლას მოზარდის ცხოვრებაში, რაში უნდა შეუწყოს ხელი საგანმანათლებლო დაწესებულებამ ბავშვს და რა შედეგი უნდა დაიდოს საბოლოოდ. აღნიშნული დოკუმენტის შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ მოსწავლეები და მშობლები, თუმცა სკოლის როლსა და დანიშნულებაზე საუბრისას ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცოდნა/არცოდნა არ იწვევს მნიშვნელოვან განსხვავებას რესპონდენტების მოსაზრებებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეთა და მშობლების უმეტეს ნაწილს არ სმენია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შესახებ, მათი და სკოლის დირექტორებისა და მასწავლებლების შეხედულებების მოსაზრებები სკოლის როლსა და დანიშნულებაზე თითქმის იდენტურია.

„[სკოლის] უპირველესი დანიშნულება არის ის, რომ მისცეს ბავშვს სრულყოფილი განათლება, ზოგადი განათლება, მაგრამ, ამავე დროს, ყველაზე მნიშვნელოვანია ბავშვის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბება. აი, მეთორმეტე კლასს რომ დაამთავრებს ბავშვი, უნდა იყოს ჩამოყალიბებული პიროვნება, უნდა შეეძლოს საზოგადოებასთან ურთიერთობა“. (მშობელი)

„ჩემი აზრით, სკოლამ უნდა შეძლოს, მოსწავლე ისეთ ადამიანად ჩამოაყალიბოს, რომ [ის] ადვილად ადაპტირდეს გარემოში, შეძლოს ცოდნის გამოყენება, რეალიზება. ჰქონდეს რაღაც ისეთი უნარი, გამომგონებლური უნარი, შემოქმედებითი უნარები, ყველა უნარზე გავიდეს, რაც სამომავლოდ დაეხმარება, რომ შეარჩიოს, რა პროფესია მოსწონს, რა არის მისი ძლიერი მხარე, რა არის სუსტი, მოკლედ, სამომავლოდ რომ ადაპტირდეს და გამოწვევებს გაუმკლავდეს მარტივად". (მშობელი)

„სკოლამ უნდა აღზარდოს ოცდამეერთე საუკუნის ახალგაზრდები, ანუ... თავისუფლად მოაზროვნე ადამიანები, აი, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარის მქონე ადამიანები, რომლებიც შეძლებენ, პრაქტიკულად გამოიყენონ [მიღებული ცოდნა], მოცემულ სიტუაციაში მიიღონ ადეკვატური გადაწყვეტილებები. უნდა ჰქონდეთ მიმღებლობა, ასე ვიტყოდი, თანამედროვე ტერმინს გამოვიყენებ, გლობალური მოქალაქეები უნდა იყვნენ, ნუ, ამაში რა მოიაზრება, ყველა პედაგოგმა იცის". (პედაგოგი)

„გარდა უნარებისა და საბაზისო ცოდნისა, სკოლამ ასევე უნდა იზრუნოს მის [მოსწავლის] პიროვნებად ჩამოყალიბებაზე, რა მორალის მატარებელი იქნება ის ცხოვრებაში და როგორი ადამიანი იქნება. შეიძლება მას უნარებიც ძალიან კარგად ჰქონდეს განვითარებული, შეიძლება ცოდნაც მაღალი ჰქონდეს, მაგრამ, როგორც პიროვნება, როგორც მოქალაქე, როგორც ადამიანი, ვერ შედგეს და ამიტომ ვთვლი, რომ იმასთან ერთად ეს ძალიან მნიშვნელოვანია". (სკოლის დირექციის წარმომადგენელი)

„სკოლა მარტო ის ადგილი არ არის, სადაც მხოლოდ განათლებას იღებ, სკოლაში შეიძლება ბევრი რაღაც ისწავლო, რაც შემდგომ ცხოვრებაში გამოგადგება, მაგალითად, სკოლა უნდა გასწავლიდეს კომუნიკაციას, როგორ დაიმკვიდრო თავი საზოგადოებაში". (მოსწავლე)

სკოლის მუშაობის პრაქტიკა და გამოცდილება

კვლევაში ჩართული სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელები და პედაგოგები აღნიშნავენ, რომ სკოლა დღესდღეობით ფლობს მრავალ რესურსს, რათა მიღწეულ იქნეს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები. მთავარ ინსტრუმენტად ისინი ასახელებენ ეროვნულ სასწავლო გეგმას, კურიკულუმებსა და სასკოლო სასწავლო გეგმას. მათი თქმით, სასწავლო პროცესის დაგეგმვაში აქტიურად არიან ჩართული სკოლის პედაგოგიური საბჭოს/კათედრების წევრები დირექციის წარმომადგენლებთან ერთად და მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად შეიმუშავებენ მომავალი წლის გეგმას. იკვეთება, რომ სასკოლო ცხოვრების დაგეგმვის პროცესში თითქმის არ მონაწილეობენ მოსწავლეები და მშობლები. არსებული პრაქტიკა მშობლებს, ძირითადად, აძლევს შესაძლებლობას, გაეცნონ უკვე შექმნილ დოკუმენტებს (ძირითადად, შინაგანაწესს) და გამოთქვან მოსაზრებები ცვლილებების შეტანის შესახებ (თუმცა პრაქტიკა აჩვენებს, რომ მშობელთა მხრიდან ცვლილებების შესახებ

ინიციატივები საკმაოდ იშვიათია). რაც შეეხება უშუალოდ დაგეგმვის პროცესს, მოსწავლეებისა და მშობლების როლი მინიმალურია, ან საერთოდ არ იკვეთება. ასეთ პრაქტიკას მეტწილად იწონებენ მშობლები და მოსწავლეები, რადგან, მათი აზრით, მასწავლებლებსა და სკოლის ადმინისტრაციას აქვთ მეტი კვალიფიკაცია და ცოდნა იმისა, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს სასკოლო ცხოვრება და, შესაბამისად, საჭირო არ ხდება სხვა ჯგუფების ჩართვა ამ პროცესში. მოსწავლეები და მშობლები არ ფლობენ ინფორმაციას, კონკრეტულად რა დოკუმენტების/მასალების საფუძველზე იგეგმება სასწავლო პროცესი; მათ უმეტესობას არაფერი სმენია ეროვნული სასწავლო გეგმის, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და სასკოლო სასწავლო გეგმის შესახებ. მიუხედავად ამისა, სასკოლო საზოგადოების დიდი ნაწილი კმაყოფილია სკოლებში მიმდინარე სასწავლო პროცესით. პედაგოგები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები, როგორც თავად აღნიშნავენ, იყენებენ მათ ხელთ არსებულ ყველა საშუალებას, რომ სასკოლო ცხოვრება მოსწავლეებისთვის საინტერესო და მრავალფეროვანი იყოს. სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს, რესპონდენტების თქმით, ისინი ძირითადად (იშვიათი გამონაკლისების გარდა) ეყრდნობიან ეროვნულ სასწავლო გეგმას და მიიჩნევენ, რომ სხვადასხვა აქტივობითა თუ კომპლექსური დავალებების გამოყენებით აღწევენ დასახულ მიზნებს. ზოგადად, რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ დღევანდელი სკოლა მეტწილად ასრულებს იმ ფუნქცია-მოვალეობებს, რომლებიც მას აკისრია. რესპონდენტთა თქმით, პედაგოგები გადიან ტრენინგებს, რომლებიც ეხმარებათ, დანერგონ სწავლების ახალი მეთოდოლოგიები თუ სტრატეგიები. გარდა ამისა, ისინი იწონებენ სკოლების მიერ განხორციელებულ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა: პროექტების, სხვადასხვა სახის სოციალური კამპანიების, კონფერენციების, ღონისძიებების მომზადება და ჩატარება. ამასთან, პოზიტიურად ფასდება კომპლექსური დავალებები.

„პიროვნების ფორმირებისთვის ძალიან დიდი როლი აქვს სკოლას და, რა თქმა უნდა, იმ რგოლს, რაც არის ეს სამეული – მშობელი, მასწავლებელი და მოსწავლე. დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ ამ პოზიტივისკენ ვართ ჩვენ მომართული და ვემსახურებით ამ საქმეს. მჯერა, რომ კარგადაც გამოსდის ზოგადად ამ ეტაპზე ყველას, პლიუს-მინუს“. (სკოლის დირექციის წარმომადგენელი)

„პედსაბჭოზე სხვადასხვა საკითხია დასმული. განვიხილავთ სემესტრის შედეგებს, კათედრების მუშაობას... დასწრებას... რჩევებს ყოველთვის ვეკითხებით დაწყებითის მასწავლებლებს... ვუზიარებთ გამოცდილებას“. (პედაგოგი)

„გვაქვს სასწავლო გეგმა, მერე კათედრებიდან შემოსული [ინფორმაცია] და, ფაქტობრივად, ყველას ინტერესს ვითვალისწინებთ. გეგმა დგება მოსწავლეებზე, მშობლებზე, კათედრებზე, ყველაზე დაყრდნობით. მოკლევადიანზე მაქვს საუბარი და გრძელვადიანი – მით უმეტეს“. (პედაგოგი)

„იქიდან გამომდინარე, რომ აბიტურიენტი არის ჩემი შვილი, ფსიქოლოგიაზე უნდა [ჩაბარება] და დიდი წვლილი მიუძღვის სკოლას. მაქსიმალურად, თუნდაც პროექტებში ჩართვით,

აქტიურად გააფართოვა მისი ცოდნის არეალი. ასე რომ, დიდი ხელშეწყობა და წვლილი მიუძღვის სკოლასაც". (მშობელი)

„მე კმაყოფილი ვარ და სკოლის სახელიც არის, მასწავლებლის სახელიც არის მოსწავლის წარმატებაში. პედაგოგი სულ ცდილობს, განათლება მიიტანოს ბავშვების გულამდე. ერთ-ერთი დიდი და უძლიერესი ძალაა სკოლა. ბავშვზეც არის დამოკიდებული. პედაგოგმა რაც უნდა გააკეთოს, აზრი არ აქვს. ჯერ ბავშვზე არის და მერე – სკოლაზე... პედაგოგზე". (მშობელი)

შედარებით მცირეა იმ რესპონდენტების წილი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სკოლა დღესდღეობით თავს ვერ ართმევს ნაკისრ ვალდებულებებს. მონაწილეთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სკოლა ვერ აღწევს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და, შესაბამისად, სასკოლო სივრციდან ვერ უშვებს ახალგაზრდებს, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან მათთვის საჭირო ცოდნითა და უნარ-ჩვევებით. ამასთან, ხშირად ვერ ახერხებს ლიბერალური და დემოკრატიული, ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებებისა გაძლიერებას მათში. მეტიც, ზოგიერთი რესპონდენტი მიიჩნევს, რომ ახალგაზრდების წარმატება, მათი პრაგმატულობა თუ სწორი დამოკიდებულება სხვადასხვა საკითხის მიმართ არ არის სკოლის დამსახურება, რადგან ახალი თაობა თავად არის სიახლეების მძებნელი, ინტერესიანი და მონდომებული, სკოლა კი ამაში ფეხს ვერ უწყობს. კითხვაზე, თუ რა არის ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზები, რესპონდენტების უმრავლესობას უჭირს პასუხის გაცემა, თუმცა გამოიკვეთა რამდენიმე ასპექტი. უმთავრესი კი ის არის, რომ განათლების სისტემაში არსებული პოლიტიკა პრაქტიკაში ვერ სრულდება და მეტწილად ფურცელზე რჩება. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც მათთვის სინამდვილეში არის მთავარი გზამკვლევი (რაკი ის მოიცავს ყველა ძირითად კომპონენტს, რომლებიც მათ უნდა დაეხმაროს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში), პრაქტიკაში ვერ ხორციელდება. მიუხედავად პედაგოგების მონდომებისა, ეს პრობლემა მწვავედ დგას. აღნიშნულ საკითხზე ყურადღებას ამახვილებენ კვლევაში ჩართული ექსპერტებიც და აღნიშნავენ, რომ ჯერჯერობით ვერ დაინერგა პროგრამები, რომელთათვისაც ამოსავალი იქნება კონკრეტული მოსწავლის საჭიროება. პრაქტიკა აჩვენებს, რომ პედაგოგების უმეტესობა სასწავლო პროცესს გეგმავს, ძირითადად, სახელმძღვანელოს მიხედვით; ნაკლებად ცდილობს, მოარგოს თემები დასახულ გრძელვადიან მიზნებს და, რაც მთავარია, სახელმძღვანელოში მოცემული პროგრამული მასალა წლის ბოლოსთვის დაასრულოს. ექსპერტების შეფასებით, პროცესი არ იგეგმება თანამშრომლობის პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს საგნობრივი კათედრების გამოცდილების გაზიარებას და პროცესის ერთობლივად დაგეგმვას. რეალობა არის ის, რომ პედაგოგები მეტწილად ფორმალურად უდგებიან ამ საკითხს. თუმცა ამ მოსაზრებას პედაგოგთა და დირექციის წარმომადგენელთა დიდი ნაწილი არ ეთანხმება. ისინი მიიჩნევენ, რომ მათ სკოლაში არსებობს პოზიტიური ორგანიზაციული კულტურა და გადაწყვეტილებებს ერთობლივად, ყველას მონაწილეობით იღებენ. ამასთან, ისინი ვერ ხედავენ გამოწვევას საგნობრივი კათედრების მუშაობის კომპონენტში. გარდა ამისა, კვლევაში ჩართული პირები (მეტწილად, პედაგოგები და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები) ახალგაზრდებში ღირებულებითი სისტემის

ჩამოყალიბებას უფრო მეტად ოჯახის ფუნქციად მიიჩნევენ; შესაბამისად, სიმძიმის ცენტრი ამ კომპონენტში გადატანილია ოჯახზე. რესპონდენტთა გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ რთულია, მოსწავლეს შესთავაზო ღირებულებათა სისტემა, როცა ოჯახში ის სულ სხვა რეალობას ხედავს. ამის საპირისპიროდ, სკოლის მოსწავლეთა და სტუდენტთა ნაწილი მიუთითებს ისეთი სასკოლო პრაქტიკის არსებობაზე, რომელიც ხელს ვერ უწყობს მათ იმ ტიპის განათლების მიღებაში, რომ აღმოაჩინონ საკუთარი ინტერესები, სუსტი და ძლიერი მხარეები, გახდნენ კონკურენტუნარიანი და მიაღწიონ წარმატებას. რესპონდენტების თქმით, სკოლა ვერ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს და შემოიფარგლება მეტწილად დეკლარირებული ცოდნის გადაცემით. ისიც არ არის ხარისხიანად მიწოდებული და, შესაბამისად, არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მისცეს მოზარდს ზოგადი ცოდნა და განათლება, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნება პრაქტიკულად. რესპონდენტების ჯგუფებს შორის მოსაზრებათა მსგავსი განსხვავება და სასკოლო თემის წარმომადგენლების მიერ სტატუს-კვოს სხვადასხვანაირი შეფასება აჩენს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ პრობლემების იდენტიფიცირება საგანმანათლებლო დაწესებულებებში ნაკლებად ხდება. ამასთან, იკვეთება კომუნიკაციის პრობლემები, რაც, თავის მხრივ, შესაძლოა, რეალობის განსხვავებულად აღქმის მიზეზი იყოს. თუმცა მთავარი ისაა, რომ სასკოლო თემის წარმომადგენლები ნაკლებად არიან ორიენტირებული, გაიგონ, რა საჭიროებებს ხედავენ სასკოლო საზოგადოების სხვა წევრები და, ძირითადად, პასუხისგებლობისა და სიმძიმის ცენტრის გადატანას ცდილობენ არა საკუთარ თავზე, არამედ სხვა ჯგუფებსა და მათ ნაკლოვანებებზე.

„რომ ვთქვა, რომ დიდად... რაღაცის საშუალება მომცა სკოლამ და ჩემი მომავალი სკოლიდან დავგეგმე, ეგრე არ არის, იმიტომ რომ, სამწუხაროდ, არ გვაქვს ისეთი განათლების სისტემა, რომ მომავლისთვის მოგვამზადოს. ამიტომ მაგალითს ვერ მოვიყვან, იმიტომ რომ მარტო ვსწავლობ იმ დავალებას, იმ საგანს, რაც იმ დღეს მჭირდება და ეს ყველაფერი არ არის გათვლილი უფრო დიდ ვადებზე“. (მოსწავლე)

„ვისურვებდი, რომ ცოტა სხვა კუთხის აქტივობები იყოს სკოლაში. სამწუხაროდ, ჩემი შვილების სკოლა ხშირად შემოიფარგლება... სტანდარტული სასწავლო პროგრამის გავლით, დავალებების მიცემით და შესრულებით, შემაჯამებელი წერებით. ამ ბოლოს კომპლექსური დავალებები, ზოგჯერ მიუღებელი ჩემთვის, ვერ მიდის შედეგამდე“. (მშობელი)

„რას ვაკეთებთ, ვფიქრობ ხოლმე... ბევრს ვერაფერს, ვერც მე და ვერც სკოლა... ჩვენ მეტის შეთავაზება შეგვიძლია, არა მხოლოდ განათლების კუთხით... კარგია ის, რომ უნდა ჩაიხედო თითოეულ მოსწავლეში, თუმცა ეს არის სიტყვები. როცა ტაქტიკურად შევხედავ ამ ყველაფერს, ყველაფერს ვერ ვაკეთებ, როგორი მოსწავლეც მინდა გამოვძერწო. შეიძლება მქონდეს ამის უნარი მე და ჩემს კოლეგებს, მაგრამ ვერ გავაკეთოთ... რისი ბრალია, წუღარ მკითხავთ...“ (სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი)

„თვითონ ეს თაობა ძალიან პრაგმატულია, მაგრამ ეს სკოლის დამსახურება არ არის, ეს პრაგმატულობა მათ ცხოვრებამ და იმ სოციალურმა გარემომ ასწავლა, რომელშიც ჩვენ ვართ“. (სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი)

„[პედაგოგებისთვის] ათვლის წერტილად მაინც რჩება სახელმძღვანელო და ამისთვის ვიბრძვით, რომ ეს ასე არ იყოს... თანამშრომლობის კულტურა ძალიან დაბალია. [სასწავლო პროცესს] კათედრა კი არ გეგმავს, გეგმავს ერთი მასწავლებელი“. (ექსპერტი)

„ძირითადად, სახელმძღვანელოს მიჰყვებიან [პედაგოგები]... იდეაში... ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, სახელის დონეზე, ასე ვთქვათ, იცნობენ მასწავლებლები, მაგრამ... პრაქტიკა აჩვენებს, რომ გააზრებული ნაკლებად აქვთ“. (ექსპერტი)

არაფორმალური განათლება და მისი როლი სასკოლო ცხოვრებაში

რესპონდენტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მოსწავლეებში ღირებულებითი სისტემის ჩამოყალიბებასა და უნარ-ჩვევების გამომუშავებას ხელს უწყობს არაფორმალური განათლება, რომელიც რესპონდენტების მიერ განხილულია არა როგორც, ზოგადად, სასკოლო ცხოვრების ნაწილი ფორმალურ განათლებასთან ერთად, არამედ, როგორც ცალკე მდგარი, დამოუკიდებელი „სტრატეგია“ ან „მეთოდი“. რესპონდენტთა მსჯელობიდან იკვეთება, რომ არაფორმალური განათლება წარმოადგენს ტრადიციულ სასკოლო სისტემაში არსებული ხარვეზების კომპენსირების შესაძლებლობას და ინსტრუმენტს იმ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის, რომლებიც უგულებელყოფილია ფორმალურ განათლებაში. რესპონდენტთა თქმით, ყველა ის ღირებულება თუ უნარ-ჩვევა, რომლებიც გაწერილია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში, მიიღწევა არაფორმალური განათლებით, კერძოდ, პროექტების მომზადებით (და მათი განხორციელებით) ისეთ თემებზე, როგორიცაა ადამიანის უფლებები, ჯანსაღი ცხოვრების წესი, გარემოს დაცვა, გენდერული თანასწორობა და ა.შ. კვლევის მონაწილეებისთვის არაფორმალური განათლება – ესაა ერთგვარი კლასგარეშე საქმიანობა, კლუბური მუშაობა, რომელიც ეხმარება მოსწავლეს, აღმოაჩინოს საკუთარი ინტერესები, ხელს უწყობს კარიერულ დაგეგმვაში, განუვითარებს ტოლერანტულ და ემპათიურ განწყობას სხვადასხვა საკითხის მიმართ და აძლევს ზოგად ინფორმაციას ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პრიორიტეტული თემების (ასევე, სხვა საკითხების) შესახებ. კვლევაში ჩართული პედაგოგებისა და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლების თქმით, მოსწავლეებს უფრო მეტად მოსწონთ არაფორმალური აქტივობები, რადგან, მათი შეფასებით, ამ პროცესში ყველა ბავშვს ეძლევა საშუალება, გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. ზემოაღნიშნული აქტივობების ფარგლებში ისინი მუშაობენ იმ საკითხებზე, რომლებიც მათი ინტერესის სფეროში ექცევა. ამგვარად, ხდებიან მეტად დამოუკიდებელნი და მოტივირებულნი. მსგავსია მოსწავლეთა შეფასებებიც. მათი

თქმით, ყველაზე მეტად სკოლაში არაფორმალური აქტივობები მოსწონთ, რადგან ამ ტიპის ღონისძიებები დიდ როლს ასრულებს მათი პიროვნული განვითარების პროცესში.

„არაფორმალურ განათლებაში რასაც მოვიაზრებ, არის სხვადასხვა პროექტები, კლასგარეშე აქტივობები. მე ვახორციელებ ძალიან ბევრ აქტივობას და, როცა ვაკვირდები ამ მოსწავლეებს, [ეს საქმიანობა] ძალიან დადებითად მოქმედებს მათზე. [მოსწავლეებს] უვითარდებათ პასუხისმგებლობის გრძნობა და [ხვდებიან,] რომ ისინი არიან დაფასებული ამ სასკოლო საზოგადოებაში. გაკვეთილზე [მოსწავლე] შეიძლება სუსტი იყოს, მაგრამ ლიდერი იყოს ასეთ პროექტებში“. (პედაგოგი)

„უფრო თამამები არიან [არაფორმალურ აქტივობებში]. შეიძლება გაკვეთილი ვერ მოჰყვა მოსწავლემ, მაგრამ სხვადასხვა აქტივობაში ისე კომფორტულად იგრძნოს თავი და ისე თამამად წარმოაჩინოს [თავისი] ნამუშევარი... ნამდვილად შეუწყო ამან [არაფორმალურმა განათლებამ] მოსწავლის სხვადასხვა უნარების განვითარებას ხელი“. (პედაგოგი)

„სტანდარტული გაკვეთილი იმდენად ვერ მოიტანს შედეგს, რამდენადაც ბავშვების გაყვანა სხვადასხვა სივრცეში და მათი უნარების გამოვლენა“. (სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი)

„გარდა საგაკვეთილო პროცესისა, ყველაზე მნიშვნელოვანი ამ უნარების განვითარებაა, რაც მნიშვნელოვანწილად ხდება არაფორმალური განათლების კულტივირებით სკოლებში... არაფორმალური განათლება გულისხმობს, რა თქმა უნდა, სხვადასხვა წრეს, ღონისძიებას, კლუბს, ექსკურსიას, ნებისმიერ არაფორმალურ ღონისძიებას“. (სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი)

„ჩემს სკოლაში შემოიღეს ძალიან ბევრი სხვადასხვაგვარი კლუბი, მაგალითად, მეწარმეობა, ასევე, დებატები, რამაც ძალიან შემიწყო ხელი, რომ ჩემი აზრი გამომეხატა და დამეფიქსირებინა და ეს ყველაფერი გამეკეთებინა არგუმენტირებულად და შეურაცხყოფაც არავისთვის არ მიმეყენებინა… ძალიან კარგი იქნება, სადაც არ არის [ასეთი კლუბები], იქ შემოიღონ, რაც ბავშვის აზროვნებას განავითარებს“. (მოსწავლე)

მოლოდინი სკოლის მოსწავლეების მიმართ

კვლევაში ჩართული პედაგოგები და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ისინი არ განასხვავებენ კარგ და ცუდ მოსწავლეებს და მსგავსი კლასიფიკაცია მათთვის უცხოა, თუმცა მსჯელობისას მაინც გამოყოფენ იმ ძირითად მახასიათებლებს, რომლებიც მოზარდებთან მუშაობას პედაგოგებისთვის უფრო სასურველს ხდის. პირველ რიგში, ეს არის მაღალი აკადემიური უნარები. ეს გულისხმობს მოსწავლის შესაძლებლობებსა

და მოტივაციას, დაეუფლოს საგნობრივ კომპეტენციებს, გამოავლინოს ინტერესი და შრომისმოყვარეობა, რათა დაძლიოს პროგრამული მასალა. პედაგოგები და მშობლები, ძირითადად, მიიჩნევენ, რომ მაღალი აკადემიური უნარები და მოსწრებაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. ამასთან, კვლევაში ჩართული ყველა ჯგუფის წევრები აღნიშნავენ, რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი კარგი მოსწავლისთვის არის საზოგადოებაში მიღებული ქცევებისა და ნორმების გათავისება და მათი გამოყენება სოციალიზაციის პროცესში. კვლევაში ჩართული მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ მათი პედაგოგებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია საგაკვეთილო პროცესში მოსწავლის ჩართულობა, დავალებების შესრულება, ამასთან, პასუხისმგებლობის გრძნობა. გარდა ამისა, მასწავლებლები მოსწავლეებში აფასებენ დისციპლინას, მორიდების გამომხატველ ქცევას, განსაკუთრებით უფროსებთან მიმართებით. მოზარდები ფიქრობენ, რომ მათ მიმართ არსებობს გადაჭარბებული მოლოდინი და მოთხოვნები. ამგვარი დამოკიდებულება კი მათთვის ხშირად დამღლელია და ზოგჯერ დემოტივაციის წყაროსაც წარმოადგენს, რადგან ეს იწვევს მათ ემოციურ გადაწვას. ახალგაზრდების აზრით, მნიშვნელოვანია არა შეფასება, რომელიც ქულებში გამოისახება, არამედ მოსწავლის მონდომება, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში გამოავლინოს საკუთარი ძლიერი მხარეები და ინტერესები. მოსწავლეები ფიქრობენ, რომ სხვადასხვა საგანში მიღებული შეფასება (ქულა) ხშირ შემთხვევაში ვერ ასახავს და ვერ ზომავს მოზარდის რეალურ ცოდნას და მის შესაძლებლობებს. ამის მიზეზი კი პედაგოგთა განსხვავებული მოლოდინი და მიდგომებია, რომლებშიც მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციის დასწავლის უნარ-ჩვევებს, საკუთარი ვალდებულებების გააზრებას და თავაზიან დამოკიდებულებას პედაგოგების მიმართ.

„კარგი მოსწავლე, რა თქმა უნდა, ის არის, ვინც გულდასმით გისმენს, გააზრებული აქვს, სკოლაში რატომ მოდის... პასუხისმგებლობით როცა ეკიდება [საქმეს], შესრულებული აქვს დავალება, თუმცა, მისი უნარიდან გამომდინარე, ამას უნდა მიხვდე მასწავლებელი. რა თქმა უნდა, [კარგი მოსწავლე] კომუნიკაბელურია, შეუძლია ურთიერთობა, ემპათიის უნარი აქვს, დახმარება შეუძლია, ნიშნისთვის არ სწავლობს“. (პედაგოგი)

„ალბათ კარგი მოსწავლე უნდა გამოირჩეოდეს მაღალი აკადემიური მოსწრებით, დასწრების საათების მაქსიმალური რაოდენობით... ყოფაქცევით, ზრდილობით პედაგოგებთან, მეგობრებთან, ნებისმიერ სასკოლო პერსონალთან ურთიერთობაში. მისი პრიორიტეტი უნდა იყოს სწავლა დაგანათლების მიღება“. (მშობელი)

„ჩემთვის [კარგი მოსწავლე] არის დისციპლინირებული, ამავდროულად, მოწესრიგებული, გონიერი. კარგად უნდა სწავლობდეს, პასუხისმგებლიანი იყოს, ჰქონდეს საღი აზრი. იყოს მოაზროვნე და ჰქონდეს კარგი მსჯელობის უნარი“. (სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი)

„არიან სკოლაში მოსწავლეები, რომლებმაც მართლა ყველაფერი იციან. ეს არიან წარჩინებული ბავშვები, რომლებიც ყველა საგანს ერთნაირად სწავლობენ. ზოგს ეს მომადლებული აქვს უფლისგან, ზოგი ძველებურად... მეცადინეობს და თავს აკლავს, ზოგს ისა აქვს, იმან მე რატო

უნდა მაჯობოსო... ალბათ, ყველა კლასშია ბირთვი ესეთი ბავშვებისა“. (სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი)

„ჩვენს სკოლაში კარგ მოსწავლეს ეძახიან ლიდერებს. მათ შორის მე ვარ ჩემს კლასში. როცა ბავშვი არის ათოსანი, მასწავლებელი უფრო მეტს სთხოვს და უფრო სხვა დავალებებს აძლევს და ართულებს ამ ყველაფერს... უფრო მეტს ითხოვენ [მასწავლებლები ლიდერი მოსწავლეებისგან]. ასე ინტერესს უკარგავენ სწავლის მიმართ, აღარ უნდა ამ ბავშვს მერე, როგორც მე აღარ მინდოდა სწავლა ერთი პერიოდი“. (მოსწავლე)

„ჩემი აზრით, მაგალითად, ჩემთვის პირადად, ქულა საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი. არიან ათოსნები, რომლებიც იზეპირებენ გაკვეთილს... მე მირჩევნია, იყოს ადამიანი შვიდოსანი და მას ჰქონდეს ცოდნა“. (მოსწავლე)

„რახან ყველაფერზე ვართ მოდებული [კარგი მოსწავლეები], ყველა საგანს ვსწავლობთ კარგად, ათებზე, მერე უკვე გვიჭირს საკუთარი თავის პოვნა. მასწავლებლებს აქვთ ჩვენი იმედი, რომელიც უნდა გავამართლოთ. ჩვენ არ შეგვიძლია, გავუცრუოთ იმედები [მასწავლებლებს]... მე მგონია, ამას კარგი მოსწავლე არასდროს არ აკეთებს, იმიტომ რომ გააჩნია კარგი პასუხისმგებლობა. იმის გამო, რომ ვართ დაკავებული, დრო აღარ გვრჩება, იმისათვის, რაც გვინდა, რისთვის ვაკეთებთ ამ ყველაფერს. ჩემთვის პირადად ეს პრობლემას წარმოადგენს. მერე უკვე მიჭირს, აი, საითკენ წავიდე და რა განხრით“. (მოსწავლე)

მოლოდინი სკოლის მასწავლებელთა მიმართ

რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ სკოლისა და მოსწავლის წარმატება ხშირად მასწავლებელზე, მისი სწავლების სტილსა და სტრატეგიაზე არის დამოკიდებული. გამოიკვეთა, რომ მასწავლებლების მიმართ საზოგადოებაში ორი ძირითადი მოთხოვნა არსებობს, კერძოდ, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია პედაგოგის კვალიფიკაცია და პროფესიონალიზმი, მეორე მხრივ, მისი ღირებულებითი სისტემა და დამოკიდებულებები.

სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, თავად პედაგოგები და მშობლები აქცენტს სვამენ პედაგოგის კვალიფიკაციაზე; მიიჩნევენ, რომ მასწავლებელი, პირველ რიგში, კარგად უნდა ფლობდეს საგანს და ჰქონდეს ფაქტობრივი ცოდნა, ამასთან, იყენებდეს მრავალფეროვან სტრატეგიებს, რათა შეძლოს ცოდნის მიტანა მოსწავლეებამდე და მათთვის გადაცემული ინფორმაციის მნიშვნელობის გააზრებაში დახმარება. გარდა ამისა, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ყურადღებას ამახვილებენ პედაგოგთა კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარ-ჩვევებზე და მიაჩნიათ, რომ მასწავლებელი აქტიურად უნდა ერთვებოდეს სკოლის საგნობრივი კათედრების მუშაობის პროცესში; ამასთან, ის უნდა იცნობდეს ეროვნულ სასწავლო გეგმას და მასზე დაყრდნობით გეგმავდეს სასწავლო პროცესს. გარდა ამისა, რესპონდენტთა აზრით, მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანია

თვითგანვითარებაზე ზრუნვა. ეს გულისხმობს სწავლების ახალი/თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და ტექნოლოგიების დაუფლებას, რაც აუცილებელია მოსწავლეებთან მუშაობის პროცესში. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ხშირად პედაგოგის პოზიტიურად დახასიათების პროცესში ხაზს უსვამენ იმას, თუ რამდენი კრედიტი აქვს მოპოვებული მასწავლებელს საგნობრივ გამოცდაში – რამდენადაც მაღალია ეს მონაცემი, იმდენად მაღალია ადმინისტრაციის წარმომადგენლების შეფასება (პედაგოგების მისამართით). თუმცა არის შემთხვევები, როდესაც რესპონდენტებისთვის პედაგოგის შეფასების პროცესში განმსაზღვრელია არა გამოცდის შედეგები, არამედ მისი პასუხისმგებლობით აღსავსე დამოკიდებულება საქმისადმი და უნარ-ჩვევები, რომლებიც ეხმარება მასწავლებელს, შეძლოს მოსწავლეებში ინტერესის გაღვიძება. გარდა საგნობრივი ექსპერტიზისა, რესპონდენტების აზრით, შეფასებისას ძალიან მნიშვნელოვანია, მასწავლებელს უყვარდეს საკუთარი პროფესია, რაც გაიგივებულია მოსწავლის/ბავშვის სიყვარულთანაც. კვლევის მონაწილეთა აზრით, თუ პედაგოგს არ შეუძლია ბავშვებთან კომუნიკაცია, მათ მიმართ სიყვარულისა და სითბოს გამოხატვა, ის ვერ შეძლებს, უერთგულოს პროფესიას და ვერ ჩამოყალიბდება პროფესიონალად.

„ღრმა ცოდნა, რა თქმა უნდა, აუცილებელია, მაგრამ ძალიან ბევრი შემთხვევა მინახავს, რომ მასწავლებელი არ გამოირჩევა ფილოსოფიური ცოდნით თავისი საგნისადმი, მაგრამ პრაქტიკოსია; მას შეუძლია, მოსწავლის გულამდე მივიდეს და მოსწავლემდე მიიტანოს ცოდნა რაღაც სახალისო აქტივობებით, მრავალფეროვნებით, ინდივიდუალიზმით, დინამიკით. ხშირ შემთხვევაში ეს მასწავლებელი უფრო რეალიზებული ხდება. რა თქმა უნდა, კარგი არის ეს რეფლექსია, მაგრამ მასწავლებელს რესურსი უნდა ჰქონდეს, თითოეულ მასწავლებელი... უნდა ფლობდეს ტექნიკასაც, უნდა იცოდეს, ეს რესურსები სად მოიძიოს“. (სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი)

„ჩემს სკოლაში მასწავლებლებმა 10-10 კრედიტი აიღეს. ძალიან ცოტა მყავს მასწავლებელი, ალბათ 2%, რომლებმაც 4-7 კრედიტი აიღეს და მერე მიენიჭათ სტატუსი... ასეთ მასწავლებელთან ერთკრედიტიანი რომ მოვა და დამიწყებს პრეტენზიებს, ვერ მივიღებ. ჯერ შენი საგანი უნდა იცოდე კარგად, რომ ესგ-ს მოარგო. ცეკვა-თამაშზე ააგო დავალება და ზერელედ მიიტანო ბავშვთან, ამას ვერ დავეთანხმები. ძალიან ხშირად ვამბობ, მასწავლებელი როცა მაჩვენებს კომპლექსურ დავალებას, უნდა დავინახო მიზანი. მოსწავლის გართობა არ არის ჩემთვის მისაღები. მშობელი მოეხმარა სახლში და დაამზადა, ბავშვს რა დარჩა?“ (სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი)

რაც შეეხება მოსწავლეებს, მათთვის მთავარი და განმსაზღვრელი არის პედაგოგის უნარი, შეძლოს მოზარდთან ურთიერთპატივისცემაზე, ემპათიასა და თანასწორობაზე დამყარებული ურთიერთობის ჩამოყალიბება, რომელიც დაცლილი იქნება სტერეოტიპული შეხედულებებისგან, წინასწარი განწყობისგან და არაემპირიული დაშვებებისგან. მოსწავლეთა შეფასებით, პედაგოგის მთავარი დანიშნულებაა, მოსწავლეებს გაუჩინოს ინტერესი თავისი საგნის მიმართ. მოზარდები მიიჩნევენ, რომ მასწავლებელმა უნდა გაითავისოს მოსწავლეთა

ინდივიდუალური საჭიროებები და ამის გათვალისწინებით დაგეგმოს გაკვეთილი, რათა ის საინტერესო იყოს ყველასთვის. მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ მათ ჰყავთ გამორჩეული მასწავლებლები, რომლებიც ახერხებენ ახალგაზრდების დაინტერესებას, მათ წახალისებას და მათი მოტივაციის ამაღლებას, თუმცა, მეორე მხრივ, არ უჭირთ საუბარი მასწავლებლებზე, რომლებიც, რესპონდენტთა აზრით, ვერ ასრულებენ მათზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს, ვერ ახერხებენ კლასის მართვას და, შესაბამისად, ვერც ცოდნის მიცემას მოსწავლეებისთვის; მეტიც, ხშირად ეს მასწავლებლები მოსწავლეებში დემოტივაციასაც იწვევენ, რის გამოც ამ უკანასკნელთ უჩნდებათ ნეგატიური განწყობა არა მხოლოდ პიროვნების, არამედ კონკრეტული საგნის მიმართაც. ამ მოსაზრებას იზიარებენ მშობლები და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მოსწავლე დღის მნიშვნელოვან ნაწილს სკოლაში ატარებს, იქ გადის სოციალიზაციის პროცესს და, შესაბამისად, მასწავლებელი მისთვის უნდა იყოს როლური მოდელი, რომლისგანაც აიღებს მაგალითს; ხოლო მაშინ, როცა მასწავლებელი სწორად არ სვამს აქცენტს ფასეულობებზე და თავად არ აქვს გააზრებული ისინი, შესაბამისად, ის ვერ გახდება მოსწავლისთვის მისაბაძი და ავტორიტეტული ადამიანი. კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ზოგჯერ პედაგოგი ვერ იჩენს ობიექტურობას, განსაკუთრებით მოსწავლეების შეფასების პროცესში; გარდა ამისა, საგაკვეთილო პროცესში დამამცირებლად მიმართავს მოსწავლეებს, ამჟღავნებს სტერეოტიპულ დამოკიდებულებას სხვადასხვა ჯგუფს მიკუთვნებული მოსწავლეების მიმართ, რაც, საბოლოო ჯამში, აზარალებს მოსწავლეს, მის ემოციურ მდგრადობას, ხელს უშლის მას, შეინარჩუნოს მაღალი მოტივაცია სწავლისადმი, რაც, შესაბამისად, ნეგატიურად აისახება მის განვითარებასა და წარმატებაზე.

„[ზოგადი განათლების] ეროვნულ მიზნებში კარგად უნდა ერკვეოდნენ. ბევრი არის, რომ ვერ ერკვევა და ეს საშინელებაა... აი, ერთ მაგალითს გეტყვით, როგორ შეიძლება, ქართულის პედაგოგმა ასეთი საქციელი ჩაიდინოს: შევიდეს გაკვეთილზე და იკითხოს კლასში, რომელი უფრო გიყვართ ქართველებს, თქვენი ქართველი თანაკლასელები, თუ თქვენი აზერი თანაკლასელები? ჯერ კითხვის დასმის [ფორმა], ანუ მოსწავლეებს ეკითხება... ასეთ რაღაცას“. (სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი)

„მე მქონდა პირადად [მაგალითი], რომ ძველ პედაგოგებს უთქვამთ, ნუ იღებ... ამდენ აზერსო. მე მაოცებდა საერთოდ, რას ნიშნავს „ნუ იღებ?!“ [მეუბნებოდნენ] „ხო იცი, რა, აი, მალე ჩვენი სკოლა ალბათ დაემსგავსება რომელიღაც აზერბაიჯანულ სკოლას“... რას ნიშნავს „დაემსგავსება“, ბავშვი ბავშვია“. (სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი)

„მაგალითად, ჩემს სკოლაში პირადად მე მყავს ასეთი მასწავლებელი, მოქალაქეობის მასწავლებელია და ახალგაზრდაა... ვთვლი, რომ ისეთი მასწავლებელია, სკოლაში რომ შევდიოდი და მასწავლებელზე ვოცნებობდი. კომუნიკაბელურია, როცა გინდა, ყოველთვის შენ გვერდით დგას და ყველაფერში გეხმარება, იმაზე ბევრად მეტს გასწავლის, ვიდრე მოქალაქეობის გაკვეთილია, და ძალიან კარგი მოჰყრობა აქვს. ჩემთვის საუკეთესოა. (მოსწავლე)

„პირველ კლასში ინგლისურის მასწავლებელმა ჩემს შვილს უთხრა 30 ბავშვის თანდასწრებით, ანბანი ვერ გისწავლია ბოლომდეო, თუ რაღაცა [ამგვარი]... ბავშვს იმდენად შერცხვა და იმდენად დაკომპლექსდა, რომ ინგლისურის გაკვეთილზე პროტესტის ნიშნად საერთოდ არ შედიოდა“. (მშობელი)

„პირველ რიგში, ეს დესპოტი მასწავლებლები უნდა ავკრძალოთ სკოლიდან, რაც შეიძლება, სწრაფად და მალე, იმიტომ რომ ძალიან მოქმედებს ბავშვის ფსიქიკაზე ეს ცუდი მასწავლებელი, რომელიც სულ გეჩხუბება და მართლა 3-წუთიან დაგვიანებულზე 20-წუთიან ლექციას ჰყვება, თანაც [ვერ ახერხებს,] კლასი დააწყნაროს, გააჩუმოს და გავიდა [ამასობაში] გაკვეთილი“. (სტუდენტი)

თავად პედაგოგები, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და მშობლების დიდი ნაწილი მიიჩნევენ, რომ მასწავლებლები დღეს მაქსიმალურად ცდილობენ, შეასრულონ მათზე დაკისრებული ვალდებულებები; მეტიც, ზოგიერთი რესპონდენტის აზრით, პედაგოგები დღესდღეობით ეწევიან დაუფასებელ შრომას, რადგან მათ საქმიანობას უმეტესად არ აღიარებენ და არც მატერიალური მხარდაჭერა აქვთ, რადგან მათი ანაზღაურება არ არის საკმარისი არსებული საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის; შესაბამისად, მასწავლებელს უწევს დამატებით რამდენიმე სკოლაში მუშაობა, კერძო მოსწავლეების აყვანა და ა.შ., რაც, თავის მხრივ, ითხოვს პედაგოგისგან დროს და ადამიანურ რესურსს. შესაბამისად, მასწავლებელთა დიდი ნაწილი არის გადაღლილი და განიცდის პროფესიულ გადაწვას. გარდა ამისა, რესპონდენტების თქმით, მასწავლებლები სხვადასხვა რეფორმის ფარგლებში გადიოდნენ და გადიან სხვადასხვა ტრენინგს, რომლებიც საკმაოდ ხანგრძლივია და პედაგოგებს არ რჩებათ დრო პირადი ცხოვრებისთვის. ზოგადად, რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ პედაგოგთა მიმართ საზოგადოებაში არსებობს ნეგატიური განწყობა; შეიმჩნევა ტენდენცია, რომ მხოლოდ მასწავლებლების მხარეს არის პრობლემა და ნებისმიერი ხარვეზის არსებობა განათლების სისტემაში მათი ბრალია. კვლევის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ პედაგოგს დაკარგული აქვს უფლებრივი სტატუსი და ეს წახალისებულია სისტემის მხრიდანაც, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა მოსწავლეებმა კარგად იციან საკუთარი უფლებები, თუმცა ნაკლებად იაზრებენ საკუთარ პასუხისმგებლობებსა და მოვალეობებს. ამ პირობებში კი პედაგოგებს, კვლევის მონაწილეთა აზრით, არ აქვთ არანაირი უფლება, მისცენ შენიშვნა მოსწავლეს, რადგან ეს პირდაპირ უქმნის საფრთხეს მათ სამსახურს (უფრო რომ დავაზუსტოთ, მათ შეიძლება დაკარგონ სამსახური). რესპონდენტთა ნაწილი (მათ შორის, პედაგოგები და მშობლები) მიიჩნევს, რომ მასწავლებლის პროფესია მეტად დაფასებული უნდა იყოს საზოგადოებაში და მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ მკაცრად გაწერილი უფლებრივი ჩარჩო, რომელსაც ისინი დაემორჩილებიან.

„არის კადრი, სადაც ჩანს, რომ ურტყამს [მასწავლებელი მოსწავლეს], ახლა ის წინაპირობა, რა ზომამდე მიიყვანეს [ბავშვებმა მასწავლებელი], არ ჩანს, მაგრამ ხომ მიიყვანეს იმ ზომამდე... ადამიანი შენ თუ გამოიყვანე წყობიდან, მასწავლებელიც ადამიანია და შეიძლება რაღაცა შეეშალოს... ამის უფლება არა აქვს – ასე იციან ბავშვებმა“. (მასწავლებელი)

„ეს მასწავლებელიც თავჩაქინდრული ცდილობს, ეს უსაზღვრო მოლოდინები შეასრულოს და ასე კეთილსინდისიერად, ხმისამოუღებლად, მოირგოს ფსიქოლოგის როლი, მშობლის როლი, რომელიც დილით გარბის სამსახურში... ბავშვი არის 9-ის ნახევარზე მოსული ხშირად მშიერი და, მშიაო, რომ ეტყვის, გარბის ბუფეტში [მასწავლებელი], რომ უყიდოს საჭმელი. მასწავლებლის როლი ხომ უნდა მოირგოს და მოირგოს, ბებიის როლსაც ირგებს... ყველაფერი ამ მასწავლებლის კისერზე გადატყდა, ყველაფერი“. (მასწავლებელი)

„ამას [ნეგატიური განწყობის გაღრმავებას მასწავლებელთა მიმართ] აკეთებს ჩვენი მთავრობა იმ მხრივ, რომ ამდენმა პროცენტმა [პედაგოგმა] ვერ ჩააბარა გამოცდა... მოდი, თავიდანვე უთხარით, რომ ამდენმა ჩააბარა საუკეთესოდ, მაღალ ქულებზე, წარმატებულები აქეთ წაიყვანე“... (პედაგოგი)

„საჯარო უნდა იყოს მშობლებისთვის, ხელმისაწვდომი პედაგოგის შრომა და ასე ადვილად ხელწამოსაკრავი არ იქნებოდა პედაგოგის ცხოვრება და მისი მოღვაწეობა. ჩვენ ვვითარდებით მუდმივად, ათას რამეს გავდივართ – ეს არ ჩანს. ჩანს მხოლოდ ის, რომ გაკვეთილზე დააგვიანა, ან შენიშვნა მისცა მოსწავლეს... ისე ჰყავს პედაგოგები საზოგადოებას დაკნინებული, რომ მრცხვენია ხოლმე. რაში იღებენ ხელფასსო, [ამბობენ]...“ (პედაგოგი)

„მე, მაგალითად, ვისურვებდი, რომ იყოს ისეთი კანონი, რომ დასჯადი [ყოფილიყო] დამტკიცების გარეშე მასწავლებლისთვის ჩრდილის მიყენება“. (პედაგოგი)

„დღეს მასწავლებლის უფლებები დასულია ნოლზე. ყველას ეშინია მაინც იმის, რომ... ბავშვს შენიშვნა არ მივცე და სამსახური არ დავკარგოო. ამიტომ ყველა გაჩერებულია, უფლება არ გაქვს, რომ ბავშვს შენიშვნა მისცე, დაწყებითების ბავშვსაც ვერ მისცემ შენიშვნას“. (მშობელი)

მშობლის ჩართულობის გამოცდილება და მისი როლი სასკოლო ცხოვრებაში

რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ბავშვის განათლების პროცესი ოჯახიდან იწყება. შესაბამისად, მშობლებს თავიანთი შვილების სოციალიზაციის პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ, რადგან სწორედ მათგან იღებს ბავშვი სოციალურ-კულტურულ ნორმებსა და ღირებულებებს. კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ მშობლის აქტიურ ჩართულობას შვილის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი პოზიტიური გავლენა აქვს მოზარდის სამომავლო წარმატებაზე და მეტწილად სწორედ ოჯახი განსაზღვრავს, თუ როგორ პიროვნებად ჩამოყალიბდება ბავშვი ზრდასრულობის ასაკში. რესპონდენტების შეფასებით, მოსწავლეები, რომელთა მშობლებიც აქტიურად ერთვებიან მათ სასკოლო ცხოვრებაში, გამოირჩევიან თვითდისციპლინითა და სწავლის მიმართ მაღალი მოტივაციით, რაც აისახება მათ აკადემიურ მოსწრებაზედაც. ამასთან, ეს მოზარდები უფრო ადვილად ახერხებენ ადაპტირებას გარემოში და შეუძლიათ პრობლემებთან გამკლავება.

კვლევაში მონაწილე სკოლების ადმინისტრაციის წევრები და პედაგოგები აღნიშნავენ, რომ, მიუხედავად შვილის სასკოლო ცხოვრებაში მშობლის ჩართულობის პოზიტიური შედეგებისა, ისინი ვერ ხედავენ მშობლებისგან ინტერესსა და მზაობას, აქტიურად ჩაერთონ შვილების საგანმანათლებლო პროცესებში. გამოცდილება აჩვენებს, რომ მშობლების უმეტესი ნაწილი საკუთარი შვილების სასკოლო ცხოვრებაში უფრო მეტად ჩართულია დაწყებით საფეხურზე, რაც, რესპონდენტთა დაკვირვებით, მოიცავს ბავშვის სკოლაში მიყვანას/გამოყვანას, უფრო იშვიათად – დავალებების მომზადებაში დახმარებას. საბაზო საფეხურზე მშობელთა ჩართულობის ხარისხი იკლებს, ხოლო საშუალო საფეხურზე მშობლები ამ პროცესში, ფაქტობრივად, აღარ მონაწილეობენ. ამასთან, რესპონდენტთა აზრით, მშობლები, უმეტესად, ვერ ახერხებენ თავიანთი შვილების დახმარებას დავალებების მომზადების პროცესში, რადგან მათ ნაწილს არ აქვს საკმარისი ცოდნა და უნარ-ჩვევები, რაც კიდევ უფრო აფერხებს მათ ჩართვას სასწავლო პროცესში. ადმინისტრაციის წარმომადგენლები და პედაგოგები მიიჩნევენ, რომ მშობლებს არ აქვთ გააზრებული საკუთარი როლი და ვერ ხედავენ თავიანთ ადგილს სკოლაში. თავად მასწავლებლები და სკოლის დირექტორები/ადმინისტრაციის წარმომადგენლები მშობლის ჩართულობას განმარტავენ, როგორც მშობლის მონაწილეობას შვილის საგანმანათლებლო პროცესში, რაც გულისხმობს დამრიგებელთან/საგნის პედაგოგებთან კომუნიკაციას, მასწავლებლის მოთხოვნის შესაბამისად რეაგირებას (მაგალითად, სკოლაში ვიზიტს, შვილის სასწავლო აქტივობების კონტროლს და დახმარებას და სხვ.), დაინტერესებას შვილის რეალურად სუსტი და ძლიერი მხარეებით, საჭიროების შემთხვევაში, პედაგოგის დახმარებას (მაგალითად, დისციპლინის, გაკვეთილებზე დასწრების, მომზადებული დავალებების ხარისხის კონტროლს და ა.შ.), ასევე, სკოლის მიერ შეთავაზებულ აქტივობებში მონაწილეობას. ამასთან, გამახვილდა ყურადღება იმაზედაც, რომ მშობელმა უნდა დააკმაყოფილოს შვილის საბაზისო საჭიროებები, რაც გულისხმობს კვებას, ჰიგიენური ნორმების დაცვას, ასევე სასწავლო რესურსებით მომარაგებას. რესპონდენტების აზრით, რეალობა განსხვავებულია და მშობლების დიდი ნაწილი არ/ვერ ერთვება შვილების სასკოლო ცხოვრებაში; შესაბამისად, სკოლის პერსონალის დიდი ნაწილი მოსწავლის დაბალი აკადემიური მოსწრების, უდისციპლინობისა და სასურველი მიზნების მიღწევის შეფერხების მთავარ მიზეზად მშობლის ჩართულობის დაბალ ხარისხს მიიჩნევს, რადგან ოჯახის მხარდაჭერის გარეშე, რესპონდენტთა აზრით, მოსწავლე წარმატებას ვერ მოიპოვებს, მიუხედავად სკოლის მცდელობისა და მონდომებისა.

„[მშობლის] ჯანსაღ ჩართულობაში, ჩემი აზრით, იგულისხმება, მოსწავლის წარმატების ერთად დაგეგმვა, სკოლის მხარდაჭერა ამ საქმეში, [მშობლების მიერ] ერთად დათვლა, რა არის მათი შვილებისათვის კარგი... ტოლერანტი უნდა იყოს მშობელი, თავის მხარესაც ხედავდეს ვალდებულებებს და მხოლოდ სკოლას არ შეაწმინდოს ყველაფერზე ხელი; სკოლასთან ერთად იზრუნოს თავისი შვილის წარმატებაზე“. (სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი)

„[მშობელი] მოვალეა, რომ თავისი შვილი მოაწესრიგოს, უბრალოდ, უნდა შეისწავლოს თავისი შვილი... უმრავლესობა მშობელს რომ დაუსვა შეკითხვა, აი, შენს შვილს რა ინტერესები აქვს, რა აქვს კარგი მხარე, რა აქვს უარყოფითი, რა სურს – არ იცის თავისი შვილის [შესახებ]“. (სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი)

„ჩვენი მთავარი სამიზნე მაინც მოსწავლეა და მე ვფიქრობ, რომ [მშობლის ჩართულობა] მოსწავლის მოტივაციაზე ახდენს გავლენას და [გარკვეულწილად] განვითარებაზე. როცა მოსწავლე ხედავს, რომ მშობელი სასკოლო ცხოვრებაშია ჩართული, უფრო ბედნიერია და ეს მის პიროვნულ განვითარებაზეც მოქმედებს; რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობაც მაღალი აქვს“. (პედაგოგი)

„ნომერ პირველი პრობლემა ჩვენს განათლების სისტემაში მგონია მშობლების გაუნათლებლობა. ყველაზე მეტად რაც უშველის ამ სისტემას, არის მშობლების დამოკიდებულებების შეცვლა“. (პედაგოგი)

სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და პედაგოგები აღნიშნავენ, რომ ისინი ცდილობენ, დაინტერესონ მშობლები და შესთავაზონ მათ სხვადასხვა აქტივობაში ჩართვა, თუმცა მათ მონდომებას ვერ ამჩნევენ. სკოლის გამოცდილებაზე საუბრისას პედაგოგები და დირექციის წარმომადგენლები იხსენებენ სხვადასხვა პროექტს თუ აქტივობას, რომლებში მონაწილეობაც შესთავაზეს მშობლებს. მათ შორის არის პროექტები, რომლებშიც მშობლების ჩართულობა მეტწილად შემოიფარგლება კვლევებში მონაწილეობით, ასევე სხვადასხვა რესურსის შექმნაში დახმარებით. გარდა ამისა, სკოლების მიერ იგეგმება ღონისძიებები და სპექტაკლები, რომლებშიც მშობლების გარკვეული ნაწილიც იღებს მონაწილეობას. როგორც სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავენ, ყველა სკოლაში არის აქტიურ მშობელთა ჯგუფი, რომლებიც ქმნიან გარკვეულ ფონს. სწორედ ისინი ერთვებიან სკოლის მიერ ორგანიზებულ აქტივობებში, თუმცა, მეორე მხრივ, არიან მშობლები, რომლებიც საერთოდ არ ინტერესდებიან შვილების სასკოლო ცხოვრებით.

რაც შეეხება მოსწავლეებს, ისინი მიიჩნევენ, რომ მშობლების ზომიერი ჩართულობა მათ სასკოლო ცხოვრებაში მნიშვნელოვანია. ეს მოიცავს, ერთი მხრივ, **მონიტორინგის მექანიზმების არსებობას**, რათა მშობელმა შეძლოს შემოწმება, როგორია მისი შვილის სასწავლო პროცესში ჩართულობა, მისი მოტივაცია და ინტერესი სწავლისადმი, და, მეორე მხრივ, **მხარდამჭერი როლის მორგებას,** რათა მოსწავლეს ჰქონდეს მშობლის ნდობა და სურვილი, გაუზიაროს სწავლის პროცესში წარმოქმნილი გამოწვევები (და არა მხოლოდ ისინი) შესაბამისი დახმარების მიღების იმედით. მოსწავლეები მიიჩნევენ, რომ გადაჭარბებული ჩართულობა, რაც გულისხმობს სკოლაში ხშირ ვიზიტებს, მასწავლებლებთან ინტენსიურ კომუნიკაციას, მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში აქტიურ ჩარევას, მათთვის ვერ იქნება პოზიტიური შედეგის მომტანი, პირიქით, დააშორებს მათ მშობლისგან. ამასთან, მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ, მათი დაკვირვებით, პედაგოგები/დამრიგებლები მაშინ გამოთქვამენ მშობელთან კომუნიკაციის სურვილს, როცა მოსწავლე არღვევს შინაგანაწესს, არადისციპლინირებულია, ან დაბალი აკადემიური მოსწრება აქვს, ანუ მშობელთან ურთიერთობის დამყარება მასწავლებლებს სურთ მხოლოდ ნეგატიური ინფორმაციის გაზიარებისთვის. მოსწავლეებს უჭირთ ისეთი შემთხვევების გახსენება, როცა მასწავლებელმა პოზიტიური შედეგების შეტყობინების გაზიარების მიზნით მოინდომა მშობელთან დაკავშირება. ამგვარი დამოკიდებულება მოსწავლეებს განაწყობს უარყოფითად, უკარგავთ სურვილს, რომ მათი მშობლები ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში, რადგან მშობლის ვიზიტი სკოლაში ან პედაგოგთან კომუნიკაცია მათთვის ასოცირდება ნეგატიურ ინფორმაციასთან.

მსგავსი გამოცდილება არსებობს სტუდენტებშიც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მშობლის ჩართულობა დაწყებით და საბაზო საფეხურებზე ძალიან მნიშვნელოვანია, ხოლო საშუალო საფეხურზე მოსწავლეს მეტწილად თავად შეუძლია, პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ ქცევაზე.

„როდესაც ბავშვი იზრდება, დაწყებითი საფეხურიდან მაღალზე გადადის, სჭირდება, რა თქმა უნდა, დახმარება, რადგან გარდატეხის პერიოდია, ბავშვი სხვანაირად ფიქრობს, აზროვნებს და სწორი მიმართულება სჭირდება. ამიტომ მშობელი აუცილებლად უნდა ჩაერიოს, რა თქმა უნდა, ზომის ფარგლებში, რჩევებიც უნდა მისცეს და დარიგებებიც, პირადი სივრცე არ უნდა შეუზღუდოს". (მოსწავლე)

„ჩემთვის მშობლის ჩართულობა არის ის, რომ, თუ ბავშვს გადაწყვეტილი აქვს სწავლა, მას უნდა შეუწყო ხელი ამაში; ხოლო, თუ არა აქვს, უნდა დაეხმარო ბავშვს იმის მოძებნაში, თუ რა უნდა გააკეთოს სამომავლოდ". (მოსწავლე)

„ვფიქრობ, რომ უფრო მოტივაციის წყაროა [მშობელი], შეცდომების დაშვების არ გეშინია და ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. ეს გავითარებს ძალიან კარგად, როგორც ადამიანს, და გამბედავი ადამიანი ხდები უფრო მეტად... [გეუბნება,] არა უშავს, გადალახავ ამ ყველაფერს, თავიდან დავიწყოთო". (სტუდენტი)

რაც შეეხება მშობლებს, ისინი აღნიშნავენ, რომ კარგად იაზრებენ თავიანთ როლს შვილის სასკოლო ცხოვრებაში; მიაჩნიათ, რომ სკოლა და ოჯახი ერთობლივი მუშაობით ეხმარება ბავშვს ემოციური მდგრადობის შენარჩუნებასა და ცოდნის მიღებაში; ამიტომ ცდილობენ, აქტიურად ჩაერთონ შვილების საგანმანათლებლო პროცესში. ისინი იხსენებენ მაგალითებს, როცა მონაწილეობა მიიღეს სკოლის მიერ შეთავაზებულ აქტივობებში, მხარი დაუჭირეს შვილების ინიციატივებს და თავადაც წამოაყენეს წინადადებები (რასაც არცთუ ისე ხშირი ხასიათი აქვს), რომელთა უმეტესობაც სკოლის ადმინისტრაციამ არ გაითვალისწინა. მშობლები მიიჩნევენ, რომ ისინი აქტიურად უჭერენ მხარს სკოლასა და პედაგოგს და ცდილობენ, შეუქმნან საკუთარ შვილებს იმგვარი გარემო, რომელიც დაეხმარება მათ უკეთესი განათლების მიღებაში, რადგან სწორედ ეს არის მშობლებისთვის პრიორიტეტული.

„მშობელს დიდი როლი აკისრია. თუ ჩვენს შვილებს წინ არ გავუძეხით, არ დავარიგეთ, როგორ უნდა მოიქცნენ, ამას მარტო პედაგოგი და სკოლა ვერ გააკეთებს. ჩვენ შვილები ისე უნდა გავუშვათ სახლიდან, რომ ახლოს იყვნენ პედაგოგთან, ასევე, მშობლები უნდა ვიყოთ გახსნილი პედაგოგთან. მთავარია, ბავშვები იყვნენ წესიერად აღზრდილნი, მარტო პედაგოგი ვერაფერს ვერ უზამს, თუ ჩვენ თვითონ მშობლები არ ვიქნებით ბავშვის სწავლა-განათლებაში ჩართულები". (მშობელი)

„აუცილებელია მშობლის ჩართულობა, ძალიან მნიშვნელოვანია. ვერ გეტყვით, რომ ვიბარებ გაკვეთილებს ყოველდღე, მაგრამ კონტროლი მაქვს. ბევრჯერ [მითქვამს], რომ, როცა ჩემი შვილი სკოლაში მიდის, ასე მგონია, მე უნდა წარვსდგე მასწავლებლებთან-მეთქი და ეს ყოველთვის არის ჩემში, ეს დამოკიდებულება". (მშობელი)

კვლევაში ჩართული ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სკოლის წარმომადგენლები მშობელს მეტწილად აღიქვამენ, როგორც არაკომპეტენტურ პირს, და სწორედ მშობლებსა და ოჯახს აკისრებენ მრავალი სახის პასუხისმგებლობას, რომელთა გადანაწილებაც, მათი აზრით, პოზიტიურ შედეგს მოიტანდა. თავის მხრივ, სკოლა ვერ ახერხებს „რესურსული“ მშობლის აღმოჩენას, მის დაინტერესებას და ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში; არ არსებობს სკოლებში ამგვარი სტრატეგიები. ამას ემატება ისიც, რომ განათლების პოლიტიკა უგულებელყოფს მშობლის ჩართულობის მნიშვნელობას და რეფორმები, რომლებიც სისტემაში ხორციელდება, უცნობია მშობლებისა და მშობელთა ასოციაციებისთვის. ისინი არ არიან ჩართულნი უშუალოდ რეფორმების შემუშავების პროცესში, არ არიან ამის ნაწილი, რასაც განაპირობებს სისტემის მხრიდან სწორი კომუნიკაციის არარსებობა.

„ვერცერთი რეფორმა მშობლების დახმარების გარეშე ვერ განხორციელდება. ყველაზე ცუდ მდგომარეობაში ისიც კი შეუძლია [მშობელს], რომ ჩაგიგდოს რეფორმა თავისი არასწორი უკუკავშირებით, ან, პირიქით, სწორი უკუკავშირით [დახმარება გაგიწიოს], თუ შენ რაღაცას არასწორად აკეთებ, იმიტომ რომ ძალიან ბევრნი არიან (მშობლები) და ძალიან მრავალფეროვანიც. აუცილებელია მათზე უფრო ეფექტური მუშაობა, რომ ისინი პროცესის მონაწილეები იყვნენ და არა მხოლოდ მაშინ ვეძახდეთ, როდესაც რაღაცაში გვჭირდებიან, ან, როცა მათ გარეშე სირთულეებს ვეღარ ვუმკლავდებით“. (ექსპერტი)

მშობელთა შრომითი მიგრაცია და ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გავლენა ბავშვების ფსიქოემოციურ მდგრადობაზე

სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და პედაგოგები მიუთითებენ, რომ მათი მოსწავლეების მშობლების დიდი ნაწილი საზღვარგარეთ არის დასაქმებული, შესაბამისად, ბავშვები მშობლებთან, ძირითადად, მხოლოდ დისტანციურად ურთიერთობენ. მასწავლებლების თქმით, შრომითი მიგრანტების შვილები განიცდიან ზრუნვის ნაკლებობას, ეძებენ სითბოს ურთიერთობებში (განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე) ან ავლენენ აგრესიულ ქცევას (საბაზო და საშუალო საფეხურზე). არასრულწლოვნები უმეტესად რჩებიან ბებიასთან და ბაბუასთან, რომლებიც, რესპონდენტთა შეფასებით, ახერხებენ მათი საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებას, მასწავლებლებს კი უწევთ მშობლის როლის შეთავსება, რაც მოიცავს ბავშვის მხარდაჭერას, მასზე ზრუნვას, მისი ძლიერი მხარეების აღმოჩენას და გაძლიერებას, ბავშვში ღირებულებათა სისტემის სრულად ჩამოყალიბებას. პედაგოგების თქმით, მსგავსი გამოცდილების მქონე ბავშვებთან მუშაობა მათთვის რთულია, რადგან შრომითი მიგრანტების შვილები განიცდიან მძიმე სტრესს, რაც ნეგატიურად აისახება მათ აკადემიურ შესაძლებლობებზე, ირღვევა მათი ემოციური მდგრადობაც. საბაზო და საშუალო საფეხურზე კი ისინი ცდილობენ სკოლისა და პედაგოგებისგან დისტანცირებასაც. ამ პროცესში, სკოლის წარმომადგენელთა თქმით, ბავშვებს არ ჰყავთ მხარდამჭერი მშობლის სახით, რადგან ეს უკანასკნელი ვერ ახერხებს შვილის აღზრდისა და განათლების პროცესში სრულფასოვნად ჩართვას, პირისპირ რეჟიმში კომუნიკაციას. კვლევის შედეგების მიხედვით, სკოლები, უმეტეს შემთხვევაში, არ ფლობენ შრომითი მიგრანტების შვილებთან ეფექტურად მუშაობის სტრატეგიებს, რადგან თავად მასწავლებლები და ადმინისტრაციის

წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ხშირად ოჯახის წევრების მხრიდან კონტროლის მექანიზმების მოშლის გამო შრომითი მიგრანტების შვილებისთვის განათლების მიღება არ არის პრიორიტეტული და ისინი, ძირითადად, აღიქმებიან დევიაციური ქცევის მქონე მოსწავლეებად.

„ურთიერთობა არის დაკარგული მშობელსა და შვილს შორის და ეს იმდენად ხშირი არის ეხლა... მე ხშირად ჩამიტარებია კვლევები, აი, ზუსტად ისეთ ბავშვებთან, რომლებიც იწვევენ კონფლიქტს, რომლებიც ხშირად არიან, მაგალითად, აგრესიული და... პრობლემებს ქმნიან სკოლაში. ყოველთვის მივდივარ იქამდე, რომ ბავშვს აქვს უკმარისობა მშობლების, [რომლებიც] ან საზღვარგარეთ ჰყავს, ან საერთოდ არა ჰყავს, ან მეურვე ბებია ჰყავს და ბებია ზრდის“. (სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი)

„მშობელთა უმეტესობა წასულია საზღვარგარეთ, ბავშვები იზრდებიან ბებიებთან. დღეს ბებიები გახდნენ უკვე დედები და ბავშვები არიან შეცვლილნი. დღეს აღარ არიან ისეთი ბავშვები, როგორებიც იყვნენ 15 და 20 წლის წინ. ამ ბავშვებთან უნდა ცოტა სხვაგვარი მუშაობა. თუ მშობელი არ იქნა ბავშვთან... პირველ კლასში რომ დატოვებს და მე-12 კლასს ისე ამთავრებს, რომ დედა არ ეყოლება გვერდით, ამ ბავშვის ფსიქიკა არ არის ადვილი სამართავი“. (სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი)

„მაგ ბავშვებს [შრომითი მიგრანტების შვილებს] უფრო მეტად სჭირდებათ [ზრუნვა]. ჩემს პრაქტიკაში დღესაც არის შემთხვევა, როცა თითქმის ნახევარი გაკვეთილი მიწევს ბავშვებისთვის დანაკლისის ანაზღაურება. ზოგში ემოციურად ვლინდება [სტრესი], ზოგში აგრესია არის და მე არ ვარ ფსიქოლოგი. კი გავიარეთ, ყველაფერს გვასწავლიდნენ, მაგრამ [თეორიულ] დონეზე. იმან [ფსიქოლოგმა] იცის, რა სჭირდება იმ ბავშვს კონკრეტულ მომენტში, შეიძლება ეს მოფერება იყოს, ან სიტყვამაც კი ბევრი რაღაც გადაწყვიტოს და მასწავლებელმა იმ 10 თუ 20 ბავშვში შეიძლება ის სიტყვა ვერ შეარჩიოს და ჩვენ მოვახდინოთ ცუდი ზეგავლენა“. (პედაგოგი)

რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ მნიშვნელოვანია, სკოლას ჰყავდეს ფსიქოლოგი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს; შეძლებს, მართოს მისი ფსიქოემოციური მდგომარეობა. კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ არა მხოლოდ შრომითი მიგრანტების შვილებს, არამედ, ზოგადად, არასრულწლოვნებს ხშირად სჭირდებათ ფსიქოლოგის კონსულტაცია, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა ქვეყანაში საკმაოდ ხშირია ძალადობის შემთხვევები. რესპონდენტების თქმით, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ოჯახის წინაშე არსებული სხვა გამოწვევები უარყოფითად აისახება არასრულწლოვნებზე და მათში იზრდება აგრესია, რომელიც სხვადასხვანაირად გამოიხატება სასკოლო სივრცეში, კერძოდ, შესაძლოა, გაუარესდეს მოსწავლის აკადემიური მოსწრება და მისი მოტივაცია სწავლის მიმართ; ამასთან, მან შეიძლება გამოამჟღავნოს აგრესიული ქმედება თანატოლის ან პედაგოგის მიმართ. ეს კი ზრდის ბულინგის რისკს. შესაბამისად, ხშირად პედაგოგები თავად ვერ უმკლავდებიან აღნიშნულ გამოწვევებს და მიიჩნევენ, რომ მათ სჭირდებათ პროფესიონალის დახმარება, თუმცა, გარდა იმისა, რომ სკოლას მეტწილად არ გააჩნია მატერიალური რესურსი, დაიქირაოს ფსიქოლოგი, რთულია პროფესიონალი კადრის პოვნა (განსაკუთრებით რეგიონებში), რომელიც იმუშავებს სკოლაში და შეძლებს მოსწავლეთა დახმარებას.

„ბავშვები მოდიან ოჯახებიდან, სადაც ძალადობის მსხვერპლნი არიან და ეს ბავშვები სკოლაში არიან შემდეგ მოძალადეები და ასეთ ბავშვებთან მასწავლებლის ურთიერთობა არის ძალიან რთული. ახლა ერთი ბავშვი [რომ] სახეზე იფარებს ხელს, ეს ხომ აშკარაა, რომ იგი ძალადობის მსხვერპლია. ან დედა და მამა რომ ხოცავს ერთმანეთს და ბავშვი მოდის სკოლაში. ეს ყველაფერი ბავშვის ფსიქიკაში ილექება. მერე ეს ბავშვი აგრესორი ხდება". (პედაგოგი)

„სკოლა კაპიკებს არ უნდა ითვლიდეს, ფსიქოლოგი უნდა იყოს სკოლაში... ფსიქოლოგი აუცილებელია. ამას მოითხოვენ მშობლები, პირველ რიგში. ვთქვი, რამდენიმე სკოლამ დაიქირაოს ერთი ფსიქოლოგი-მეთქი, იმდენად მძაფრი მოთხოვნაა მშობლებისგან ფსიქოლოგთან კონსულტაციების, პატარა დასახლებულ უბნებშიც კი". (პედაგოგი)

სასკოლო საზოგადოების მოლოდინი ზოგადი განათლების მიმართ

კვლევაში ჩართული პედაგოგები და სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ესგ-სა (ეროვნული სასწავლო გეგმა) და ზგემ-ზე (ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები) დაყრდნობით, ისინი ხელს უწყობენ ტოლერანტი, ემპათიური, დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოქალაქის აღზრდას, რომელიც, გარდა სოციალური უნარ-ჩვევებისა, სკოლაში იღებს ზოგად განათლებას სხვადასხვა საგნობრივ კომპეტენციაში. თუმცა საზოგადოებას (რომელშიც მეტწილად მშობლები მოიაზრება) სკოლის მიმართ გადაჭარბებული მოლოდინი აქვს. რესპონდენტები ყურადღებას ამახვილებენ რამდენიმე მიმართულებაზე, რომლებიც მნიშვნელოვანია მშობლისთვის, კერძოდ: **უსაფრთხოება** – მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მშობლისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი არის შვილის უსაფრთხოება, მისი დაცულობა როგორც ფიზიკური, ისე ემოციური და ფსიქოლოგიური ძალადობისგან. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ამ კომპონენტში მშობლები მეტწილად ენდობიან სკოლას და, მეტიც, ზოგჯერ ითხოვენ იმგვარი გარემოს (არა მხოლოდ ფიზიკურის) უზრუნველყოფას სკოლაში, რომლის შეთავაზებაც თავად არ შეუძლიათ. ამის დასტურად მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ოჯახებში დღესდღეობით ხშირია ძალადობის შემთხვევები, რომელთა მსხვერპლი ან შემსწრე ხდება არასრულწლოვანი. ამასთან, არის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური გარემო, რის გამოც მოსწავლეთა დიდი ნაწილი მშობლის/მშობლების გარეშე იზრდება (რადგან მათი მშობლები შრომითი მიგრანტები არიან); შესაბამისად, ბავშვის მეთვალყურეობისა და ზრუნვის პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე, სკოლის მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების აზრით, მშობლებს გადმოტანილი აქვთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაზე. მიუხედავად ამხელა პასუხისმგებლობის სკოლისთვის დაკისრებისა, რესპონდენტები ფიქრობენ, რომ მშობლების დიდ ნაწილს სკოლის მიმართ აგრესიული დამოკიდებულება აქვს და მუდმივად ცდილობს, ნებისმიერ გამოწვევაში სკოლის და პედაგოგის ბრალეულობა დაინახოს. ამგვარი მსჯელობა გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ დაშვება, თითქოს მშობელი სკოლას ნდობას უცხადებს, ზედაპირულია და სიმყარეს იქამდე ინარჩუნებს, სანამ მშობელი/მოსწავლე რეალური გამოწვევის წინაშე არ დადგება.

„ზოგადი მოთხოვნა მშობლის არის უსაფრთხოება. ის [მისი შვილი] 4-5 საათი უნდა იყოს უსაფრთხოდ. პირველი, რასაც ითხოვს, არის უსაფრთხოება, მისი შვილი უნდა იყოს ფიზიკურადაც და მორალურადაც დაცული იმ გარემოში". (პედაგოგი)

„მოკლედ, ყველა ყველაფერს ითხოვს მასწავლებლისგან – მშობელი, დირექცია. მასწავლებელი უნდა იყოს ყველაფერში პასუხისმგებელი... განსაკუთრებით მშობლებისგან არის მოთხოვნა: რატომ მიიღო დაბალი ქულა მისმა შვილმა? საცოდავი პედაგოგები – ყველაფერში დამნაშავეები ჩვენ ვართ. რატომ იქცევა [ბავშვი] ასე? რატომ არ სურს გაკვეთილზე შესვლა?" (პედაგოგი)

„...სრულიად იცილებს პასუხისმგებლობას [მშობელთა ნაწილი] და თავიდან ბოლომდე მასწავლებელზე აქვს მონდობილი თავისი შვილის განათლება. მას ჰგონია, რომ მასწავლებელი არის უნიკალური შესაძლებლობების; შეუძლია, გაუხსნას თავი მის შვილს და 45 წუთის განმავლობაში ასწავლოს ყველაფერი... იმას არ აცნობიერებს, რომ მასწავლებელი ამ დროის განმავლობაში ფასილიტატორის როლშია, დანარჩენი თვითონ მშობელმა და ბავშვმა უნდა გააკეთონ". (პედაგოგი)

მეორე ფაქტორი, რომელიც, პედაგოგებისა და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლების აზრით, მნიშვნელოვანია მშობლებისთვის, არის **ზოგადი განათლების მიღების დადასტურების დოკუმენტის, ატესტატის, აღება**. რესპონდენტების თქმით, ხშირად მშობლებისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლის მიერ არა რეალური ცოდნის მიღება, არამედ შეფასება და საბოლოო დოკუმენტი. კვლევის მონაწილეები ამის რამდენიმე მიზეზს გამოყოფენ: ერთი მხრივ, შეფასება (ქულა) მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ მიიღოს კომპიუტერი და სკოლის დასრულების შემდეგ – მედალი, ხოლო ატესტატის ქონა აუცილებელი პირობაა უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად. შვილის უმაღლესი განათლება კი მშობელთა უმეტესობისთვის პრიორიტეტულია. რესპონდენტების თქმით, სკოლის, როგორც ცოდნის მიღების ადგილის, აღქმა საზოგადოებაში შესუსტებულია და მთელი სიმძიმის ცენტრი გადატანილია რეპეტიტორებზე; ხოლო დამატებითი მეცადინეობა კონკრეტულ საგნებში არ ემსახურება ცოდნის გაღრმავების მიზანს, არამედ ეროვნული გამოცდების ჩაბარებას და უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებას.

„[მშობლის] მოლოდინი არის, რომ [მისმა შვილმა] სავალდებულო საფეხური დაამთავროს, აიღოს ეს ატესტატი და შემდეგ უკვე თავისუფალია". (პედაგოგი)

„მშობლების უმეტესობა ორიენტირებულია, მეშვიდე კლასში რომ შვილი გადავა, მეშვიდე კლასიდან შვილი უნდა ჰყავდეს ათოსანი, რომ მეცხრე კლასის ბოლოს მიიღოს კომპიუტერი". (სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი)

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელსაც, მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლების აზრით, საზოგადოებისთვის (მშობლებისთვის) დიდი მნიშვნელობა ენიჭება, არის **სოციალური უნარ-ჩვევებისა და ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბება** მოზარდში. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ოჯახებმა ზემოაღნიშნული საკითხი სრულად მიანდვეს სკოლას, ისე, რომ საკუთარ როლს ამ პროცესში ვერ/არ იაზრებენ. შესაბამისად, რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ საზოგადოებას აქვს გადაჭარბებული მოლოდინი სკოლის

მიმართ, რომელიც არ არის ნაკარნახევი ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით და უფრო მეტად ეფუძნება წარსულ გამოცდილებას, ხედვას სკოლისა და განათლების შესახებ. კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ საზოგადოებას ბოლომდე ვერ გაურკვევია, რა სურს, მიიღოს სკოლისგან. ეს კი ქმნის ბუნდოვნებას და გადაჭარბებულ მოლოდინს, რომლის შეუსრულებლობაც იწვევს საზოგადოების იმედგაცრუებას და ქმნის სკოლის მიმართ ნეგატიურ განწყობას.

„იციან [მშობლებმა], რომ უნდა დაამთავრონ [მათმა შვილებმა სკოლა] და საშუალო საფეხურზე მოსამზადებლად უნდა წაიყვანონ. საერთოდ არ აფასებენ იმას, სჭირდება თუ არა მათ შვილს მომზადება, ან რატომ მიდის იქამდე, რომ მომზადება სჭირდება. ალბათ ფიქრობენ, რომ ის მეზობელი, დაქალი რომ ამზადებს, მე რით ვარ ნაკლებიო. ზოგადად, პასუხისმგებლობას მთლიანად იცილებენ და სკოლაზე გადმოაქვთ თითქოს, მაგრამ სკოლაზეც ბოლომდე არა. თუ შენზე აქვთ პასუხისმგებლობა, გვერდში ხომ უნდა დაგიდგნენ და არც გიდგანან გვერდში ნორმალურად. რომ ვიცოდე, რას გვთხოვენ, გავაკეთებდი ზუსტად, მაგრამ ვერ ვიგებთ“. (პედაგოგი)

„ოჯახს არ სჯერა სკოლის, მაგრამ არც არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ სჯეროდეს. ის, რომ მოსწავლე სახლში იყოს, გაცდინოს, ჩვეულებრივი რამ არის. [ჩვეულებრივია] ის, რომ არც იკითხოს [მშობელმა] თავისი შვილის სწავლისა და წარმატების შესახებ; ის, რომ დამატებით არ ეხმარებოდეს სხვა კუთხით, ან ჰქონდეს პრეტენზია, მოვიდეს სკოლაში და გითხრას, რომ თქვენ ჩემს შვილს არ ასწავლით ისე, როგორც საჭიროაო. მე არ მომწონს ეს, არანაირი პრეტენზია მას არ გააჩნია, არ არის კრიტიკული. ის მაშინაა კრიტიკული, როდესაც ურემი გადაბრუნდება, როცა რაღაცა პატარა აირევა. მაშინ უკვე შეუძლია, გადაგიაროს“. (სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი)

„ჩემი აზრით, საზოგადოებამ ზედმეტი მოლოდინები გააჩინა სკოლის მიმართ. ასე თვლის საზოგადოება, რომ სკოლიდან ლამის იდეალური ბავშვი უნდა გამოვიდეს, მაგრამ თავის ადგილს, ანუ თავის როლს, საზოგადოება ვერ ხედავს“. (პედაგოგი)

თავად პედაგოგები და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ სკოლისგან საზოგადოება უნდა ელოდებოდეს ორი მთავარი მიმართულების ხელშეწყობას მოზარდებში: ერთი მხრივ, **ზოგადი განათლების მიღებას,** რაც მოიაზრებს სხვადასხვა საგნობრივ კომპეტენციაში საბაზისო ცოდნის ათვისებას და პრაქტიკაში მისი გამოყენების უნარს, ხოლო, მეორე მხრივ, **დემოკრატიული ღირებულებების მქონე კარგი მოქალაქის აღზრდას,** რაც გულისხმობს პასუხისმგებლობით აღსავსე, ტოლერანტი, პატრიოტი ახალგაზრდების აღზრდას.

„რა თქმა უნდა, კანონმდებლობა ესე ხელში არავის გვიჭირავს... არც საზოგადოების [წარმომადგენელ] სტანდარტულ მშობელს, მაგალითად, ან მოსწავლეს, არც ჩვენ, მაგრამ, რადგანაც წამოვიდა აზრი, რომ მოსწავლეს მასწავლებელმა უნდა განუვითაროს ის უნარები, რომ პატივისცემით უნდა მოეპყრას [სხვას], ტოლერანტი უნდა იყოს და ასე შემდეგ, მომდინარეობს იქიდან, რომ სადღაც ეს წერია, და გაიგო საზოგადოებამ“. (პედაგოგი)

რაც შეეხება მოსწავლეებს, ისინი აღნიშნავენ, რომ მათი და მათი მშობლების მოლოდინი სკოლის მიმართ, უმეტეს შემთხვევაში, მსგავსია, რადგან სურთ უსაფრთხო გარემოში ხარისხიანი ცოდნის მიღება და პიროვნული თვისებების გაუმჯობესება სამომავლო წარმატების მისაღწევად. კვლევაში ჩართული მოსწავლეების თქმით, მათი მშობლები მეტწილად კმაყოფილი არიან სკოლის მუშაობით, ნაკლებად გამოთქვამენ პრეტენზიებს მასწავლებლების მიმართ, თუმცა თითქმის არასდროს არიან კმაყოფილი თავიანთი შვილების აკადემიური მოსწრებით, რადგან სჯერათ, რომ ბავშვებს აქვთ მეტი რესურსი, რომელსაც ბოლომდე არ იყენებენ. რაც შეეხება გარეგან მოტივატორებს, როგორიცაა ნიშნები (ქულები), კომპიუტერის თუ მედლის მიღება, მოსწავლეებისთვის ნაკლებად პრიორიტეტულია. ისინი მიიჩნევენ, რომ ხშირ შემთხვევაში მიღებული შეფასებები არ ასახავს მოსწავლის რეალურ შესაძლებლობებსა და მონდომებას, რადგან ისინი მეტწილად ნაკარნახებია პედაგოგის სუბიექტური ხედვით კონკრეტული მოსწავლის მიმართ. არასრულწლოვნების დაკვირვებით, მშობლების ნაწილის ინტერესს შვილის ქულებისადმი იწვევს ის, რომ ამგვარად მათ აქვთ შესაძლებლობა, გაიგონ, როგორია მოზარდის მოტივაცია – სურს თუ არა სწავლა, თუმცა ბავშვები ქულობრივ შეფასებას არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებენ, რადგან მათთვის პრიორიტეტულია მიღებული ცოდნა, რომლის გამოყენებაც მათ შეეძლებათ მომავალში. რაც შეეხება პიროვნული უნარ-ჩვევების გაძლიერებას, მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ, მათი მოლოდინით, სკოლა ხელს უნდა უწყობდეს არასრულწლოვნის კომუნიკაციის უნარის განვითარებას და მის თავაზიან/ზრდილობიან მოქალაქედ ჩამოყალიბებას. თუმცა საბოლოოდ მოსწავლეებისა და მათი მშობლების მოლოდინიც უკავშირდება ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარებას და უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას.

„ყველაზე მნიშვნელოვანი და მთავარი [მშობლებისთვის] ის არის, რომ მათ შვილებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიიღონ ზოგადი განათლება და, ამასთან ერთად, დაცულები იყვნენ სასკოლო ტერიტორიაზე, ასევე მაქსიმალურად შეეცადოს სკოლა, რომ, ასე ვთქვათ, ღირსეული ადამიანები აღიზარდონ“. (მოსწავლე)

„[მშობლები] ხშირად მეუბნებიან, რომ, პირველ რიგში, სკოლამ უნდა აღგზარდოს, როგორც ქვეყნის ღირსეული მოქალაქე. სკოლამ უნდა მისცეს [მოსწავლეს] ის უნარი, ის თვისებები უნდა შესძინოს, რომლებიც მას მომავალში დასჭირდება და გამოადგება, თუნდაც აქტიურობა, თუნდაც სხვადასხვა ღონისძიებაში ჩართვა. ეს იქნება მომავალში მისთვის სასიკეთო და... ვფიქრობ, რომ მეტი აქტიური მოქალაქე უფრო ჯანსაღ სახელმწიფოს შექმნის და უფრო კარგი იქნება – რასაც ჩემი მშობლები ელიან, რომ ვიყო აქტიური, ვიყო შრომისუნარიანი და ვიყო ინოვატორი მოქალაქე“. (მოსწავლე)

თავად მშობლები აღნიშნავენ, რომ მათი მთავარი მოლოდინი სკოლის მიმართ არის ის, რომ მისცეს მოსწავლეს ხარისხიანი განათლება, რომლის გამოყენებასაც შეძლებს სამომავლოდ. რაც შეეხება სოციალური უნარ-ჩვევების გაძლიერებას და ღირებულებითი სისტემის ჩამოყალიბებას, მშობელთა აზრით, ეს ოჯახის ფუნქცია უფროა, ვიდრე სკოლის; შესაბამისად, ამ კომპონენტში ისინი ოჯახის როლს უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ. მშობელთა უმრავლესობა (მცირე გამონაკლისების გარდა) მიიჩნევს, რომ სკოლა მაქსიმალურად

ცდილობს, ხელი შეუწყოს მოსწავლეების განვითარებას, თუმცა, მიუხედავად კმაყოფილებისა, მათ უმრავლესობას შვილები დამატებით მოსამზადებლად დაჰყავს რეპეტიტორებთან; მაგრამ მშობლები მიიჩნევენ, რომ ეს არ აკნინებს სკოლის როლს, რადგან იგი ყველა მოსწავლეს ვერ მისცემს თანაბარ შესაძლებლობას, ისწავლოს ყველა საგანი ისე, რომ შესაძლებელი გახდეს ეროვნული გამოცდების ჩაბარება მაღალი შეფასებით, თანაც იმ პირობებში, როცა, მათი თქმით, ეროვნული გამოცდების და სასკოლო პროგრამა განსხვავდება ერთმანეთისგან. მცირეა იმ მშობელთა რაოდენობა, რომლებიც ფიქრობენ, რომ სკოლა ვერ უზრუნველყოფს დღეს საზოგადოების მთავარი დაკვეთის შესრულებას – ამაში იგულისხმება რეპეტიტორების დახმარების გარეშე ხარისხიანი ცოდნის მიცემა მოსწავლეებისთვის და იმ უნარ-ჩვევების გამომუშავება, რომლებიც 21-ე საუკუნის ახალგაზრდას სჭირდება.

„რა თქმა უნდა, განათლება უნდა მისცეს [სკოლამ], ზოგადი განათლება, რომ წარმატებული ადამიანი გამოვიდეს ჩემი შვილი. მაგრამ განათლებული ადამიანი რა არის მარტო, თუ პიროვნულად არ იქნა ჩამოყალიბებული, მაგრამ მარტო სკოლა ამას ვერ მიაღწევს, რა თქმა უნდა. სკოლა და ოჯახი ვალდებულია, რომ პიროვნებად ჩამოყალიბდეს ჩემი შვილები და, რა ვიცი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაინც სკოლაა, იქიდან უნდა მოვიდეს ღირებულებებით შემკული. ოჯახიდან ყველანაირად ვუწყობთ ხელს და საზოგადოებაშიც ისეთში მინდა, რომ იყოს ჩემი შვილი, სრულფასოვან ადამიანად ჩამოყალიბდეს“. (მშობელი)

„არ უნდა გვჭირდებოდეს რეპეტიტორები. მაშინ სკოლა რა საჭიროა?“ (მშობელი)

„პროცენტული მაჩვენებლით თუ გავანაწილებთ, დღევანდელი ახალგაზრდის სრულფასოვანი ჩამოყალიბების კუთხით სკოლა 30%-ს უვითარებს უნარებს და დანარჩენი დამოკიდებულია გარემოზე, და იმაზე, რაც ინდივიდუალური არის. ჩვენი სკოლა მინიმალურ, საბაზისო უნარებს აძლევს, მაგრამ დანარჩენს ჩვენ ვცდილობთ, რომ არაფორმალური განათლების კუთხით ვიყოთ ჩართული და ასე განვუვითაროთ ყველა ის უნარ-ჩვევა, რომელიც ეფექტურ კომუნიკაციას, პრეზენტაციას, გუნდურობას, ემპათიას უკავშირდება. ჯანსაღი ღირებულებების ჩამოყალიბებაში ჩვენი სკოლები არ არიან მზად და მომავალში ვნახოთ“. (მშობელი)

რაც შეეხება კვლევაში მონაწილე ექსპერტებს, ისინი მიიჩნევენ, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს ბოლომდე არ აქვს გააზრებული სკოლის როლი და დანიშნულება. ამაზე მეტყველებს ის მოლოდინი/დაკვეთა, რომელიც სკოლის მიმართ არსებობს. ექსპერტთა დაკვირვებით, საზოგადოებისთვის დღეს პრიორიტეტულია კონკრეტულ საგნობრივ კომპეტენციებში მოსწავლეების გაძლიერება, რათა მათ შეძლონ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება. ექსპერტთა აზრით, განათლების მიღება აღქმულია შესაძლებლობად, რომ ახალგაზრდამ შეძლოს პროფესიის დაუფლება სამომავლო კეთილდღეობისთვის, რაც გულისხმობს მეტწილად მაღალანაზღაურებადი სამსახურის ქონას. შესაბამისად, განათლების მიღება აღქმულია, როგორც პირადი კეთილდღეობის უზრუნველყოფის წყარო. ექსპერტების თქმით, ცოტაა იმ მშობლების წილი, რომლებიც გულწრფელად გამოთქვამენ სურვილს, რომ სკოლა აძლევდეს ბავშვს კარიერული დაგეგმვის შესაძლებლობას, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრის უნარს. ამას ემატება ისიც, რომ, როგორც ექსპერტები მიუთითებენ, საზოგადოების დიდი ნაწილი არ იცნობს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

შესაბამისად, მათ არ იციან, რა არის სახელმწიფოს პოლიტიკა, რა შედეგების მიღწევას ისახავს ის მიზნად; არ იცნობენ არც კანონს ზოგადი განათლების შესახებ და არც ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომელიც ერთგვარად აღწერს ზემოაღნიშნულ შედეგებამდე მისვლის გზას. ექსპერტთა ეს დაკვირვება დადასტურდა კვლევის შედეგებითაც. მშობლებისა და მოსწავლეების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა არ იცნობს არსებულ კანონმდებლობას თუ სახელმწიფოს ხედვას განათლების შესახებ. ის მცირე ნაწილი კი, რომლისთვისაც ზემოაღნიშნული დოკუმენტები ცნობილია, მეტწილად სამსახურებრივად არის დაკავშირებული საგანმანათლებლო სფეროსთან (ისინი დასაქმებული არიან სკოლაში ან არასამთავრობო სექტორში).

სკოლის მართვა/მენეჯმენტი

ფოკუსჯგუფების მონაწილეები აღნიშნავენ, რომ სკოლის მართვა საკმაოდ საპასუხისმგებლო და რთული საქმეა. მართალია, რესპონდენტებისთვის ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების ყველა ჯგუფის (პედაგოგი, მოსწავლე, მშობელი) მონაწილეობაც სასურველია, ეს პასუხისმგებლობა ძირითადად მაინც სკოლის დირექტორს ეკისრება. ამ მოსაზრებას თავად დირექტორების უმეტესობაც იზიარებს. მიიჩნევა, რომ სკოლის წარმატება თუ წარუმატებლობა დიდწილად სწორედ დირექტორის მართვის სტილზეა დამოკიდებული. რესპონდენტები საკუთარი სკოლის დირექტორებს პოზიტიურად აფასებენ და მიიჩნევენ, რომ ისინი მაქსიმალურად ცდილობენ, სკოლაში შექმნან უსაფრთხო და თანამშრომლობითი გარემო, სადაც პრიორიტეტულია ბავშვი და ბავშვის ინტერესები. ამასთან, დიდი ყურადღება ექცევა პედაგოგების განვითარებაზე ზრუნვას. კვლევაში ჩართული დირექტორებიც აღნიშნავენ, რომ, მიუხედავად მრავალი გამოწვევის არსებობისა (ინფრასტრუქტურული პრობლემები, მწირი ბიუჯეტი, რესურსების ნაკლებობა და სხვ.), ისინი ცდილობენ, საგანმანათლებლო დაწესებულება დემოკრატიული მართვის პრინციპების საფუძველზე მართონ.

გამოკითხული რესპონდენტების უმეტესობა (მოსწავლეები, მშობლები, პედაგოგები) თავად არ ისურვებდა, გამხდარიყო სკოლის დირექტორი, რადგან ამ პოზიციას თან ახლავს დიდი პასუხისმგებლობა, რომლის აღებაც რესპონდენტებს უჭირთ. გარდა ამისა, გამოიყო ძირითადი თვისებები, რომლებიც კარგ მენეჯერს უნდა ახასიათებდეს. პედაგოგებისთვის მნიშვნელოვანია, რომ დირექტორი აფასებდეს/აღიარებდეს მათ შრომას, ასევე იცავდეს მასწავლებელთა უფლებებს. მოსწავლეებისთვის პრიორიტეტულია, რომ დირექტორმა უზრუნველყოს სამართლიანი, უსაფრთხო გარემოს შექმნა, რომელიც თავისუფალი იქნება ბულინგის შემთხვევებისგან. მოსწავლეების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ დირექტორი აქტიურად უნდა თანამშრომლობდეს ბავშვებთან, ეცნობოდეს მათ ინტერესებს, საჭიროებებს და სწორედ ამაზე დაყრდნობით გეგმავდეს სასკოლო ცხოვრებას. რაც შეეხება მშობლებს, მათ მიაჩნიათ, რომ დირექტორი უნდა ზრუნავდეს მოსწავლეებისთვის კომფორტული და უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, აწარმოებდეს მონიტორინგს, აქტიურად თანამშრომლობდეს მშობლებთან და უსმენდეს/ითვალისწინებდეს მათ გამოწვევებსა თუ ინიციატივებს. ამასთან,

მშობლებისთვის პრიორიტეტულია სკოლაში არაფორმალური განათლების დანერგვის ხელშეწყობა, რაც, მათი აზრით, უნდა წაახალისოს სკოლის დირექტორმა.

„ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა და ძალიან რთულია. არც მაქვს სურვილი [ვიყო დირექტორი]... მასწავლებლის უფლებებიც იყოს დაცული. მასწავლებელს ადამიანად არ თვლიან და ჩვენზე არავინ ფიქრობს, იმიტომ რომ იმდენ უსამართლობას ვაწყდები... მესმის, ჩვენც ვაშავებთ, მაგრამ ასეც არ შეიძლება. ძალიან რთულია და ამიტომ ბევრი რაღაც დირექტორზეა. მაინც, ვფიქრობ, ბევრი რაღაც სხვანაირად [უნდა] იყოს გააზრებული". (პედაგოგი)

„პირველ რიგში, [სკოლის დირექტორი რომ ვიყო,] მე შევეცდები, რომ ბავშვებს დავუახლოვდე, გავიცნო, ყველას ხასიათი გავიგო, ვისწავლო, თუ როგორ უნდა მივუდგე, როგორი ხასიათის ბავშვია, როგორი მიდგომა სჭირდება. შეეცადოს, ისეთი შემიყვაროს და ისეთს დამიმეგობრდეს, როგორიც ვარ და მეც ასე გავუკეთო მას". (მოსწავლე)

„კარგ მენეჯერში რას ვგულისხმობ? რა თქმა უნდა, კოლექტივს პატივს უნდა სცემდე და, ზოგადად, დისციპლინაც უნდა გქონდეს. კათედრები ხომ არის სხვადასხვა საგნის... თითოეულთან უნდა ჰქონდეს შეხვედრები, ერთად გეგმავდნენ პროექტებს. მხოლოდ კონტროლი არაა. რასაც დაგეგმავ, იმას მონიტორინგს უნდა უწევდე, მაგრამ ჩართული უნდა იყოს, იდეები შემოჰქონდეს და სასკოლო ცხოვრება იქნება აქტიური". (მშობელი)

რაც შეეხება ექსპერტებს, ისინი მიიჩნევენ, რომ დირექტორი, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს ლიდერის უნარ-ჩვევების მქონე და თავისუფალი. მას უნდა შეეძლოს დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება. თუმცა რეალობა განსხვავებულია, რადგან, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, სკოლის დირექტორები, უმეტეს შემთხვევაში, გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად ვერ იღებენ, მათ ყოველი ნაბიჯი უნდა შეუთანხმონ რესურსცენტრს და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. მათ ეშინიათ, რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამსახურს დაკარგავენ. შესაბამისად, ამგვარ პირობებში სკოლის დირექტორები ვერ ახერხებენ მრავალფეროვანი სასკოლო ცხოვრების დაგეგმვას, რადგან მათი ყოველი გადაწყვეტილება, თანამშრომლობა გარე ორგანიზაციებთან შეთანხმებული უნდა იყოს ზემდგომ სტრუქტურებთან. ამასთან, დირექტორმა უნდა უზრუნველყოს სკოლაში პოზიტიური ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბება. მას არ უნდა ეშინოდეს ხისტი გადაწყვეტილებების მიღების, რომლებიც ემსახურება მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებს. თუმცა, ექსპერტთა აზრით, ამგვარი დირექტორების რიცხვი საკმაოდ ცოტაა.

„[დირექტორობა] მოითხოვს ისეთ ხედვას, თუ როგორ უნდა განვითარდეს სკოლა, როგორი ორგანიზაციული კულტურა უნდა ჰქონდეს სკოლას. რამდენად ვარ მე მზად, რომ ისედაც შეზღუდული სისტემის ფარგლებში რაღაც პატარა თავისუფლებები მოვიპოვო ჩემი სკოლისთვის... სიახლეები დავნერგო... დამატებითი ფინანსები მოვიძიო და არ ვიყო მარტო განათლების ვაუჩერზე მიბმული... დირექტორი იმასაც კი ვერ გადაწყვეტს დამოუკიდებლად, კონკრეტული პირი შეუშვას თუ არა სკოლაში და შეახვედროს მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს. რომელ დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებზე ვსაუბრობთ, ყველაფერი შეთანხმებული უნდა იყოს რესურსცენტრთან და განათლების სამინისტროსთან. მათ

[დირექტორებს] ეშინიათ, რომ მოუწევთ ყველაფრზე პასუხისმგებლობის აღება". (ექსპერტი)

„დირექტორები, განსაკუთრებით საარჩევნო პროცესებში, არიან... მსხვერპლი ამ პროცესების და პოლიტიზების. ვნახეთ ჩვენ, რომ რამდენი წელი მოვალეობის შემსრულებლად იყო ათასზე მეტი დირექტორი... და მათ არ იცოდნენ, შეძლებდნენ თუ არა [მუშაობის] გაგრძელებას თავიანთ [პოსტზე] და ასეთ სტრესულ გარემოში მუშაობა, ცხადია, ძალიან რთულია". (ექსპერტი)

სკოლის სამეურვეო საბჭო

რესპონდენტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სკოლაში სამეურვეო საბჭოს არსებობა მნიშვნელოვანია, რადგან ამგვარად უზრუნველყოფილია სასკოლო თემის აქტიური ჩართვა სკოლის ცხოვრებაში და მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. როგორც სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები აღნიშნავენ, სამეურვეო საბჭოს არსებობა ხელს უწყობს სკოლაში დემოკრატიული მართვის პრინციპების დანერგვას, რადგან ეს ორგანო წარმომადგენლობითია და სკოლის ყველა რგოლს აერთიანებს, თუმცა სინამდვილეში ის ვერ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს და მისი არსებობა უფრო მეტად ფორმალურია. თუმცა ამის მიზეზად ისევ მშობელთა ჩართულობის/მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი სახელდება. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ სამეურვეო საბჭოში ჩართვა მოითხოვს მრავალი კომპეტენციის ფლობას, მაგალითად, ბიუჯეტის დაგეგმვის, განათლების სისტემის ხედვისა და პოლიტიკის ცოდნას, რაც მშობელთა უმრავლესობისთვის სრულიად უცხოა. შესაბამისად, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და პედაგოგთა ნაწილიც მიიჩნევს, რომ ამ მიმართულებით მშობლებს სჭირდებათ გაძლიერება. როგორც სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა დიდი ნაწილი აღნიშნავს (განსაკუთრებით რეგიონებში), მშობლებს არ აქვთ სურვილი, იყვნენ სამეურვეო საბჭოს წევრები. ხშირად დირექცია თავად სთხოვს კონკრეტულ მშობლებს, მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში. არჩევნების შემდეგ კი სამეურვეო საბჭოს წევრების ძირითადი ფუნქციები შემოიფარგლება მხოლოდ მსმენელის როლში ყოფნით. ისინი მეტწილად ისმენენ დირექტორის წლიურ ანგარიშებს, ბიუჯეტის განხილვის პროცესს, ამტკიცებენ სხვადასხვა სასკოლო დოკუმენტაციას. ამის თქმის საფუძველს იძლევა ის გამოცდილება, რომელსაც რესპონდენტები გვაცნობენ – სამეურვეო საბჭოს წევრების მხრიდან ნაკლებად მოდის ინიციატივები, ცვლილებები, რომლებიც შეიძლება შეტანილ იქნეს სკოლის ბიუჯეტში ან სხვა დოკუმენტაციაში. სწორედ ამის გამო აღნიშნავენ სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, რომ სამეურვეო საბჭო მეტწილად ფორმალურად არსებობს. ამ მოსაზრებას იზიარებენ ექსპერტებიც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ, რაკი კანონმდებლობით სკოლაში სავალდებულოა სამეურვეო საბჭოს არსებობა, ხშირად დირექტორები გვევლინებიან იმ ორგანოს ფუნქცია-მოვალეობების შემსრულებლებად, რომელსაც თავად ევალება დირექტორის კონტროლი. ექსპერტთა თქმით, მშობლების დიდი ნაწილი საერთოდ არ ფლობს ინფორმაციას სამეურვეო საბჭოსა და მისი ფუნქციების შესახებ; შესაბამისად, ისინი ვერ იყენებენ იმ შესაძლებლობებს, რომლებიც ამ ორგანოში აქტიური ჩართვით შეიძლება გაუჩნდეთ. ამას ემატება ისიც, რომ პედაგოგებისა და დირექციის მხრიდანაც ნაკლებად

ჯანსაღია მიდგომა სამეურვეო საბჭოს მიმართ, რადგან, უმეტესად, მათაც არ აქვთ გააზრებული ამ ორგანოს მუშაობის პრინციპები და მნიშვნელობა სკოლისთვის.

„მშობელს არც აქვს სურვილი, რომ გახდეს სამეურვეო საბჭოს წევრი. კონკურსი უნდა იყოს... იძულებული ვიყავი, ვურეკავდი [მშობლებს], ვთხოვდი, ვეხვეწებოდი, დარეგისტრირებულიყვნენ“. (სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი)

„მშობლების ცნობიერების დონე არის ძალიან ასამაღლებელი. მათ უნდა გაითავისონ ეს პასუხისმგებლობა, მშობელმა გაიაზროს თავისი უფლება-მოვალეობა, სკოლაში რისი გაკეთება შეუძლია, რომ აქტიურად ჩაერთოს სკოლის მუშაობაში და სამეურვეო საბჭოში, რომ ფორმალურად არ დარჩეს ეს ყველაფერი, მხოლოდ ჩვენგან მიწოდებულ ინფორმაციაზე არ იყვნენ დამოკიდებულნი. მათ არ აქვთ გააზრებული, რომ უწყვეტი პასუხისმგებლობა აქვთ მოსწავლის [მიერ] სწავლის მიღებასა და გაუმჯობესებაზე; მხოლოდ სკოლის პრიორიტეტად მიაჩნიათ ეს. მათ უნდა გაარკვიონ და გაიგონ, რა არის მათი მოვალეობა, ისევ და ისევ თავიანთი შვილების პროგრესისათვის“. (სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი)

„სამეურვეო საბჭო არის ძალიან კარგი ინსტრუმენტი სკოლის დემოკრატიულად მართვისთვის, მაგრამ ეს მხოლოდ ფურცელზეა ჩვენთან. ჩვენს რეალობაში სამეურვეო საბჭო არის გადასარევი მაგალითი იმისა, როგორ შევაკოწიწოთ ისე დემოკრატია, რომ თან დემოკრატია გვქონდეს ფურცელზე, მაგრამ სინამდვილეში დემოკრატია არ გვქონდეს. და ამისთვის ჩვენ, ყველა რგოლი, რაღაცას ვაშავებთ, როგორც ადმინისტრაცია, ისე პედაგოგები, ისე მასწავლებლები, და, რასაკვირველია, სამინისტრო, რომელსაც არ აქვს სწორი პოლიტიკა სამეურვეო საბჭოს არჩევნებთან [მიმართებით]“. (ექსპერტი)

„[ადვილია,] რომელიმე ორ მადლიერ მშობელს, ორ ჩვეულებრივ მშობელს, ვისთანაც მარტივად გამოგვივა [ურთიერთობა], ვუთხრათ, რომ მიდი, შეიტანე განცხადება, დიდზე არაფერს არ შეგაწუხებთ, კაცო, ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს. თქვენ, უბრალოდ ხელის მოსაწერად გამოგიგზავნით ხოლმე. ეს ადვილია ძალიან და ჰქვია, რომ დემოკრატიაც გვაქვს“. (ექსპერტი)

თბილისის სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლები და ნაწილი პედაგოგებისა მიიჩნევენ, რომ სამეურვეო საბჭოები დღეს ეფექტიანად ფუნქციონირებენ და ასრულებენ მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს, რაც მოიცავს ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცებას, დირექტორის ანგარიშების განხილვას და არჩევნებში მონაწილეობას. ძირითადად, სწორედ ეს სამი ფუნქცია სახელდება რესპონდენტების მხრიდან, რაც, მათი აზრით, აქვს სამეურვეო საბჭოს. რესპონდენტთა ეს ნაწილი ფიქრობს, რომ სამეურვეო საბჭო სკოლაში უმაღლესი ორგანოა და, შესაბამისად, ის ვერ იქნება ფორმალური; ამასთან, მიიჩნევენ, რომ სამეურვეო საბჭო წარმომადგენლობითია, რითაც უზრუნველყოფილია სასკოლო თემის ჩართულობა სკოლის საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. საყურადღებოა ისიც, რომ რეგიონებში მოქმედი სკოლების პედაგოგები, განსხვავებით მათი დირექტორებისგან, პოზიტიურად აფასებენ სამეურვეო საბჭოს მუშაობის გამოცდილებას და აღნიშნავენ, რომ ეს ორგანო ასრულებს ყველა იმ ვალდებულებასა და ფუნქციას, რომლებიც კანონით აკისრია. მსგავსი შეფასება კი იძლევა საფუძველს ვარაუდისა, რომ პედაგოგებს არ

აქვთ გააზრებული სამეურვეო საბჭოს მნიშვნელობა და როლი სასკოლო ცხოვრებაში და არ ფლობენ სრულ ინფორმაციას ამ ორგანოს მუშაობის სპეციფიკის შესახებ.

„ჩვენს სკოლაში [სამეურვეო საბჭო] ძალიან ქმედითუნარიანია. დარწმუნებული ვარ, ყველა სკოლაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ორგანოა [სამეურვეო საბჭო], მშობელთა ჩართულობაც არის ძალიან აქტიური, გათვალისწინებულია ყოველთვის მშობელთა ინიციატივები... ყველა მნიშვნელოვანი პროცესი, რაც მიმდინარეობს სკოლაში, დაწყებული ყველა სახის დოკუმენტაციით, რასაც განიხილავენ, ყველაფერში აქტიურად არიან მშობლები ჩართულნი". (სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი)

„მაღალია ხოლმე აქტიურობა [მშობლების მხრიდან], განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე. მინდა, გითხრათ, წელს, მაგალითად, სამეურვეოს არჩევნებზე სერიოზული კონკურენცია იყო, რასაც ვერ ვიტყვი საშუალო საფეხურზე". (სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი)

„კარგად მუშაობს ეს ინსტიტუტი. მშობლების ჩართულობა ამ მხრივ არის მნიშვნელოვანი და სურთ კიდეც [მშობლებს], რომ იყვნენ ჩართულები... არიან ინიციატორები და, რა ვიცი, საკმაოდ ეფექტურია, ჩემი აზრით". (პედაგოგი)

რაც შეეხება მოსწავლეებსა და მშობლებს, მათი დიდი ნაწილი არ იცნობს სამეურვეო საბჭოს მუშაობის სპეციფიკას. ამ ორგანოზე გარკვეულ ინფორმაციას, ძირითადად, მხოლოდ ის მოსწავლეები ფლობენ, რომელთა მშობლებიც არიან სამეურვეო საბჭოს წევრები, თუმცა მათი ცოდნაც ბუნდოვანი და მწირია. მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა არ იცის, რა ბერკეტები აქვს სამეურვეო საბჭოს, რა ფუნქციები აქვს მას და, შესაბამისად, არც იმაზე ფლობს ინფორმაციას, რომ ამ ორგანოში თავადაც ჰყავთ წარმომადგენელი თვითმმართველობის თავმჯდომარის სახით. რაც შეეხება მშობლებს, რომლებიც ამჯერად ან ოდესმე ყოფილან სამეურვეო საბჭოს წევრები, ამ ორგანოს ფუნქციად იმ კომპონენტებს თვლიან, რომლებსაც ასახელებენ სკოლის ადმინისტრაციის წევრები და პედაგოგები (ბიუჯეტის დამტკიცება, დირექტორის არჩევა). ისინი სამეურვეო საბჭოს მუშაობას პოზიტიურად აფასებენ და მიაჩნიათ, რომ თავადაც აქტიურად არიან ჩართული ამ პროცესში. მშობლები კი, რომლებიც არასდროს ყოფილან სამეურვეო საბჭოს წევრები, არ ფლობენ ინფორმაციას ამ სტრუქტურული ერთეულის არსებობის შესახებ; არ იციან, ვინ არის მათი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში და არც არჩევნებში მიუღიათ მონაწილეობა; შესაბამისად, ამ ორგანოს არ განიხილავენ თავიანთ მხარდამჭერად, პრობლემის არსებობის შემთხვევაში კი, ძირითადად, კლასის დამრიგებელს ან დირექტორს მიმართავენ. მსგავსი შედეგები აჩენს საფუძვლიან ვარაუდს, რომ დირექტორების მხრიდან კონკრეტული მშობლებისთვის სამეურვეო საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის თხოვნა (რაც ზემოთ აღინიშნა) რეალური და ფესვგადგმული პრაქტიკაა სკოლებში.

„მე როგორც ვიცი, დიდი ფუნქცია არა აქვს [სამეურვეო საბჭოს], მაგრამ დირექტორის არჩევნების დროს იღებენ მონაწილეობას". (მოსწავლე)

„არანაირად არ ვიცნობ [სამეურვეო საბჭოს ფუნქციებს], არც ვიცი, როგორ არის. დარწმუნებული ვარ, რა საკითხებიც იქნება გადასაჭრელი, მიტანილი იქნება დირექტორამდე. დიდად შეხება არ მქონია. მე არ ვარ წევრი". (მშობელი)

მოსწავლეთა თვითმმართველობა

კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა ფლობს ინფორმაციას სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის არსებობის შესახებ, თუმცა უმეტესობა რესპონდენტებისა ამ სტრუქტურული ერთეულის ფუნქციად მიიჩნევს სხვადასხვა არაფორმალური აქტივობის/ღონისძიების ორგანიზებას და ჩატარებას. პრაქტიკა აჩვენებს, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრები, ძირითადად, თავიანთი ინტერესების შესაბამისად ქმნიან კლუბებს ან გეგმავენ აქტივობებს, კერძოდ, სპორტულ ან კულტურულ ღონისძიებებს. ისეთი ფუნქცია-მოვალეობები, როგორიცაა რეკომენდაციების მომზადება სკოლის შინაგანაწესის შესახებ, მოსწავლეთა წინაშე არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება და მათზე რეაგირება, უმეტეს შემთხვევაში, უგულებელყოფილია. მიუხედავად ამისა, ფოკუსჯგუფების მონაწილე სასკოლო საზოგადოების წევრების უმეტესობა მიიჩნევს, რომ ეს სტრუქტურული ერთეული ეფექტიანად მუშაობს, რადგან მოსწავლეები ასე სწავლობენ დაგეგმვას, გუნდურ მუშაობას, მოლაპარაკების ხელოვნებას და მიზნისკენ სწრაფვას. თუმცა, რესპონდენტები აღნიშნავენ იმასაც, რომ თვითმმართველობის მუშაობა დამოკიდებულია მოსწავლეთა პიროვნულ მოტივაციაზე. ერთსა და იმავე სკოლაში სხვადასხვა წელს თვითმმართველობების მუშაობის ხარისხი განსხვავებულია, რადგან ამ არჩევით ორგანოში ყოველწლიურად ტარდება არჩევნები და, შესაბამისად, ხშირად იცვლებიან მისი წევრები. მოსწავლეები ასევე მიუთითებენ, რომ არის შემთხვევები, როცა მოსწავლეებს არ აქვთ ინტერესი, გახდნენ თვითმმართველობის წევრები, მაგრამ, ვინაიდან ისინი გამოირჩევიან მაღალი აკადემიური მოსწრებით, პედაგოგები ხშირად სთხოვენ, მიიღონ მონაწილეობა თვითმმართველობის არჩევნებში. ეს კი ხშირად იწვევს იმას, რომ ამ სტრუქტურულ ერთეულში არამოტივირებული მოსწავლეები იკრიბებიან, რომელთაც არ სურთ, აქტიურად ჩაერთონ თვითმმართველობის მუშაობის პროცესში. გარდა ინტერესის ნაკლებობისა, იკვეთება შემთხვევები, როცა თვითმმართველობის წევრ მოსწავლეებს არ აქვთ გამოცდილება, თუ როგორ განახორციელონ აქტივობები და პროექტები, რის გამოც ისინი პასიურობენ და ვერ ახერხებენ მათზე დაკისრებული ფუნქციების განხორციელებას.

„თვითონ მოსწავლეებისგან არ მოდის ეს მხარდაჭერა, ანუ, მე რომ თავმჯდომარე ვარ, მარტო მე ვერ გავაკეთებ [საქმეს] და ვერ განვახორციელებ პროექტებს. თვითონ თვითმმართველობისგან არ მოდის სურვილი, რომ რამე გავაკეთოთ“. (მოსწავლე)

„ჩვენთან არსებობს თვითმმართველობა, მეც ვიყავი... [მისი] წევრი, მაგრამ არ ფუნქციონირებს. ზოგადად, მარტო იკრიბებიან ბავშვები, რაღაცას მსჯელობენ, მაგრამ ჩვენ... არ ვიცით, ჩვენი სკოლის ბავშვებმა არ ვიცით ეს თვითმმართველობა, ზოგადად, არ ვიცით ეს პროექტები და მსგავსი რაღაცები, იმიტომ რომ არ გვქონია მსგავსი შემთხვევა არასდროს. ამიტომ ნაკლებია ინტერესი, აქედან გამომდინარე. ამიტომ არ ფუნქციონირებს, არ ხორციელდება სხვადასხვა პროექტი, აქტივობები და, უბრალოდ, სიტყვაზე ვამბობთ, რომ თვითმმართველობა გვაქვს და ბავშვები არიან თვითმმართველები“. (მოსწავლე)

„ინიციატივები უფრო ხშირად აქვთ საკუთარი და ისეთ რაღაც გასართობ-სახალისო აქტივობებს ატარებენ ხოლმე, თუმცა მერე ჩვენთან გადიან კონსულტაციას და, თუ საჭირო

გახდა, რაღაც საჭიროების რელსებზე შეიძლება... გადაიყვანო და სარგებელიც მიიღო კიდევ“. (პედაგოგი)

„თვითმმართველობაზე როდესაც ვსაუბრობთ, პრობლემური არის ის საკითხი, რომ მოსწავლეების არჩევა, ძირითადად, მაღალი აკადემიური მოსწრებით ხდება. აკადემიური მოსწრება კი არ უნდა განაპირობებდეს მოსწავლეთა თვითმმართველობის დაკომპლექტებას. ამ პრობლემებს ვაწყდებით ხოლმე, რისი მოგვარებაც აუცილებელია თუნდაც იმისთვის, რომ არჩევნები იყოს საყოველთაო, ფარული, სამართლიანი და ა.შ. ვისაც უნდა, ყველამ მიიღოს მონაწილეობა, წარმოადგინის საარჩევნო პროგრამა, ხედვა და თვითონ აირჩიონ, და არა, მაგალითად, ხელის აწევით და დასახელებით“. (პედაგოგი)

სკოლაში არსებული გამოწვევები

რეპეტიტორის ინსტიტუტი და მისი მნიშვნელობა

ერთ-ერთ მწვავე პრობლემად განათლების სისტემაში რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს რეპეტიტორის ინსტიტუტის არსებობას და მის საჭიროებას. თუმცა ეს გამოწვევა კვლევაში ჩართული ამა თუ იმ ჯგუფის შემთხვევაში განსხვავებული სახით იჩენს თავს, კერძოდ, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც აქტუალურია მოსწავლის დამატებით მომზადება სასწავლო საგნებში, არის მშობლების არასწორი დამოკიდებულება, რომ სასკოლო განათლებით ბავშვი ვერ შეძლებს ეროვნული გამოცდების ტესტის დაძლევას. როგორც სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავენ, დღესდღეობით მოდური გახდა რეპეტიტორთან მეცადინეობა და მშობლებიც ერთმანეთის მიბაძვით ატარებენ შვილებს სხვადასხვა პედაგოგთან დამატებით მოსამზადებლად. ამის არგუმენტად კვლევის მონაწილეები იხსენებენ ფაქტებს, როცა მცირერიცხოვანი კლასების (საშუალოდ 2-6 მოსწავლე) მოსწავლეებიც, მშობლების სურვილით, ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის საჭირო საგნებში ემზადებოდნენ რეპეტიტორებთან, რომლებსაც შეიძლება ჯგუფში 8-10 მოსწავლე ჰყავდეთ. რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ მშობლები არ ენდობიან სკოლას და ფიქრობენ, რომ მათი შვილი ვერ შეძლებს სასკოლო გარემოში იმ ცოდნის მიღებას, რომელიც სჭირდება ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ პედაგოგთა ნაწილი ამ მოსაზრებას მართებულად მიიჩნევს, რადგან, მათი თქმით, ერთიანი ეროვნული გამოცდების პროგრამა (საკითხები, რომელთა ცოდნაც სავალდებულოა აბიტურიენტებისთვის) და სასკოლო პროგრამა ერთმანეთს არ ემთხვევა. ეს გულისხმობს, რომ სკოლაში მიღებული ცოდნა განსხვავდება იმ მოთხოვნებისგანაც, რომლებიც აქვს ერთიან ეროვნულ გამოცდებს. ამ აზრს იზიარებს კვლევაში ჩართული თითქმის ყველა ჯგუფი. ისინი აღნიშნავენ, რომ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სხვადასხვა საგანში ითხოვენ იმგვარ საკითხებს, რომლებიც სკოლაში არ ისწავლება და პროგრამით არ არის გათვალისწინებული. აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და პედაგოგების

ნაწილი რეპეტიტორებს აღიქვამს როგორც მოსწავლის, ისე სკოლის დამხმარედ, რადგან მათთან მიღებული ცოდნა ავსებს იმ სიცარიელეს, რომელსაც ტოვებს სკოლა (გამომდინარე სასკოლო პროგრამის განსხვავებული მოთხოვნებიდან). თუმცა რესპონდენტთა მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ რეპეტიტორების არსებობა აზიანებს სკოლის სახელსა და რეპუტაციას, რადგან მოსწავლეებისთვის პრიორიტეტულია არა სკოლა და სასკოლო მასალის მომზადება, არამედ დამატებითი მეცადინეობა, რადგან ეს უკანასკნელი ფასიანია და მოზარდიც უფრო დიდ პასუხისმგებლობას გრძნობს, მეტი რესურსი მოახმაროს იმას, რაშიც მშობლები თანხას იხდიან.

„თითქოს მოდაში შემოვიდა, მე-11-მე-12 კლასში აუცილებლად უნდა დადიოდეს რეპეტიტორებთან [მოსწავლე], თუმცა ძალიან მაგარი მასწავლებლები გვყავს სკოლაში, არაჩვეულებრივი პედაგოგები, რომლებიც არანაკლებ მისცემენ და აძლევენ კიდევაც [განათლებას], მაგრამ ნახეთ, ფეხის ხმას არიან აყოლილი [მშობლები] და არის ეს პრობლემა, რომ მე-11-მე-12 კლასში [ბავშვები] არიან რეპეტიტორებთან [და არა სკოლაში] და ჩვენც ვუწყობთ ხელს ამაში, მასწავლებლებიც, დირექციაც... დარწმუნებული ვარ, ყველამ იცის, განათლების სისტემამაც, რომ ეს პრობლემა არის“. (პედაგოგი)

„ეტყობა, ტენდენციაა მშობლებში ასეთი, რომ მოდაშია, თუმცა მე ვარ მცირეკონტინგენტიანი სკოლის წარმომადგენელი... სოფლის სკოლაში ვასწავლი და ქალაქის სკოლებში მართლაც არის ეს პრობლემა. შეიძლება კლასებში ზის ბევრი ბავშვი და რაღაცა პრობლემები შეიძლება იყოს, ვერ გაიზროს ბავშვმა რაღაცა, მაგრამ... მართლა ვიტყოდი ხმამაღლა და არ შემრცხვება უფლის წინაშე, რომ კარგად ვასწავლი ძალიან... რეპეტიტორთან კი 8 და 10 მოსწავლე ზის“. (პედაგოგი)

„მშობლები სკოლიდან რომ ელოდებოდეს ამას [ეროვნული გამოცდები ჩააბაროს მათმა შვილმა], ბავშვს რეპეტიტორთან არ მიიყვანს. ამას მშობელი ელოდება რეპეტიტორისგან, რომ ბავშვმა უნდა ჩააბაროს უმაღლესში, სკოლიდან უკვე ელოდება მხოლოდ ატესტატს. ფაქტია ეს უკვე და ეს არ არის უკვე ერთი სკოლის და მასწავლებლის პრობლემა. ეს უკვე არის სისტემის პრობლემა“. (პედაგოგი)

„რეპეტიტორობის ინსტიტუტი რომ არ არსებობდეს და იცოდეს ბავშვმა, რომ სკოლიდან უნდა ისწავლოს, უკეთესი შედეგი გვექნება... ჩვენი ნასწავლები არ მოსწონთ, მაგრამ რეპეტიტორის მოსწონთ“. (სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი)

მოსწავლეები (უმეტესად, საშუალო საფეხურზე) ადასტურებენ, რომ მე-12 კლასში ისინი, ძირითადად, არ დადიან სკოლაში, რადგან ემზადებიან რეპეტიტორებთან და ეს წახალისებულია სკოლის მხრიდანაც, რადგანაც ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულება დღეს ხელს უწყობს აბიტურიენტს, რაც გამოიხატება სკოლის გაცდენის ფაქტების აღურიცხველობაში. მსგავსი პრაქტიკა დამახასიათებელია ყველა იმ რეგიონისთვის, სადაც განხორციელდა კვლევა. მოსწავლეების სრული უმრავლესობა ფიქრობს, რომ სასკოლო განათლება არ არის საკმარისი ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად. ამის მიზეზად ასახელებენ როგორც განსხვავებულ სასწავლო პროგრამას (რაზედაც ყურადღებას ამახვილებდნენ მასწავლებლები და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები), ასევე

მრავალრიცხოვანი კლასების არსებობას. მოსწავლეები მიიჩნევენ, რომ კლასებში, რომლებშიც 25-ზე მეტი მოზარდი სწავლობს, მასწავლებელი ვერ შეძლებს, თითოეულ ბავშვამდე ერთნაირად მიიტანოს საგაკვეთილო თემა, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა პედაგოგი ვერ ახერხებს კლასის მართვას და საგაკვეთილო დროის ნაწილი დისციპლინური საკითხების გადასაჭრელად სჭირდება. არასრულწლოვნების თქმით, მათ ხშირად არა მხოლოდ დამამთავრებელ კლასებში უწევთ მომზადება დამატებით, არამედ საბაზო საფეხურზედაც, განსაკუთრებით უცხო ენასა და საბუნებისმეტყველო საგნებში, რადგანაც სასკოლო მასალა საკმაოდ რთულია და უჭირთ მისი დაძლევა, მასწავლებელი კი ინდივიდუალურად ვერ ახერხებს თითოეული მოსწავლის დახმარებას, რადგან ამისთვის საკმარისი დრო არ აქვს. მოსწავლეთა ნაწილი ამ მოცემულობაში არ გამოკვეთს მასწავლებელთა ბრალეულობას და სიმძიმის ცენტრი გადააქვს კლასის მრავალრიცხოვნებაზე, ასევე, მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე, რომლებიც, ზოგ შემთხვევაში, არასაკმარისია პედაგოგის მიერ ახსნილი მასალის ხარისხიანად გააზრებისთვის. მცირეა იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მასწავლებელი ინდივიდუალურად უნდა მიუდგეს ყოველ მოსწავლეს და თითოეულის შესაძლებლობების ფარგლებში მივიდეს საბოლოო შედეგებამდე, რომლებიც ყველა არასრულწლოვნისთვის შეიძლება ასევე განსხვავებული იყოს.

„ჩემი აზრით, [სკოლაში] მასწავლებლის მეთოდები არ არის ყველა ბავშვისთვის განკუთვნილი, ასე ვთქვათ, ყველა ბავშვი ვერ იგებს მასწავლებლის მეთოდს და ამიტომ, ანუ, როგორ ვთქვა, სკოლაც არ იძლევა ისეთ განათლებას, ზოგად განათლებას, რომ შემდეგ გამოგვადგეს. უფრო მეტი გვჭირდება“. (მოსწავლე)

„ხშირად გამიგონია, დაზუსტებული არის თუ არა, არ ვიცი, მაგრამ, ზოგადად, ეროვნულებზე რაც გვხვდება და სკოლაში რასაც ვსწავლობთ, მე მგონი, რაღაცა განსხვავდება ერთმანეთისგან, ანუ იმ პროგრამით არ გავდივართ სკოლაში და შეიძლება იმ კონკრეტულ საკითხს გაკვეთილზე არ დავუთმოთ მეტი ყურადღება და, როდესაც რეპეტიტორთან მივდივართ, უფრო მტკიცედ ვიცით და იქ [რეპეტიტორთან] ტესტირებასაც გავდივართ... ანუ გამოცდილებასაც ვიღებთ“. (მოსწავლე)

„მოსწავლეებიც არსებობენ ისეთები, რომლებსაც მართლა საერთოდ არ უნდათ სწავლა, მთელი გაკვეთილი ხმაურობენ და ამით მასწავლებლებსაც ხელს უშლიან და, რა თქმა უნდა, სინამდვილეში გაკვეთილები არ არის არც ორმოცდახუთწუთიანი, ნახევარი საათი ძლივს ტარდება [ხმაურისა და არეულობის გამო] და, ჩემი აზრით, ხშირად 45 წუთიც არ არის ზოგ საგანზე საკმარისი“. (მოსწავლე)

„მე პირადად ვფიქრობ, როდესაც არის [კლასში] დაახლოებით 25-30 ბავშვი და 1 მასწავლებელი, საკმაოდ რთულია, რომ ყველამ ერთ დონეზე გაიგოს ეს საგანი... შეიძლება ბავშვი დაინტერესებულია ამ საგნით, მაგრამ ფიზიკურად რაღაცა ვერ გაიგო და მასწავლებელმაც ვერ შეძლო, ამდენ ბავშვში აეხსნა და გაღრმავებულად ვერ შეისწავლა ეს ნაწილი. ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, რეპეტიტორის აყვანა ჩვეულებრივი ამბავია“. (მოსწავლე)

რაც შეეხება მშობლებს, ისინი იზიარებენ რეპეტიტორის ინსტიტუტის საჭიროების შესახებ სკოლის წარმომადგენლებისა და მოსწავლეების მიერ დასახელებულ ყველა არგუმენტს, გარდა ერთისა – უარყოფენ, რომ დამატებით მომზადება მიბაძვის გამო გახდა პოპულარული. მშობლების თქმით, მათთვის შვილის განათლება უპირველესი საზრუნავია, ხედავენ აუცილებლობას, რომ ბავშვები დამატებით მოამზადონ და ამისთვის გადაიხადონ საკმაოდ სოლიდური თანხა, თუმცა მცირეა იმ მშობლების რაოდენობა, რომლებიც ამ საჭიროებას სკოლაში მიღებული განათლების დაბალი ხარისხით ხსნიან; მიიჩნევენ, რომ მათ შვილებს დამატებითი მეცადინეობა სჭირდებათ სასწავლო პროგრამებს შორის არსებული განსხვავებების გამო, რაშიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადანაშაულებენ. თუმცა არიან გამონაკლისებიც, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ხშირად პედაგოგი სკოლის საგაკვეთილო პროცესში ბოლომდე არ იხარჯება, საქმეს პასუხისმგებლობით არ ეკიდება, რადგან სკოლის შემდეგ ის დამატებით იღებს მოსწავლეებს (ხშირად იმ კლასებიდანვე, რომლებსაც თავად ასწავლის სკოლაში) და მეტ ენერგიას ამაში დებს; სწორედ ესაა მისთვის შემოსავლის ძირითადი წყარო, რადგან სკოლაში მიღებული ანაზღაურება მისთვის არასაკმარისია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მშობელთა უმეტესობის ცოდნა ეროვნული გამოცდების პროგრამისა და სასკოლო პროგრამის შესახებ ბუნდოვანია და მათ კონკრეტული განსხვავებების მოყვანა არ შეუძლიათ. მშობლები მიიჩნევენ, რომ სასკოლო პროგრამა საკმაოდ რთულია და მოსწავლეები ვერ ახერხებენ მის დაძლევას დამოუკიდებლად, რის გამოც მათ დამატებითი მომზადება არა მხოლოდ საშუალო საფეხურზე, არამედ დაწყებით და საბაზო საფეხურზედაც სჭირდებათ.

„მოსწავლეს, რომელსაც სკოლაში მაღალი აკადემიური მიღწევები აქვს, რეპეტიტორი აღარ უნდა დასჭირდეს, ამას წყალი არ გაუვა. მაგრამ ნახეთ, აქ სისტემაშია პრობლემა, საგამოცდო პროგრამა ხშირად სასკოლო პროგრამას არ ემთხვევა და ამის გამო არის, რომ მოსწავლეს სჭირდება დამატებით მასწავლებლის დახმარება“. (მშობელი)

„ალბათ იმ მოთხოვნას, რაც აქვს ეროვნულ გამოცდებს, ვერ აკმაყოფილებს სკოლა და საჭირო ხდება ბავშვის დამატებით მომზადება. არა მხოლოდ დამამთავრებელში, დაწყებითებშიც გვიწევს მომზადება. [იძულებული ვართ,] რეპეტიტორები ავიყვანოთ. მათემატიკა, უცხო ენა, ფიზიკა – ეს ის საგნებია, რასაც ვერ ფარავს სკოლა. უნარ-ჩვევების განვითარება ამ მიმართულებით არასაკმარისია“. (მშობელი)

„ჩემი აზრით, ზოგიერთი მასწავლებელი სკოლაში ნაკლებად იხარჯება, რადგან სახლში 2-ის (14.00 საათი) მერე რიგები აქვს. ეს გულგრილობაცაა, დირექციაც არ აკონტროლებს, როგორია დასწრება, პედაგოგები გულგრილები გახდნენ. საჭმელს არ შეჭამს დედა, ოღონდ შვილს მაინც მოამზადებს [რეპეტიტორთან]. ჩემს ირგვლივ სოციალურად დაუცველები არიან, სამსახურში 7 შვილი ჰყავს ქალს (ჩემს თანამშრომელს), 4 რეპეტიტორთან დაჰყავს და აქვს სოციალური შემწეობა“. (მშობელი)

„გაკვეთილზე შედი... ჩაატარე და, კი ბატონო, იმ სამი საათის მერე წადი, ვისაც გინდა, ერეპეტიტორე, რაც გინდა, ის ასწავლე, მაგრამ, აი, იმ სამ საათამდე, როცა სკოლაში გაკვეთილი უნდა ჩაატარო, მიხვიდე უნდა და ჩაატარო“. (მშობელი)

განსხვავებული მოსაზრება აქვთ სტუდენტებს. ისინი მიღებული გამოცდილების საფუძველზე აღნიშნავენ, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდები არ არის იმ სირთულის, რომლის დაძლევაც მოსწავლეს სკოლის განათლებით არ შეეძლება, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ცოდნა იქნება ხარისხიანი; მაგრამ, ახალგაზრდების თქმით, სკოლა ორიენტირებულია ფაქტობრივ ცოდნაზე და ნაკლებად უწყობს ხელს იმგვარი უნარ-ჩვევების გაძლიერებას, როგორიცაა, მაგალითად, კრიტიკული აზროვნება, რომელიც გეხმარება, გაიაზრო მიღებული ინფორმაციის მნიშვნელობა და შეძლო მისი გადმოტანა პრაქტიკაში. სტუდენტების უმეტესობა აღნიშნავს, რომ ახალგაზრდების დიდი ნაწილი სკოლის დამამთავრებელ ან ბოლოს წინა კლასში იღებს გადაწყვეტილებას, დაიწყოს აქტიურად სწავლა, რათა ჩააბაროს გამოცდები და სწორედ ამ ერთი ან ორი წლის განმავლობაში რეპეტიტორთან მეცადინეობის შედეგად ხდება სტუდენტი. ამიტომ მიიჩნევენ, რომ მათი წარმატება, რომელიც უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებას გულისხმობს, ძირითადად, არა სკოლის, არამედ რეპეტიტორების დამსახურებაა.

„სკოლას მართლა აქვს იმის შესაძლებლობა, მოგცეს ის [ცოდნა], რომ ჩააბარო, განსხვავებულად რთული იქ [გამოცდებზე] არაფერი არაა“. (სტუდენტი)

„ფორმა არის შესაცვლელი, ჩემი აზრით, ძალიან ბევრ საგანში სწავლების. ზუსტად მაგიტომაა მერე ეგ პრობლემა, რომ ნასწავლი ცოდნის რეალიზებას ვერ ახერხებს ადამიანი, ანუ გამოყენებას. სკოლაში მიდიხარ, ჰყვები მოთხრობას და ეს არის, მორჩა! სად არის ანალიზის პროცესი?.. ანუ გაკვეთილის პროცესი არ უნდა იყოს მონოლოგი, რომ „ადექი, მომიყევი“. მასწავლებელი მაქსიმალურად უნდა ცდილობდეს, რომ, გარდა იმ უნარისა, შენ ტექსტი რომ წაიკითხე, მიხვედი და ამ ტექსტს ყვები, მაგ უნარის უკან კიდე სხვა უნარებსაც უნდა გივითარებდეს“. (სტუდენტი)

„მახსოვს, ერთი კომენტარი დაწერა ჩემმა დამრიგებელმა [როცა ჩავაბარე], აი, ყოჩაღო, ნამდვილად სასახელო გაგვიზრდიხარო, და მე დავუწერე... ეს წარმატება არანაირად არ არის თქვენი და სკოლის დამსახურება-მეთქი“. (სტუდენტი)

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რეპეტიტორის ინსტიტუტი ხელს უწყობს მოსწავლეთა შორის უთანასწორობის გაღრმავებას, რადგან საქართველოში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარება ყველა მოსწავლეს არ აძლევს შესაძლებლობას, ისარგებლოს კერძო მასწავლებლის დამატებითი მომსახურებით და ამაში თანხა გადაიხადოს. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ განათლების სისტემისთვის მისაღებია რეპეტიტორის ინსტიტუტის არსებობა, რადგან ამგვარად პედაგოგებს აქვთ დამატებითი შემოსავალი და ისინი ნაკლებად ითხოვენ სისტემისგან ხელფასების გაზრდას. ამის გამო განათლების სისტემა განიცდის სტაგნაციას, რადგან განათლებას სახელმწიფო ფორმალურად მიიჩნევს პრიორიტეტულ მიმართულებად სინამდვილეში კი პროცესი პოლიტიზებულია, რადგან ხელისუფლება არ ცდილობს ხისტი ცვლილებების განხორციელებას, რათა არ გაანაწყენოს მხარდამჭერები.

„რეპეტიტორების ინსტიტუტი რაც არის, მასწავლებლები ამაზე არიან ორიენტირებულები. სისტემისთვის ეს მისაღებია, იმიტომ რომ მასწავლებელს აღარ აქვს პრეტენზია [ანაზღაურების სიმცირეზე], ის მიდის და, ვთქვათ, შეიძლება მისთვის უფრო მარტივიც კი არის, რომ

პარალელურად რეპეტიტორობს... ის კი არა, სკოლაშიც იმისთვის არის, რომ რეპეტიტორი იყოს და არა იმისთვის, რომ სკოლაში არის... მთავარი მიზეზი არის ის, რომ სისტემის დონეზე, ანუ გადაწყვეტილებების მიღების დონეზე, სამინისტროს დონეზე, მთავრობის დონეზე, პარტიის [დონეზე] (ამ შემთხვევაში, მმართველი პარტიის) განათლება არ არის პრიორიტეტული მიმართულება, ის უფრო გამოიყენება ინსტრუმენტად ხმების მოზიდვისთვის... მანიპულაციებისთვის, პოლიტიკური მიზნებისთვის". (ექსპერტი)

კვლევის შედეგების მიხედვით, სასკოლო საზოგადოებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი ეროვნული გამოცდების ჩაბარებაა, რაც გამოკვეთს კიდევ ერთ გამოწვევას, რომ მოსწავლეები, განსაკუთრებით საშუალო საფეხურზე, სწავლობენ და ინტერესდებიან მხოლოდ იმ საგნებით, რომელთა ჩაბარებაც მათ მოეთხოვებათ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე. მასწავლებლები და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეები ვერ ხედავენ სხვა საგნების შესწავლის აზრს და, შესაბამისად, არც ცდილობენ, გაიღრმაონ ცოდნა სხვადასხვა მიმართულებით. მოსწავლეებიც მიიჩნევენ, რომ სკოლის დამამთავრებელ კლასებში მათ უნდა ჰქონდეთ იმის საშუალება, აირჩიონ კონკრეტული საგნები, რომლებიც მათ ინტერესებს შეესაბამება და გამოადგებათ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად. ამ შემთხვევაში, არასრულწლოვანთა აზრით, მოსწავლეს ექნება მეტი მოტივაცია, იაროს სკოლაში და განიმტკიცოს ცოდნა იმ კონკრეტულ საგნობრივ კომპეტენციებში, რომლებიც მას სამომავლოდ დასჭირდება. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ, თუ მოსწავლე (განსაკუთრებით საშუალო საფეხურზე) ერთიან ეროვნულ გამოცდაზე რომელიმე საგანს არ აბარებს, ამ კონკრეტული საგნის შესწავლა აზრს კარგავს. საბოლოოდ კი ვიღებთ ასეთ შედეგს: ერთი მხრივ, მოსწავლეთა (და მშობელთა) უმრავლესობისთვის მნიშვნელოვანია სამი კონკრეტული საგნის (რომლებსაც ჩააბარებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე) შესწავლა; მეორე მხრივ, განათლების მიღების (რომელიც ხშირად გულისხმობს სამი საგნის შედარებით სიღრმისეულად შესწავლას) მოტივაცია უნივერსიტეტში ჩაბარებაა, ამ მიზნის მიღწევაში კი სკოლის როლი უმნიშვნელოა.

„ერთხელ გადავდე გაკვეთილი და ვესაუბრე [მოსწავლეებს]. მითხრეს, რომ იურიდიულზე უნდა ჩავაბარო და რაში გამომადგება მათემატიკაო. ვუხსნი, რომ ზოგადი განათლება ყოველთვის გამოგადგებათ ცხოვრებაში-მეთქი... მაგალითად, მათემატიკას რაში ვიყენებო, მივალ და ფორმულით ავაწონინებ ხილსო?.. ავუხსენი, როგორც შემეძლო, მათემატიკა, ქიმია, ფიზიკა ისეთი საგნებია, რომლებიც გონებას ავითარებს ძალიან, ეს გონების განვითარება გჭირდება, რომ რთულ სიტუაციებში მარტივად მიიღო გადაწყვეტილება და ასე შემდეგ, თორემ კონკრეტულად ფორმულა შეიძლება ცხოვრებაში შვილთან გამოიყენო, რომელსაც ასწავლი, მაგრამ არ უნდათ ამის აღიარება... მერე დავრწმუნდი, რომ მშობლის როლია აქ ძალიან დიდი. მეექვსე კლასი მყავს სადამრიგებლო და, რომ მოდის მშობელი, რომ იკითხოს, საგნებში როგორი მიღწევები აქვს მის შვილს, მუსიკა არ აინტერესებს, ხელოვნება არ აინტერესებს, პირდაპირ თავს გვერდზე სწევენ და ამბობენ, რამეს იზამს მანდო". (პედაგოგი)

„ჩემს დროს მე-10 კლასიდან ხდებოდა დაყოფა, ჰუმანიტარების და ზოგადების, მე მაინც ვფიქრობ... უფრო მაღალი აკადემიური მოსწრება ვისაც აქვთ, იმ მოსწავლეებმა გამოთქვეს ასეთი აზრი, რომ უფრო მისაღები და საინტერესო იქნება, 13 და 14 საგნის შესწავლას,

ვისწავლი იმ რამდენიმეს, განვიმტკიცებ უფრო მეტად, რაც უმაღლესში დამჭირდება. მეც ამას ვეთანხმები, რადგან ჩემს შემთხვევაში, როცა მე გადავედი მე-10 კლასში, [საგნობრივი დაყოფა] ძალიან დამეხმარა იმის გარკვევაში, რა მინდოდა რეალურად ცხოვრებაში, იმიტომ რომ იმ კუთხით გავაგრძელე სწავლა, რაც უფრო მეტად მესმოდა" (პედაგოგი)

„ვფიქრობ, მესამე საფეხურზე სწავლება უნდა იყოს პროფილური. ან უნდა იყოს რამდენიმე მიმდინარეობა, ჰუმანიტარული, ტექნიკური ან საბუნებისმეტყველო, და ამის მიხედვით უნდა იყოს სწავლება, რადგან მოსწავლეს რაც სჭირდება, იმ საგნებს სწავლობს. აუცილებელია პროფილური სწავლება". (სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი)

„რესურსებს არათანაბრად ვანაწილებთ. მაგალითად, წელს ჩვენთან, სკოლაში, მეთერთმეტეკლასელებს დაგვენიშნა გამოცდა ისტორიასა და ქართულში და ყველა, ვინც ისტორიით აბარებდა, ამბობდა, რომ ძალიან კარგია, რადგან ეროვნულებისთვის გავარჯიშება იქნებაო. გამოადგებათ, მაგრამ მოსწავლეების ის ნაწილი, ვინც აბარებს სამედიცინოზე, მათემატიკაზე, პირადად მეც ძალიან არ გვადგება, იმიტომ რომ ჩვენ გვიწევს, ძალიან დიდი დრო დავხარჯოთ იმ საგანზე, ანუ ჩვენი რესურსი დავხარჯოთ, დავუთმოთ იმ საგანს, რომელიც... სამომავლოდ არ დაგვჭირდება". (მოსწავლე)

სკოლის როლი მოსწავლის კარიერის დაგეგმვაში

მოსწავლეებისა და სტუდენტების ნაწილი აღნიშნავს, რომ სკოლას დღესდღეობით არ აქვს არანაირი ხედვა, თუ როგორ დაეხმაროს მოსწავლეს სამომავლო პროფესიის განსაზღვრაში, მეტიც, ეს, უმეტეს შემთხვევაში, არ აღიქმება სკოლის ფუნქციად. მოსწავლეების თქმით, მათ გადაწყვეტილებაში, აირჩიონ კონკრეტული პროფესია, სკოლის როლი მინიმალურია. მსგავსი გამოცდილება აქვთ სტუდენტებსაც, რომლებიც მიუთითებენ, რომ ახალგაზრდები პროფესიულ ორიენტაციასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს უმეტესად გაუაზრებლად იღებენ და ზოგჯერ არანაირ ინფორმაციას არ ფლობენ იმ პროფესიაზე, რომელსაც ირჩევენ. სკოლას კი არ აქვს არანაირი სტრატეგია, თუ როგორ დაეხმაროს მოსწავლეს, რომ მან მეტი გაიგოს პროფესიების შესახებ და ინფორმირებულობის საფუძველზე შეარჩიოს მისთვის სასურველი საქმიანობა. სტუდენტების თქმით, სკოლის დამთავრების პერიოდში მოსწავლეები არიან დაძაბული და სტრესის ქვეშ უწევთ გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც მეტწილად გაუაზრებელია და საზოგადოებაში არსებული სტიგმით (რომ სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა აუცილებლად უნივერსიტეტში უნდა გააგრძელო) არის ნაკარნახევი. გარდა ამისა, სტუდენტების გამოცდილებით, სკოლაში სწავლისას ნაკლებად ჰქონდათ ინფორმაცია პროფესიული განათლების შესახებ. ახალგაზრდები ამბობენ, რომ სკოლაში პროფესიული განათლება განიხილება დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე ბავშვების შესაძლებლობად, აითვისონ ხელობა, მაღალი აკადემიური შესაძლებლობების მქონე არასრულწლოვნებისთვის კი ერთადერთ არჩევნად უმაღლესი განათლება მოიაზრება.

„ის, რომ საქართველოში დღეს ძალიან ბევრი შეუმდგარი ადამიანია, რომელმაც დღემდე არ იცის, რისი გაკეთება სურს, არის სწორედ სკოლის დამსახურება, იმიტომ რომ სკოლაში არ ასწავლიან ბავშვებს, კონკრეტულ სფეროებში რა მოეთხოვება ადამიანს, რა უნდა გააკეთოს და

რა უნდა ისწავლოს. შესაბამისად, ახალგაზრდა რომ მეთორმეტე კლასშია, იწყებს მაგ დროს ფიქრს: „უი, ახლა უნდა ჩავაბარო და აუცილებლად უნდა ავირჩიო, რა მინდა“. ანუ მას არ მოსდის ის შინაგანად, რომ, მე რაც მინდა, ის გავაკეთო. შესაბამისად, ეს შემდეგ იწვევს იმას, რომ ეხლა ძალიან ბევრ სტუდენტს რომ კითხოთ, არ იციან, რატომ სწავლობენ კონკრეტულ ფაკულტეტზე“. (სტუდენტი)

„ვფიქრობ... სულ არ არის ტრაგედია, რომ 18-19 წლის ასაკში არ იცი, რა გინდა აკეთო მთელი ცხოვრება, მაგრამ ძალიან რთულია, რომ ეს ფაქტი აუხსნა მშობლებს და შედარებით მაღალი ასაკის ადამიანებს, იმიტომ რომ არ ესმით, რატომ შეიძლება დაგჭირდეს ერთი ან ორი წელი, ან მეტი იმის გასააზრებლად, რა გინდა აკეთო და შეიძლება ეს ბევრად უფრო მეტი იყოს, ბევრად უფრო გაიწელოს და თუ, მაგალითად, „მეზობლის გოგო აბარებს, რატომ არ შეიძლება რომ შენც ჩააბარო უნივერსიტეტში?!“ – ეგ დამოკიდებულება მგონია ძაან ცუდი“. (სტუდენტი)

„ბავშვს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია, რომ, თუ 9 კლასამდე ისწავლის და იმის სურვილი ექნება, სხვა მხრივ განავითაროს ცოდნა, შეუძლია, მიმართოს პროფესიულ კოლეჯს და გააგრძელოს სწავლა... მაგრამ ასეთი მენტალიტეტია, რომ, თუ 12 კლასის ატესტატი [ვერ აიღე], ესე იგი, რაღაც პრობლემა გაქვს“. (სტუდენტი)

სასკოლო რეფორმები და მათი გავლენა სასკოლო საზოგადოებაზე

სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და პედაგოგები აღნიშნავენ, რომ განათლების სისტემაში მუდმივად მიმდინარეობს რეფორმები, რომლებიც ხშირად ლოგიკურად არ ებმის ერთმანეთს და, ძირითადად, კონკრეტული ადამიანების ხედვას ეფუძნება, რომლებიც სხვადასხვა დროს იკავებდნენ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის თანამდებობას. ამგვარმა გამოცდილებამ სასკოლო საზოგადოებაში გააჩინა განწყობა, რომ ყოველი ახალი რეფორმა განწირულია კრახისთვის და, შესაბამისად, არ არსებობს არც პოზიტიური მოლოდინი სიახლეების მიმართ და არც სტაბილურობის განცდა. რესპონდენტები ფიქრობენ, რომ რეფორმების უმეტესობა სხვა ქვეყნების გამოცდილებიდან არის გადმოტანილი, თუმცა ისე, რომ წინასწარ არ შეფასებულა, თუ როგორ იმუშავებდა ის ჩვენს საზოგადოებაში. ამას გარდა, პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მათი პროფესია უკვე დაკავშირებულია ბიუროკრატიასთან, რადგან უწევთ სხვადასხვა სახის დოკუმენტაციის მომზადება წლის განმავლობაში, რაც მნიშვნელოვან ადამიანურ რესურსს მოითხოვს და ხშირად, მასწავლებელთა გამოცდილებით, დოკუმენტაციის მოწესრიგებას მეტი დრო სჭირდება, ვიდრე გაკვეთილის დაგეგმვას და რესურსების შექმნას. ამ პროცესში პედაგოგები მიუთითებენ დროის უქონლობაზე და აღნიშნავენ, რომ სისტემისთვის დოკუმენტაცია უფრო მნიშვნელოვანი გახდა, ვიდრე ბავშვი და მისი საუკეთესო ინტერესები, რადგან პედაგოგს ბიუროკრატიული საქმიანობა არ აძლევს საშუალებას, მოსწავლე და საგაკვეთილო პროცესი პრიორიტეტული გახადოს. ამას ემატება სავალდებულო ტრენინგები, რომლებიც ყველა პედაგოგმა უნდა გაიაროს. მასწავლებელთა შეფასებით, აღნიშნულ ტრენინგებზე ისინი ახალს ვერაფერს სწავლობენ, მაგრამ ამ ტიპის აქტივობები ძალიან ტვირთავს მათ, რაც

რესპონდენტებში იმედგაცრუებასა და ნეგატიურ განწყობას აჩენს. მასწავლებელთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სიახლეები, რომლებიც მოჰყვება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვას, ზოგჯერ მათთვის მიუღებელია, ამიტომ ხშირად საგაკვეთილო პროცესში/პრაქტიკაში არც იყენებენ.

„ბიუროკრატია, ბიუროკრატიული პრობლემები, იმდენი ფურცლომანიაა მოხვეული ჩვენს თავს, თუნდაც შემაჯამებლის ანალიზი, ყველაფრის ანალიზი... ამდენი შეიძლება მასწავლებელმა აკეთოს? თან არაფრის მომცემი“. (პედაგოგი)

„საქართველოში ხომ ასეა, კანონმდებლობაში კარგად გვაქვს საქმე და აღსრულების პრობლემა არის ყველა რგოლში, თორემ ძალიან კარგად არის გაწერილი, როგორ არა, განათლების შესახებ კანონში. პრაქტიკაში რამდენად შესაძლებელია ამის განხორციელება, ამაზე ნაკლებად ფიქრობენ. მოსწავლის, ჩვენი რეალობის, ჩვენი სოციალური მდგომარეობის, მენტალობის, ჩვენი ტრადიციების, ადამიანური რესურსების გათვალისწინებით, იქ პედაგოგის ცოდნის დონეც... შეგვეცვალა მინისტრი და, ვნახოთ, რა შეიცვლება“. (პედაგოგი)

„გაკვეთილის გეგმას როცა ვწერთ, ვთქვათ, ჩვენთვის ვწერთ პატარას, [სხვები] იცქირებით ესგ-ში? მე არა, მართალი გითხრათ, რაც ვიცი, ის ვიცი. თუ გჭირდება ვიღაცისთვის სანახვებლად, მაშინ კი“. (პედაგოგი)

„ეს კომპლექსური დავალებებიც კიდევ საკმაოდ თავს მოხვეული არის, ბავშვებისთვის არ არის იმდენად საინტერესო და არაფრის მომცემია. არ უნდათ, აღარ უნდათ, დაიღალნენ, არაფრის მომცემია“. (პედაგოგი)

კიდევ ერთი გამოწვევა, რომელიც ამ მიმართულებით არსებობს, არის მასწავლებელთა კარიერული წინსვლის სქემა, რომელიც, რესპონდენტთა ნაწილის აზრით, არ არის ეფექტიანი, რადგან მასწავლებლების უმეტესობა ცდილობს, მოემზადოს გამოცდებისთვის, ამაში დახარჯოს თავისი რესურსი, შექმნას პორტფოლიოები, რომლებიც ხშირად არ აღწერს მასწავლებლის მუშაობის რეალურ სურათს. გარდა ამისა, მასწავლებლები მეტი ანაზღაურების მიღების მიზნით ცდილობენ, დასაქმდნენ ორ სკოლაში, რის გამოც ისინი მუდმივად ჩქარობენ, მათი საქმიანობა კი შემოიფარგლება მხოლოდ გაკვეთილის ჩატარებით, ვერ გეგმავენ არაფორმალურ აქტივობებს, ვერ ახორციელებენ პროექტებს და არ არიან ჩართული სხვადასხვა სასკოლო საქმიანობაში, რაც, დირექტორების აზრით, მნიშვნელოვანი გამოწვევაა. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსწავლეები თითქმის არ ფლობენ ინფორმაციას განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებზე, ხოლო მშობლების ცოდნა, ძირითადად, შემოიფარგლება რეფორმის/სისტემის მხოლოდ იმ კომპონენტებით, რომლებიც უკავშირდება მასწავლებლის კარიერულ წინსვლას. მშობლები მიიჩნევენ, რომ პედაგოგების დიდი ნაწილი იძულებულია, ჩააბაროს გამოცდები, რასაც სჭირდება მომზადება, შესაბამისად, მათ ნაკლები დრო რჩებათ საგაკვეთილო პროცესის წინასწარ დასაგეგმავად და რესურსების მოსამზადებლად; შესაბამისად, მიიჩნევენ, რომ სისტემის მიერ შეთავაზებული რეფორმები ნაკლებად ეფექტიანია.

„მასწავლებლის შრომა ბევრი არასაჭირო, არაფორმალური რაღაცით არის გამოტენილი და ის [პედაგოგი] ვერ იცლის იმისთვის, რაც მნიშვნელოვანია. განათლებაც და ბავშვიც გარეთ დარჩება, თუკი ამ სისტემას არ მოევლება“. (სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი)

„ადამიანი, რომელიც ატარებს, დავუშვათ, 28 საათს, [აქედან] 25 ანაზღაურებადია, 3 საათი არ ანაზღაურდება; მეორე მხრივ, არის, ბრჭყალებში ვიტყვი რა, სხვა სკოლაში „გაქცეული“ მასწავლებელი, რომელსაც ორი სერტიფიცირების დანამატი ეძლევა. მე ის მასწავლებელი მიმაჩნია კარგ მასწავლებლად, რომელიც ერთ სკოლაშია დარჩენილი, ერთი დანამატის ამარა, ვიდრე ის მასწავლებელი, რომელიც ვერაფერში ვერ იღებს მონაწილეობას [დროის უქონლობის გამო, რადგან ორ სკოლაში ასწავლის] და ამ დროს ორი სერტიფიცირების დანამატით ჯილდოვდება, ის კიდევ ერთ სკოლაში ამდენ საათს ატარებს და მეხმარება, ან სკოლის დირექციას ეხმარება სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებაშიც, არაფორმალური განათლების მიწოდებაშიც, მოსწავლეებთან [მუშაობს], კლუბს ამუშავებს“. (სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი)

სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინფრასტრუქტურული საჭიროებები

რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სკოლის ინფრასტრუქტურული მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს როგორც მოსწავლის, ისე პედაგოგის მოტივაციას. კვლევის მონაწილეები მიუთითებენ, რომ მათ სკოლებში, ინფრასტრუქტურის მხრივ, ძირითადად, რთული მდგომარეობაა და მწირია მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც. ყველაზე მეტად რესპონდენტებს აწუხებთ სკოლაში ციფრული ტექნოლოგიების არარსებობა. როგორც ისინი ამბობენ, ტექნოლოგიების ეპოქაში მათ ხელი არ მიუწვდებათ ხარისხიან ინტერნეტზე, არ აქვთ საკმარისი რაოდენობით კომპიუტერები და პროექტორები, რომ საგაკვეთილო პროცესი მოსწავლეებისთვის უფრო საინტერესო გახდეს. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ, ვინაიდან სკოლის ბიუჯეტი მთლიანად მიბმულია ვაუჩერულ სისტემაზე, მას მეტწილად არ აქვს შესაძლებლობა, აღჭურვოს კლასები საჭირო ტექნიკით. სკოლის დირექტორები მიიჩნევენ, რომ ვაუჩერული დაფინანსების სისტემა სკოლებს არათანაბარ პირობებში ამყოფებს, რაც აზარალებს მცირეკონტინგენტიან სკოლებს.

გარდა ტექნოლოგიური აღჭურვილობის დეფიციტისა, პედაგოგების თქმით, მათ არ აქვთ ელემენტარული რესურსები, რომ საგაკვეთილო პროცესი უფრო მრავალფეროვანი გახადონ, ვერ ახერხებენ მასალების ამობეჭდვას, რადგან ხშირად სკოლას არ აქვს საკმარისი რაოდენობით ფურცლები და სხვა საკანცელარიო ნივთები. საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების პროცესში მნიშვნელოვანი გამოწვევაა ლაბორატორიების არარსებობა, რადგან მოსწავლეები ვერ ახერხებენ, ნახონ ვიზუალური მასალა, კერძოდ, ცდები, რაც სასწავლო პროცესს მოზარდებისთვის გაცილებით საინტერესოს გახდიდა და ხელს შეუწყობდა ახალგაზრდების საბუნებისტყველო საგნებით დაინტერესებას.

„ამდენი არაფრისმომცემი ტრენინგის ჩატარებაში ფულის ხარჯვას სჯობია, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გააუმჯობესონ სკოლაში... ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში რომ გვიწერია, სკოლამ უნდა აღჭურვოს თანამედროვე უნარ-ჩვევებით ახალგაზრდა, რომელიც კონკურენციას გაუწევს მსოფლიოს ნებისმიერ მოქალაქესო, რანაირად, როცა ინგლისში ჭკვიან დაფაზე და სმარტდაფაზე იზრდებიან ბავშვები და ჩემებს ეს ინტერნეტში აქვთ ნანახი, ის ინტერნეტიც მარტო სახლში აქვთ და სკოლაში არ არის ხელმისაწვდომი ხშირ შემთხვევაში“. (სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი)

„[სკოლის] ბიუჯეტი არ უნდა იყოს მოსწავლეთა რაოდენობაზე გათვლილი. ჩემი არის სოფლის სკოლა, სულ 300-მდე ოჯახი ცხოვრობს. ამ 300-კომლიან სოფელში 250 მოსწავლეზე მეტი, გამორიცხულია, არ იქნება. გამოდის, რომ მე, რომელსაც ამბიცია მაქვს, რომ სხვა სკოლებს გავუწიო კონკურენცია, მაქვს სურვილი, რომ ჩემი სკოლის მოსწავლეები იყვნენ კონკურენტუნარიანი მოქალაქეები, რატომ არ უნდა მეძლეოდეს ამის საშუალება, თუნდაც იმ ელექტრონული რესურსის არარსებობის გამო? არის ეს გამართლებული? აი, სოფელში ცხოვრება ისედაც ნაკლებ რესურსებზე ხელმისაწვდომობას ნიშნავს და კიდევ სამინისტროსგან ამ არათანაბარ მდგომარეობაში სკოლების ჩაყენება, მე ვფიქრობ... არანაირად არ არის გამართლებული“. (სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი)

„კომფორტული გარემო უნდა იყოს, გიხაროდეს უნდა, სკოლაში რომ მიდიხარ, ჭერი თავზე არ უნდა გექცეოდეს. რაც შეიძლება... კომფორტული უნდა იყოს სწავლის პროცესიც და გარემოც. აი, ყველაზე მნიშვნელოვანია, მოგწონდეს იქ [სკოლაში] ყოფნა“. (სტუდენტი)

იდეალური სკოლის კონცეფცია

იდეალური სკოლის კონცეფციაზე საუბრისას სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების უმრავლესობას ახსენდება ფინური სკოლის მოდელი, თუმცა ის დღევანდელი სტატუს-კვოს პირობებში მიუღწეველ მიზნად ესახებათ. მიუხედავად ამისა, მაინც მსჯელობენ იმ მახასიათებლებზე, რომლებიც, ფიქრობენ, რომ უნდა არსებობდეს მათ სამუშაო ადგილზე. პირველ რიგში, ესაა კეთილმოწყობილი გარემო, აღჭურვილი შესაბამისი ტექნიკით, ლაბორატორიებითა და რესურსებით. ამასთან, აუცილებელია პოზიტიური ორგანიზაციული კულტურის დამკვიდრება, რაც გულისხმობს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის კეთილგანწყობილ, თანამშრომლურ ურთიერთობას და ცოდნის გაზიარების შესაძლებლობას. აგრეთვე მნიშვნელოვანია კლასში მოსწავლეთა რაოდენობა, რომელიც, მასწავლებელთა აზრით, 15-ს არ უნდა აჭარბებდეს. სკოლის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მოსწავლეები სკოლაში უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ საკვებით, რაც ხელს შეუწყობს მათ როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ განვითარებას.

„იდეალური სკოლა... ალბათ, ტექნიკურად აღჭურვილი უნდა იყოს, ბავშვთა კვება აუცილებელია... ისე მეცოდებიან, ზოგი ბავშვი [საკვებით] რომ შემოვა და დანარჩენი უყურებს. ძალიან მეცოდებიან და მინდა, რომ ერთი ბულკი მაინც ჰქონდეთ“. (პედაგოგი)

„ინფრასტრუქტურა აუცილებელია, თუნდაც მამოტივირებელი, რადგან გაქვს ყველანაირი პირობა, თუნდაც ლაბორატორიები; მოტივაცია გაქვს, რომ ჩაატარო, დაინტერესო ბავშვები, შენც გაინტერესებს ბავშვებთან ერთად. ამ დროს [ბავშვმაც] მეტი მოგთხოვა, შენც იძულებული ხარ, მეტი მოსთხოვო საკუთარ თავს. მოსწავლეთა რაოდენობაც 15-ზე მეტი არ უნდა იყოს. ახლა 26 და 29 ბავშვი გვიზის გაკვეთილზე“. (პედაგოგი)

რაც შეეხება მოსწავლეებს, მათთვის იდეალურ სკოლაზე საუბრისას პრიორიტეტულია მასწავლებლების კეთილგანწყობილი და ემპათიური დამოკიდებულება. არასრულწლოვანთა თქმით, ბავშვებს სკოლაში არ უნდა დარჩეთ უსამართლობის განცდა, ისინი თანასწორნი უნდა იყვნენ და უფროსები არ უნდა გამოარჩევდნენ კონკრეტულ მოსწავლეს მისი აკადემიური შესაძლებლობების ან სხვა მახასიათებლების გამო. მოზარდებისთვის მნიშვნელოვანია, სკოლაში არსებობდეს ბულინგისა და ძალადობისგან თავისუფალი გარემო, სადაც შეეძლებათ ცოდნის გაღრმავება იმ საგნობრივ კომპეტენციებში, რომლებიც მათი ინტერესის სფეროში მოექცევა. მოსწავლეები ასევე გამოთქვამენ სურვილს, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვისას მასწავლებელმა შესთავაზოს მათ, რაც შეიძლება, მეტი პრაქტიკული აქტივობა, გამოიყენოს სხვადასხვა რესურსი, რათა სწავლის პროცესი მოსწავლისთვის მაქსიმალურად საინტერესო გახდეს. კვლევის მონაწილე ბავშვები ასევე იზიარებენ მასწავლებელთა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მოსაზრებას, რომ სკოლაში შექმნილი უნდა იყოს კომფორტული და თანამედროვე გარემო.

„იდეალურია, როცა ისეთ გარემოში ხარ, სადაც შენი აზრის დაფიქსირება არ გიჭირს და არც არავინ არ დაგცინებს“. (მოსწავლე)

„ჩემთვისაც იდეალური სკოლა არის ის ადგილი, სადაც მასწავლებლები ბოლომდე უგებენ ბავშვს და ესმით მათი აზრების“. (მოსწავლე)

„[იდეალურია] სკოლა, სადაც ყველა ბავშვი და მასწავლებელი არის თანატოლი. ყველას ერთნაირი უფლება აქვს და ყველას აქვს აზრის გამოთქმის შესაძლებლობა“. (მოსწავლე)

მშობლებისთვის იდეალურ სკოლაზე საუბრისას პრიორიტეტულია ხარისხიანი განათლება, რომელიც საკმარისი იქნება ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად და, შესაბამისად, მათ არ დასჭირდებათ შვილების რეპეტიტორებთან მომზადება. გარდა ამისა, მშობლები მიიჩნევენ, რომ აუცილებლად უნდა შემცირდეს კლასში მოსწავლეთა რაოდენობა, რათა მასწავლებლებმა შეძლონ, დაგეგმონ საგაკვეთილო პროცესი ყველა მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით. გარდა ამისა, რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მოსწავლეთა კვების უზრუნველყოფა, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მოწესრიგებული სასადილოს არსებობა, სადაც მოსწავლეებს საკვების შეძენა მაინც შეეძლებათ, რათა საგაკვეთილო პროცესში არ უხდებოდეთ სკოლის ტერიტორიის დატოვება კვების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მშობლებისთვის, ისევე, როგორც მოსწავლეებისთვის, პრიორიტეტულობის თვალსაზრისით, ბოლო ადგილზეა ინფრასტრუქტურული საჭიროებები, როგორც მოსწავლისა და მასწავლებლისთვის მოტივაციის მიმცემი ფაქტორი, რომ უზრუნველყოფილი იყოს უფრო მრავალფეროვანი სასკოლო ცხოვრება.

„ოთხი შვილი მყავს, ძალიან მიჭირს ეს მომზადების თემა სააბიტურიენტოდ, იდეალური სკოლა იქნებოდა, რომ აღარ დამჭირდეს რეპეტიტორები. კარგად სწავლობენ ჩემი შვილები, მაგრამ მაინც დამჭირდა. ჩემთვის იდეალური სკოლა იქნება, რომ ეს აღარ დამჭირდეს, ამდენი თანხის გადახდა. მარტოხელა დედა ვარ, მეუღლე დამეღუპა და ძალიან მიჭირს“. (მშობელი)

„როცა ბევრი გაკვეთილი აქვს, ბავშვი არ უნდა ფიქრობდეს იმაზე, როდის დამთავრდება და როდის შევჭამ რამეს , სახლში როდის მივალო. იქ საშუალება უნდა ჰქონდეს ელემენტარულის მაინც, შესვენებაზე მაინც მოახერხოს ჭამა“. (მშობელი)

„იდეალურ სკოლამდე ბევრი ნაბიჯია, მაგრამ იმ პირობებში, როცა კლასში 30 ბავშვია დაახლოებით, ალბათ ძალიან რთული იქნება შედეგის მიღწევა... საგაკვეთილო დროიდან გამომდინარე“. (მშობელი)